

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“

მზექალა აჭაიძე

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: თსუ-ს პროფესორი ალექსანდრე კარტოზია,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თსუ-ს ასოც. პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი,
განათლების მეცნიერებების აკადემიური დოქტორი

თბილისი

2018

სარჩევი

შესავალი.....	5
I. თავი - გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდები, ენობრივი და არაენობრივი ფაქტორების გავლენა შესწავლის პროცესზე.....	8
1.1. გერმანული ენის საერთაშორისო როლი და მისი სწავლების სპეციფიკა	8
1.2. უცხო ენის სწავლების მეთოდები და განვითარების ეტაპები	10
1.3. რეცეფციული და პროდუქციული უნარ-ჩვევების განმავითარებელი აქტივობები უცხო ენის გაკვეთილზე	19
1.4. გრამატიკის სწავლება უცხო ენის გაკვეთილზე.....	29
1.5. გარეენობრივი ფაქტორების გავლენა უცხო ენის შესწავლისას	33
1.5.1. ადამიანის ბიოლოგიური მზაობა ენის ასათვისებლად.....	34
1.5.2. შემსწავლელის ასაკისა და კოგნიტური განვითარების გავლენა ენის ათვისების პროცესზე	35
1.5.3. შემსწავლელის სქესის გავლენა ენის შესწავლის პროცესზე.....	40
1.5.4. შემსწავლელის მოტივაცია და განწყობა ენის მიმართ	40
1.5.5. პიროვნული ფაქტორების გავლენა ენის ათვისების პროცესზე.....	42
1.5.6. აფექტური ფაქტორები.....	43
1.6. ენის ათვისების (Spracherwerb) პროცესი	44
1.6.1. მშობლიური და უცხო ენის ათვისების მსგავსება-განსხვავებანი.....	48
II. თავი - ინტერკულტურული მეთოდი.....	50
2.1. ინტერკულტურული კონცეფცია - ინტერაქცია კულტურებს შორის.....	50
2.2. გერმანელი ლინგვოდიდაქტიკოსების ინტერკულტურული სწავლების კონცეფცია	54
2.3. ენა და კულტურა.....	57
2.4. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილის დიდაქტიკურ-მეთოდური პრინციპები.....	57
2.5. ინტერკულტურული სწავლება და ინტერკულტურული კომუნიკაციის თანამედროვე გამოწვევები	61

2.6. ქვეყანათმცოდნეობის როლი უცხო ენის შესწავლისას და მისი სწავლების ფორმები	67
2.7. სტერეოტიპები ინტერკულტურული კომუნიკაციის კონტექსტში.....	70
2.8. დიდაქტიკური მიდგომა სტერეოტიპებისადმი უცხო ენის გაკვეთილზე.....	74
2.9. ინტერკულტურული მეთოდის მიხედვით შექმნილი გერმანულის სახელმძღვანელოები	79
2.10. გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლება ქართულ უმაღლეს სკოლაში	82
III. თავი - ირეალისი და მისი გამოხატვა გერმანულ და ქართულ ენებში	84
3.1. ირეალისის ცნება ლინგვოდიდაქტიკოსთა ნაშრომებში	84
3.1.2. მოდალობა და მისი გამომხატველი ენობრივი საშუალებები გერმანულ ენაში	86
3.1.3. კონიუნქტივის მნიშვნელობა და ფუნქცია	89
3.1.4. კონიუნქტივის პარადიგმა გერმანულ ენაში - Konjunktiv I-ის და Konjunktiv II-ის წრეები.....	91
3.1.5. დროის ფორმების ურთიერთმიმართება გერმანული ენის ინდიკატივსა და კონიუნქტივში.....	103
3.1.6. კონიუნქტივ (Konjunktiv) II-ის, როგორც ირეალისის გამომხატველის, გამოყენების ნორმები და ფუნქციები გერმანულ ენაში	108
3.2. ქართული და გერმანული ენების შეპირისპირება ირეალისის გამოხატვისას და ამ ენების მორფო-სინტაქსური თავისებურებანი	117
3.2.1. ირეალისის შესაბამისობა ქართული ზმნის მწკრივის ფორმებთან.....	134
IV. თავი: ირეალისის სწავლების პრაქტიკულ-დიდაქტიკური ასპექტები ინტერკულტურულ კონტექსტში.....	136
4.1. ზოგადი მიმოხილვა	136
4.2. სტუდენტთა გამოკითხვა.....	140
4.3. მასწავლებელთა გამოკითხვა სპეციალური კითხვარის მეშვეობით და გამოკითხვის შედეგები.....	142
4.4. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილის მოდელები.....	147
4.4.1. გაკვეთილის მოდელი I	147

4.4.2. გაკვეთილის მოდელი II.....	156
4.5. ინტერვიუ ექსპერტებთან - ფოკუსჯგუფის კვლევა	170
კვლევის შედეგები და დასკვნები.....	175
რეკომენდაციები	180
ლიტერატურა:.....	181

შესავალი

უცხო ენის შესწავლა რთული და შრომატევადი ინტელექტუალური პროცესია ზრდასრული ადამიანისთვის. ენის ათვისებისას მრავალი ასპექტია გასათვალისწინებელი, მათ შორის მნიშვნელოვანია ენის გრამატიკული, ლექსიკური თუ კულტურათმორისი ასპექტები, რომელთა გარეშე ვერ მოხდება უცხო ენის სრულყოფილად ათვისება. წლების განმავლობაში იცვლებოდა ენის შესწავლის მეთოდები და მიდგომები, განიხილებოდა, თუ რა გზებითაა შესაძლებელი ენის სწრაფად ათვისება.

უცხო ენის შესწავლისას ხშირად ვაწყდებით წინააღმდეგობებს სხვადასხვა გრამატიკული ფენომენის ახსნისას. ეს წინააღმდეგობები განსხვავებული ხასიათისაა, ზოგიერთი ფენომენი არ არსებობს დედაენაში, უცხო ენის შემსწავლელს ეუცხოება და ადვილად ვერ ითვისებს მას, რადგან მსგავსებას ვერ პოულობს მისთვის ნაცნობ სტრუქტურასთან, ან რომელიმე ფენომენს დედაენასა და უცხო ენაში განსხვავებული სტრუქტურული მექანიზმი აქვს და მათი მისადაგება ერთმანეთთან ენის შემსწავლელს უჭირს.

ნაშრომში გაშლილია შემდეგი საკითხები: ქართულენოვანი შემსწავლელებისთვის გერმანული ირეალისის შესწავლის თავისებურებების გამოვლენა, შესაბამისი სტრუქტურების შედარება ქართულ და გერმანულ ენაში, გზების და მეთოდის მოძიება, რათა ენის შემსწავლელს გაუადვილდეს ირეალისის გაგება და სწორად შეძლოს მისი გამოყენება.

მნიშვნელოვანია უცხო ენის თავისებურებების ახსნისას ყურადღება გამახვილებულ იქნას მშობლიური და უცხო ენების მსგავსება-განსხვავებაზე, რათა შესაძლებელი გახდეს უცხო სტრუქტურის უკეთ გათავისება და აღქმა.

ნაშრომის კვლევის პრობლემა და აქტუალობა. გერმანული ენის ქართველი შემსწავლელებისთვის ირეალისის დაუფლებას ართულებს ის გარემოება, რომ ქართულში ირეალისის გრამატიკული ფორმა არ გაგვაჩნია. ქართული ზმნის სერიებსა და მწკრივებშია გაბნეული ირეალისის შესატყვისი ფორმები. გერმანულის, როგორც უცხო

ენის, გაკვეთილზე შედარებით იოლად ხერხდება ირეალისის გამომხატველი კონიუნქტივ II-ის ფორმალური აგებულების ათვისება, მაგრამ ძალზე გაძნელებულია მისი სწორად და ადეკვატურად გამოყენება შესაბამის სიტუაციებში.

ქართულ სოციო-კულტურულ სინამდვილეში მრავალი ადამიანი ეუფლება გერმანულ ენას. ნაშრომის აქტუალობა მდგომარეობს ირეალისის გამოხატვისას ქართული და გერმანული ენების შეპირისპირებასა და ამ ენების მორფო-სინტაქსური თავისებურებების გამოვლენაში, ასევე ინტერკულტურულ კონტექსტში ირეალისის სწავლებისათვის საჭირო პრაქტიკულ-დიდაქტიკური მიდგომებისა და გერმანული ენის სწავლების პროცესში მიწოდებული თეორიული ცოდნის ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნის გზების მოძიებაში.

კვლევის სიახლე. ქართულ რეალობაში არ არსებობს სახელმძღვანელო, რომელშიც განხილულია ირეალისის ინტერკულტურული მეთოდით სწავლების მოდელი გერმანულის სწავლების სხვადასხვა (A და B) საფეხურზე. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ინტერკულტურული მეთოდით ირეალისის სწავლების მოდელის შექმნა გერმანულის, როგორც უცხო ენის, პრაქტიკული სემინარისთვის უმაღლეს სკოლაში. ჩვენი **სამუშაო ჰიპოთეზის** დასადასტურებლად საჭიროდ ჩავთვალეთ ექსპერტებთან/უმაღლესი სასწავლებლის გერმანული ენის პედაგოგებთან ინტერვიუ ფოკუსჯგუფში. **ექსპეტების შერჩევა** მოხდა მიზნობრივად, მათ უნდა ჰქონოდათ უმაღლეს სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლებად მუშაობის არანაკლებ 5- წლიანი სწავლების გამოცდილება.

ნაშრომის სიახლეს ასევე წარმოადგენს ქართული და გერმანული ზმნის სისტემების მორფო-სინტაქსური სტრუქტურების შეპირისპირებითი კვლევა გერმანული ირეალისის შესატყვისი ფორმების მოძიების მიზნით ქართულში.

ნაშრომის **კვლევის მიზანს** წარმოადგენს საზოგადოდ გერმანულის, როგორც უცხო ენის - კერძოდ კი, გერმანული ირეალისის - ინტერკულტურული მეთოდით სწავლების მოდელის შექმნა უმაღლესი სკოლისათვის, რათა შემსწავლელს შესწავლილი ენობრივი ფორმების - კერძოდ, ირეალისის - სწორად გამოყენება გაუადვილდეს.

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში. **კვლევის ობიექტად განისაზღვრა** ირეალისი და მისი სწავლების პროცესი უმაღლეს სკოლაში.

კვლევის მეთოდები. კვლევაში გამოყენებული იქნა შედარებითი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. მოძიებული, დამუშავებული და შედარებული იქნა ირეალისის შესახებ და მის სწავლებასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა, ჩატარდა სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვა სპეციალურად შექმნილი კითხვარის მეშვეობით, გაანალიზდა ეს კითხვარი, ირეალისის თემის შესწავლა/განმტკიცება/გაანალიზების საფუძველზე შეიქმნა ირეალისის სწავლების ინტერკულტურული სწავლების მოდელი, რომლის განხილვა და ვალიდობის დადგენა მოხდა ფოკუსჯგუფში, გამოითქვა მოსაზრებები და შეფასებები, გაკეთდა შესაბამისი დასკვნები.

კვლევის შედეგების პრაქტიკული და თეორიული ღირებულება. კვლევაში წარმოდგენილი მასალის ანალიზი, ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სამომავლოდ გერმანულის, როგორც უცხო ენის, გაკვეთილზე ირეალისის ინტერკულტურული მეთოდით სწავლებას და ნასწავლის ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. წინამდებარე კვლევის და მისი დასკვნების გამოყენება წარმატებით შეიძლება გერმანული და ქართული ზმნის სისტემების მორფო-სინტაქსური ანალიზის დროს, პედაგოგიკის მეცნიერებისა და თარგმანის მიმართულებით. ნაშრომი შეიძლება გამოიყენონ გერმანული ფილოლოგიის, ენათმეცნიერებისა და სხვა პროფილის სასწავლო კურიკულუმებსა და სალექციო კურსებში.

ნაშრომის მოკლე აღწერა:

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 4 ძირითადი თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. პირველი თავი ეთმობა გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდებს, არაენობრივი/ინდივიდუალური ფაქტორების გავლენას უცხო ენის შესწავლაზე და ენის ათვისების პროცესის თავისებურებებს. მეორე თავში განხილულია უცხოური ენების დიდაქტიკის ინტერკულტურული ასპექტი უცხო ენის

გაკვეთილზე, ქვეყანათმცოდნეობის ასპექტის სწავლებისა და სტერეოტიპების გავლენის საკითხები უცხოური ენის შესწავლისას. მესამე თავში განხილულია ირეალისი, როგორც ენობრივი ფენომენი, მისი ფუნქციები, გამოხატვის საშუალებები და გამოყენება გერმანულ ენაში, განხილულია ირეალისი ქართულ ენაში და მისი გამოხატვის თავისებურებანი, ამავე დროს მოცემულია ქართული და გერმანული ენების შეპირისპირება ირეალისის გამოხატვისას და წარმოჩენილია ამ ენების მორფო-სინტაქსური თავისებურებანი. მეოთხე თავში მოცემული კვლევა მოიცავს უცხო ენის პედაგოგებთან ჩატარებულ ინტერვიუს, პრაქტიკული სემინარისთვის შექმნილ სწავლების მოდელს BI და BII საფეხურებისთვის, ექსპერტებთან ინტერვიუებს ფოკუსჯგუფში და მიღებული შედეგების ანალიზს.

ნაშრომის დასასრულს შეჯამებულია კვლევის შედეგები, მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები.

I. თავი - გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდები, ენობრივი და არაენობრივი ფაქტორების გავლენა შესწავლის პროცესზე

გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლების ისტორიის სხვადასხვა პერიოდში იკვეთებოდა განსხვავებული დიდაქტიკური მეთოდები. ახალი მეთოდების დანერგვის მიზნები და საფუძვლებიც განსხვავებული იყო. ყველა ეპოქა მიმართავს უცხო ენის სწავლების მისთვის უფრო ხელმისაწვდომ და ხელსაყრელ მეთოდებს ქვეყნის პოლიტიკური ვითარების, სოციალური მოთხოვნების, საერთაშორისო კონტაქტების თუ იმ ეპოქისათვის აქტუალური კულტურული ფასეულობების შესაბამისად. სწავლების მეთოდების გარდა, შესწავლის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენობრივი და არაენობრივი ფაქტორები.

1.1. გერმანული ენის საერთაშორისო როლი და მისი სწავლების სპეციფიკა

გერმანული მსოფლიოში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ენაა. იგი დედაენაა 100 მილიონამდე ადამიანისათვის, რომლებიც კომპაქტურად ცხოვრობენ გერმანიაში,

ავსტრიაში, შვეიცარიაში, ლუქსემბურგში, ლიხტენშტაინში, ელზასში (საფრანგეთი) და სამხრეთ ტიროლში (იტალია)¹.

ენის გავრცელებასა და მის საერთაშორისო მნიშვნელობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს: პოლიტიკური ვითარება, ომები, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული პროცესები და სხვ. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გერმანული ენა მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი სამეცნიერო ენა იყო. ფილოსოფიით, ხელოვნებათმცოდნეობით, ენათმეცნიერებით, იურისპრუდენციით, ისტორიით, ეთნოლოგიით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებითა თუ მედიცინით დაინტერესებული ადამიანები საგანგებოდ შეისწავლიდნენ გერმანულ ენას, რათა დროულად გაცნობოდნენ სპეციალურ ლიტერატურას და ზიარებოდნენ მეცნიერების უახლეს მიღწევებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანულის, როგორც სამეცნიერო ენის, როლი, შესუსტდა - ეს განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შეეხო.

უკანასკნელ ათწლეულებში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა - გერმანიის გაერთიანებამ, ცივი ომის დასრულებამ, საბჭოთა კავშირის დაშლამ - მსოფლიოში ენათა ბალანსიც შეცვალა. აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც რუსული დომინირებდა, წინა პლანზე თანდათან ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენები გამოვიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების სტატისტიკა როგორც საკომუნიკაციო, ასევე სამეცნიერო დონეზე ინგლისური ენის აშკარა უპირატესობას გვიჩვენებს და, მაშასადამე, გერმანულის, როგორც საერთაშორისო ენის, პოზიცია, შესუსტებულია, საქართველოში გერმანული ენა ტრადიციის ძალით მაინც პოპულარულია და იგი კვლავაც შეისწავლება როგორც სკოლაში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში.

ლუტც გოეტცე (Götze 1987) აღნიშნავს, რომ მსოფლიოში დაახლოებით 17 მილიონი ადამიანი შეისწავლის გერმანულს, როგორც უცხო ენას. ამ ენის შესწავლის მოტივი პირადი, სამსახურებრივი ან სახელმწიფოებრივი საჭიროებაა.

¹ გერმანულენოვანი მოსახლეობა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ცხოვრობს: ბრაზილიაში, არგენტინაში, უნგრეთში პარაგვაიში, რუმინეთში, აღმოსავლეთ ბელგიაში, რუსეთსა თუ ავსტრალიაში.

დღემდე არ კარგავს აქტუალურობას დისკუსია და კამათი ცნებების შესახებ: “გერმანული, როგორც მეორე ენა” თუ “გერმანული, როგორც უცხო ენა”? სპეციალურ ლიტერატურაში “გერმანული, როგორც მეორე ენა” ენის ბუნებრივ გარემოში ათვისებას გულისხმობს, ხოლო “გერმანული, როგორც უცხო ენა” - საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩატარებულ მასწავლებლის მიერ მართულ უცხო ენის გაკვეთილს. ამასთანავე, “გერმანული, როგორც მეორე ენა” უცხო ენის ბუნებრივად ათვისებასთან ერთად - გარკვეული დოზით - მასწავლებლის მიერ მართულ გაკვეთილსაც მოიცავს (ენის კურსები მიგრანტებისთვის, ენის სწავლების ხელშემწყობი და წამახალისებელი ღონისძიებები მათი მცირეწლოვანი შვილებისთვის და სხვ.). ამ ორი ცნების ძირითადი განმასხვავებელია გერმანულენოვანი გარემო. ის, ვინც გერმანულს, როგორც მეორე ენას, შეისწავლის, მას თავის გარემოსთან ურთიერთობისა და ყოველდღიური ცხოვრებისთვის იყენებს. გერმანული, როგორც მეორე ენა, გერმანულენოვან გარემოში შეისწავლება და იგი შემსწავლელის ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილია. რაც შეეხება გერმანულს, როგორც უცხო ენას, იგი გულისხმობს გერმანულის სწავლებას გერმანულენოვანი გარემოს გარეთ, ამ ენობრივი გარემოსგან გეოგრაფიულად დაცილებულ ქვეყანაში. გერმანული, როგორც უცხო ენა, შეიძლება გამოიყენებოდეს პროფესიული მიზნით, განათლების მისაღებად, სამოგზაუროდ, მაგრამ არა გარე სამყაროსთან ყოველდღიური ურთიერთობისთვის.

1.2. უცხო ენის სწავლების მეთოდები და განვითარების ეტაპები

სასკოლო დაწესებულებაში უცხო ენის სისტემურ შესწავლას არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს. მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან ქვეყნებს შორის გაზრდილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ურთიერთობებმა უცხო ენის ცოდნა პრესტიჟის საქმედ აქცია. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება და დღემდე არ წყდება დისკუსია უცხო ენის სწავლების გზებსა და მეთოდებზე.

სხვადასხვა დროს დამკვიდრებულ მეთოდთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გრამატიკულ-მთარგმნელობითი, ბიჰევიორისტული, კოგნიტური და აუდიო-

ვიზუალური მეთოდები. ის, რომ ჩამოთვლილ მეთოდთაგან თითოეული გარკვეული დროის შემდეგ სხვა მეთოდით იცვლებოდა, განპირობებული იყო არა მათი კონცეპტუალური არასრულფასოვნებით, არამედ - გარკვეულ გარემოებათა გავლენით - მათი პრაქტიკაში სრულყოფილად რეალიზების შეუძლებლობით.

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი - უცხო ენის სწავლების ეს ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და ფართოდ გავრცელებული მეთოდი - კლასიკური ენების სწავლების საჭიროებამ წარმოშვა. იგი უცხო ენის გაკვეთილს გრამატიკის გაკვეთილად განიხილავდა, აქედან წარმოდგება მისი სახელწოდებაც. გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი ენას ცალკეული ნაწილებისაგან შემდგარ და ლოგიკური წესების მიხედვით აგებულ სისტემად მოიაზრებს და ენის შესწავლაში უპირველესად გრამატიკული ცოდნის დაგროვებას გულისხმობს (Neuner/Hunfeld 1993).

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდით სწავლებისას მისაღწევ მიზანს წარმოადგენდა არა თავისუფალი კომუნიკაცია უცხო ენაზე, არამედ ამ ენის ფორმალური სისტემის დაუფლება, გრამატიკული წესების დასწავლა, ახალი ლექსიკისა და გრამატიკის გამოყენებით წინადადებების წარმოქმნა, დაბოლოს თარგმნა - როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე. სასწავლო მასალად ძირითადად საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ლიტერატურული ტექსტები გამოიყენებოდა. ყველა სავარჯიშო თარგმნაში გაწაფვას ისახავდა მიზნად. გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდით სწავლებისას უპირატესობა ენიჭებოდა წერითი ენის შესწავლას, ასევე კითხვას და - მხოლოდ ნაწილობრივ - ზეპირ მეტყველებას. რაც შეეხება მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარებას, ამას გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი სრულიად უგულვებელყოფდა. გრამატიკული მასალის ათვისება ძირითადად ზეპირად დასწავლით ხდებოდა, ძალზე უმნიშვნელო ადგილი ეთმობოდა დიალოგებსა და სურათებისა და ფოტოების აღწერას.

გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდს საფუძვლად უდევს სწავლების კოგნიტური კონცეფცია, რომელიც წესების გაგებასა და გამოყენებას გულისხმობს. ენის სწავლების მიზანია არა ენის პრაქტიკული ფლობა, არამედ გრამატიკული ცოდნის

დაგროვება და (წერილობითი) თარგმანის შესრულების უნარის გამომუშავება. უცხო ენის გაკვეთილი მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს.

გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდს - გრამატიკაზე ორიენტირებულ სწავლებას - დაუპირისპირდა პირდაპირი/ბუნებრივი შესწავლის მეთოდი, რომელიც მე-20 საუკუნის 20-იან წლებში წარმოიშვა. ეს მეთოდი პრიორიტეტს სამეტყველო ენას ანიჭებს. მეთოდს საფუძვლად დაედო ვილჰელმ ვიეტორის თეორია, რომელიც მიზნად ისახავდა უცხო ენის გაკვეთილის გათავისუფლებას წერითი სწავლების მარწუხებისგან და უპირატესობას მეტყველებას - ლაპარაკისა და მოსმენის უნარს - ანიჭებდა (Viëtor 1882). მეთოდი კრძალავდა მშობლიური ენის გამოყენებას უცხო ენის გაკვეთილზე - უცხო ენის შესწავლა პირდაპირი გზით უნდა მომხდარიყო (აქედან მოდის მეთოდის სახელწოდებაც).

თუ გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდით სწავლებისას ჯგუფში მასწავლებელი დომინირებს, პირდაპირი მეთოდით სწავლებისას წინა პლანზე მოსწავლე გამოდის, ხოლო მასწავლებელს მოსწავლის პარტნიორის როლი ეკისრება. გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდისთვის დამახასიათებელი ფრონტალური ტიპის გაკვეთილის მაგიერ უპირატესობა ეძლევა სოციალური ქცევის ფორმების დანერგვას გაკვეთილზე (პარტნიორული და ჯგუფური სავარჯიშოები). პირდაპირი შესწავლის მეთოდი ლმობიერია მოსწავლეების შეცდომებისადმი და მკაცრი კონტროლის ნაცვლად უპირატესობას მოსწავლის გამხნევებასა და წახალისებას ანიჭებს, ფართო გასაქანი ეძლევა პროექტებზე მუშაობას, მოსწავლეებზე ორიენტირებულ გაკვეთილზე სამუშაო კლიმატიც შედარებით თავისუფალია.

პირდაპირი მეთოდით სწავლების პრიორიტეტია პირდაპირი და სწორი კომუნიკაცია, სწორედ ამიტომ ფონეტიკის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ფონეტიკის მსგავსად, მასწავლებლის მიზამვის (მის მიერ წარმოთქმულის მოსმენა-გამეორების) გზით ხდება გრამატიკული ფენომენების ათვისებაც. მასწავლებელს არ მოეთხოვება გრამატიკული წესების ახსნა გაკვეთილზე. პირდაპირი მეთოდისთვის ამოსავალია იმიტაციური, ასოციაციური და ინდუქციური კონცეფცია, იგი

ორიენტირებულია სამეტყველო ენაზე, არ იყენებს მთარგმნელობით სავარჯიშოებს და გრამატიკის ნაცვლად მეტ დროსა და ყურადღებას უთმობს ლექსიკური მასალის ათვისებას. ამ მეთოდით მუშაობისას ყველა საკლასო ოთახის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადენს დამხმარე მასალა სურათებისა თუ კედელზე გაკრული პლაკატების სახით. შესაბამისად, სახელმძღვანელოებშიც სავარჯიშოები კითხვა-პასუხზე, მოსასმენ შეტყობინებებზე, კარნახზე, ტექსტში გამოტოვებული ადგილების შევსებაზე და დიალოგების გათამაშებაზეა ორიენტირებული. ენის შესწავლა იწყება ბგერით, მისი ტრანსკრიფციული ნიშნებით და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ენობრივი იერარქიის უფრო მაღალი საფეხურების ერთეულების ათვისება. სწავლების პროცესში ყურადღება ექცევა ენის შემსწავლელთა ასაკს.

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის ალტერნატივად შექმნილ პირდაპირ/ზუნებრივ მეთოდს საფუძვლად ედო კონცეფცია, რომ უცხო ენის შესწავლა მშობლიური ენის შესწავლის მსგავსად მიმდინარეობს. ამ მეთოდზე დამყარებული უცხო ენის გაკვეთილისთვის დამახასიათებელია იმიტაცია, ინდუქცია და ერთენიანობა.

მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში დაინერგა ე.წ. **შერეული მეთოდი**, რომელიც გრამატიკულ-მთარგმნელობით და პირდაპირ მეთოდებს დაეყრდნო. სწავლების ეს მეთოდი ფართოდ გავრცელდა რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში. ამის მიზეზად შერეული მეთოდის მოქნილობა და მისი იმდროინდელი საზოგადოების მოთხოვნებთან შესაბამისობა სახელდება.

შერეული მეთოდი, რომელშიც სხვადასხვა მეთოდის ელემენტებია შერწყმული, ერთგვაროვან სამიზნე ჯგუფზეა ორიენტირებული. ასეთ მეთოდზე დაფუძნებული უცხო ენის გაკვეთილი ერთენოვანია და სამიზნე ენაზე მიმდინარეობს. გრამატიკას შედარებით მოკრძალებული, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება და მისი მიწოდება ინდუქციური მიდგომით ხორციელდება. სავარჯიშოთა სახეები ენის შემსწავლელის ენობრივ ქმედებას განსაზღვრავს.

ბიჰევიორისტული მეთოდი მე-20 საუკუნის 50-იან წლებში დააფუძნა ბ. ფ. სკინერმა (B. F. Skinner). ბიჰევიორიზმის (ინგლ. *behavior* – ქცევა) მიხედვით, გარეგნული

გამაღიზიანებელი (სტიმული), რომელიც მოქმედებს ინდივიდზე, იწვევს მის რეაქციას. შესაბამისად, სწავლება, ბიჰევიორიზმის მიხედვით, განიხილება, როგორც ქცევის ცვლილება. ბიჰევიორისტული მეთოდი სწავლებას მექანიკურ პროცესად - გარკვეული სახის სტიმულის (მაგალითად, აუდიო ან ვიზუალური ხასიათის გამაღიზიანებლის) საშუალებით გარკვეული რეაქციის გამოწვევად - მიიჩნევს. შესაბამისად, სწავლა, ამ მეთოდის მიხედვით, იმიტაციური პროცესია. უცხო ენის სწავლებისას ეს მეთოდი უცხო სიტყვების, გამოთქმებისა და წინადადებების გამეორებას, მიმსგავსებასა და დამახსოვრებას გულისხმობს. სავარჯიშოები ისეა აგებული, რომ მცირე დოზებით მოხდეს მასალის ათვისება და მისი განმტკიცება. მხოლოდ მასალის მყარად შესწავლის შემდეგ ხდება ახალ მასალაზე გადასვლა. ენის შემსწავლელნი წარმატების შემთხვევაში იმსახურებენ ქებას, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში - კრიტიკას.

თანამედროვე დიდაქტიკოსები ბიჰევიორისტულ მეთოდს კრიტიკულად განიხილავენ, რადგან ამ მეთოდით სწავლება სრულიად უგულებელყოფს ენის შემსწავლელის კოგნიტურ პოტენციალს. ის, რომ შემსწავლელი შემოქმედებითად მიუდგეს ენას და შექმნას წინადადებები, რომლებიც მანამდე არასოდეს გაუგონია, არაა პრიორიტეტული ამ მეთოდისთვის. ბიჰევიორისტული მეთოდი ენის მექანიკურ, ხელოვნურ შესწავლას გულისხმობს. მართალია, გამეორება და იმიტირება დღესაც გამოიყენება განსაკუთრებულ შემთხვევებში (“ძნელი” გრამატიკული ფენომენის ათვისება, წარმოთქმის გააქტიურება), მაგრამ ის არ წარმოადგენს სწავლების ძირითად მეთოდს.

იმის მიხედვით, თუ რა ხასიათისაა გამაღიზიანებელი - აუდიტური თუ ვიზუალური - განასხვავებენ აუდიო-ლინგვალურ და აუდიო-ვიზუალურ მეთოდებს.

ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია **აუდიო-ლინგვალური მეთოდი**, რომელიც გასული საუკუნის 40-იან წლებში ჩამოყალიბდა ამერიკაში. ამ მეთოდმა განსაკუთრებული პოპულარობა პოვა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. მას ხშირად იყენებდნენ სამხედრო თარჯიმნების მოსამზადებლად, რომლებსაც ძალიან მოკლე დროში ისე უნდა შეესწავლათ უცხო ენა, რომ წარმატებული კომუნიკაცია ეწარმოებინათ

ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამიტომ ამ მეთოდს ხშირად სამხედრო მეთოდსაც უწოდებენ (Butzkamm 1978: 99).

სახელწოდებიდანაც ნათელია, რომ აუდიო-ლინგვალური (ლათ. *audire* მოსმენა) მეთოდისთვის პრიორიტეტულია მოსმენისა და ზეპირი მეტყველების უნარი. ამ მეთოდით შექმნილ სახელმძღვანელოებში ხელოვნურად შექმნილი დიალოგები და ქვეყანათმცოდნეობითი ინფორმაციის შემცველი ტექსტები ჭარბობდა. მეთოდი ყურადღებას აქცევდა გრამატიკის შესწავლას. ენის შემსწავლელი გრამატიკას ძირითადად ყოფითი, სიტუაციური დიალოგების ხშირი მოსმენით ითვისებდა. ლ. გოეტცე ყურადღებას ამახვილებს ამ მეთოდთან დაკავშირებულ მთავარ თავისებურებაზე - ხელოვნურ სასწავლო გარემოზე, რომელიც რაც შეიძლება მოკლე დროში უცხო ენაზე ამეტყველების მიზნითაა შექმნილი (Götze 1990: 6).

რადგან აუდიოლინგვალური მეთოდის ქომაგებს მიაჩნდათ, რომ ენის ცოდნა გრამატიკული სტრუქტურის საფუძვლიან ცოდნას გულისხმობს, ამიტომ ამ მეთოდით სწავლების პროცესში გამეორების, იმიტირების სავარჯიშოები ჭარბობდა. აღსანიშნავია, ამასთანავე, რომ ვიზუალური მასალის გამოყენებით გრამატიკული წესების ახსნისას თავს არიდებდნენ თეორიულ წიაღსვლებს.

აუდიო-ლინგვალური მეთოდით სწავლებისას უპირატესობა ენიჭებოდა დედაენის მატარებელ მასწავლებელს, მოსწავლე ბაძავდა მას და მისგან იღებდა ენობრივ ჩვევებს. მშობლიური ენა გაკვეთილზე საერთოდ არ გამოიყენებოდა.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში საფრანგეთში ჩამოყალიბდა უცხო ენის შესწავლის **აუდიო-ვიზუალური** (ლათ. *audire* მოსმენა; *videre* ხედვა) **მეთოდი**, რომელმაც განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა კანადაში, იუგოსლავიაში, ინგლისსა და თურქეთში. ეს მეთოდი გამოიყენებოდა მოზრდილთა კურსებზე, რომელთა ხანგრძლივობაც ოთხ თვეს შეადგენდა. მთელი კურსის მანძილზე 300 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა აუდიტორიული და ლაბორატორიული მუშაობა.

აუდიო-ვიზუალური მეთოდის მიხედვით, ენის შესწავლის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს მუდმივ კავშირში თვალსაჩინოებასთან. ამიტომ უცხო ენის

შემსწავლელს ახალი მასალა აკუსტიკურ-ვიზუალური სახით მიეწოდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა ენობრივი ფორმის გაცნობა. მთავარი ყურადღება აქ ვიზუალიზაციას ექცეოდა (ენის ლაბორატორიები, დიაფილმები, ფილმები, ტელევიზია და სხვ.). ამ მეთოდით ენის შემსწავლელნი გადატვირთულნი იყვნენ მულტიმედიური მასალით. ამავე მეთოდით ხდებოდა წერისა და კითხვის უნარ-ჩვევების გამომუშავება და გრამატიკული მასალის შესწავლა. უცხო ენის გაკვეთილი მხოლოდ უცხო ენაზე მიმდინარეობდა. კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ამ მეთოდით სწავლებისას ენა ხელოვნური დიალოგების საფუძველზე შეისწავლებოდა, რასაც საბოლოოდ სასურველი შედეგი ვერ მოჰქონდა. გ. ნოინერი აღნიშნავდა, რომ ამ მეთოდით სწავლებისას “მასწავლებლის როლი მედიის ტექნიკოსის როლამდე დაიყვანება” (Neuner 1989: 150).

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როდესაც ევროპის ქვეყნებში უცხოელთა რიცხვმა ერთბაშად საგრძნობლად იმატა, საჭირო გახდა ენის სწავლების ისეთი მეთოდის შემუშავება, რომელიც შემსწავლელებს უმოკლეს დროში მისცემდა ყოველდღიურობაში - ანუ უცხო (უცხოენოვან) გარემოში - ორიენტირების საშუალებას. შეიქმნა სახელმძღვანელოები, რომლებშიც მოცემული იყო ყოფით თემებზე აგებული დიალოგური ტექსტები. ამ ტექსტებში შეფარვით გრამატიკული თემაც იყო წარმოდგენილი და გრამატიკული ნორმების ახსნისას მასწავლებელი ინდუქციის გზას იყენებდა (მაგალითი - წესი - გამონაკლისი).

კოგნიტური მეთოდი ენის შემსწავლელს პროცესის აქტიურ - და არა პასიურ - თანამონაწილედ აქცევს (Ballweg et al. 2013: 17). კოგნიტივიზმი ახლის ძველთან უშუალო კავშირში ათვისებას გულისხმობს. კოგნიტური მეთოდის მიხედვით, სწავლის პროცესში ხდება ახლის შეცნობა და მისი უკვე არსებულ ცოდნაში ინტეგრირება. კოგნიტივიზმი შეგნებული, გააზრებული სწავლის პროცესს ნიშნავს. უცხო ენის შესწავლისას ხდება ინფორმაციის ამორჩევა და მისი დამოუკიდებლად დამუშავება. მასწავლებლის როლი ამ პროცესში მითითებებით შემოიფარგლება, რომლებითაც მან შემსწავლელს ყურადღება განსაზღვრულ ენობრივ ფენომენებზე უნდა მიაქცევინოს. უცხო ენის სწავლებისას გაკვეთილზე გამოიყენება ინდუქციური მეთოდი - შემსწავლელს წესებისა და

კანონზომიერებების დამოუკიდებლად აღმოჩენისა და განხილვისკენ უბიძგებენ. ამ დროს დიდი დრო ეთმობა კოგნიტურ, გააზრებულ, ანალიტიკურ მუშაობას: ხდება ახალი მასალის გაანალიზება და მისი დაშენება არსებულ ცოდნაზე.

დისკუსია უცხო ენის სწავლების მეთოდის გარშემო არასოდეს შეწყვეტილა. გასული საუკუნის 70-იან წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა **კომუნიკაციურ დიდაქტიკას უცხო ენების სწავლების პროცესში**. ამ მეთოდის ძირითადი მიზანი წარმატებული ენობრივი ქმედების მისაღწევად უცხოენოვანი სამეტყველო უნარ-ჩვევების (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) თანაბარზომიერი გამომუშავება იყო. ამ მეთოდით სწავლება გრამატიკულ პროგრესიას, საბაზისო ლექსიკის გამდიდრებას და ყოფითი კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას ემყარებოდა. კომუნიკაციური მეთოდით სწავლებისას გრამატიკას უცხო ენის გაკვეთილზე აღარ აქვს ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც სხვა მეთოდებით სწავლებისას ჰქონდა. მთავარი და გადამწყვეტი კომუნიკაციური მეთოდისთვის სწრაფი კომუნიკაცია, სიტყვათა მარაგის დაგროვება და სწორი წარმოთქმაა. სწორედ ამიტომ მასწავლებელსა და მოსწავლეს, ისევე როგორც მოსწავლესა და მოსწავლეს შორის ინტერაქცია გაკვეთილზე - სხვადასხვა სოციალური ფორმით - უცხო (შესასწავლ) ენაზე მიმდინარეობს.

როგორც აუდიო-ლინგვალური, ასევე პირდაპირი მეთოდი გამორიცხავდა შემსწავლელის კოგნიტური და შემოქმედებითი პოტენციალის გააქტიურებას ენის შესწავლის პროცესში, სხვაგვარი იყო ასევე მასწავლებლისა და ენის შემსწავლელის როლების განაწილებაც. კომუნიკაციური მეთოდი, რომელიც გაკვეთილზე კომუნიკაციას მოითხოვს, ცვლის სოციალურ ფორმებს სწავლების პროცესში. სასწავლო მასალა შედარებით თავისუფალია და მორგებულია ენობრივ კომუნიკაციაზე.

კომუნიკაციური მეთოდით სწრაფად და მიზანმიმართულად ხდება საკომუნიკაციო კომპეტენციის შექმნა, რომელიც სასარგებლოა ყოველდღიური ურთიერთობებისთვის, მაგალითად, რესტორანში, მაღაზიაში, ტრანსპორტში და ა.შ. კომუნიკაციური მეთოდი მხოლოდ გარკვეული სამიზნე ჯგუფისთვის განკუთვნილი მეთოდია, რათა სწრაფად და ეფექტურად მოხდეს ენის საკომუნიკაციო დონეზე ათვისება.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს იქმნება **ალტერნატიული სწავლების მეთოდი**. იგი კრებითი ცნებაა სწავლების კონცეფციებისა, რომლებიც სხვადასხვა ადგილას ჩამოყალიბდა. ალტერნატიული მეთოდი სხვადასხვა კერძო სკოლაში უცხო ენის ზრდასრულთათვის სწავლებისას გამოიყენება.

ი. დიტრიხი განასხვავებს ალტერნატიული სწავლების ღია და დახურულ მეთოდებს. ღია მეთოდი ვარიაციის ფართო შესაძლებლობებს იძლევა, დახურული კი წინასწარ გაწერილ ნაბიჯებსა და სახელმძღვანელოებს მოითხოვს (Dietrich 1989: 159).

ალტერნატიული მეთოდის დამახასიათებელი ნიშნებია: ჯგუფური მუშაობა, შეცდომების გასწორება, მასწავლებლისა და მოსწავლის შეცვლილი როლები, თავისუფალი და შეუზღუდავი გარემო გაკვეთილზე. უ. ედმონდსონი და ჯ. ჰაუსი მიუთითებენ, რომ შემსწავლელმა, როგორც ინდივიდმა, საკუთარი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს სწავლის პროცესში (Edmondson/House 1993: 116). მასწავლებელს ამ შემთხვევაში პარტნიორის, კურატორის, ფსიქოთერაპევტის როლი ეკისრება. იგი უნდა შეეცადოს შემსწავლელის პრობლემები და სიძნელები გაიზიაროს და დაეხმაროს მას მათს დაძლევაში, მასთან ერთად ეძებოს გამოსავალი. სწავლის პროცესმა შემსწავლელს სიამოვნება უნდა მიანიჭოს და, შესაბამისად, უნდა შეიქმნას ჰარმონიული და დაუძაბავი გარემო. პოზიტიური გარემო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ალტერნატიული მეთოდით სწავლებისა, რათა ენის შემსწავლელს მოეხსნას ყველანაირი ენობრივი დაძაბულობა, გაუადვილდეს კომუნიკაცია და მოკლე დროში მოუხერხდეს ენობრივი კომპეტენციის მოპოვება (Bauer 1990: 111).

ალტერნატიული მეთოდი დიდ ინტერესს და დისკუსიას იწვევს. ი. დიტრიხი აღნიშნავს, რომ ამ მეთოდის პროპაგანდისტები უარყოფენ ტრადიციულ სამეცნიერო კატეგორიებს და წინა პლანზე სწავლების პროცესის მსოფლმხედველობრივ, ეზოტერულ, ნეიროფსიქოლოგიურ ახსნას აყენებენ (Dietrich 1989: 159). სასწავლო მასალა მოკლებულია შინაარსს და არასისტემურია (Bauer 1990: 162). არ არსებობს ერთგვაროვანი დადასტურება იმისა, რომ ეს მეთოდი უცხო ენის სწავლებისას წარმატებული იყო. შესაძლოა, არსებობს სამიზნე ჯგუფები, რომლებშიც ალტერნატიული მეთოდის მიმართ

განსაკუთრებული ინტერესია და რომლებშიც ალტერნატიულმა მეთოდმა გაამართლა კიდეც. ენის სწავლებისას მუდამ გასათვალისწინებელია სამიზნე ჯგუფი, სწავლების მიზანი და კონკრეტული ამოცანა. მუსიკისა და სხვა ალტერნატიული საშუალებებით შემსწავლელთა მოტივირება, მოძრაობის ელემენტების შემოტანა გაკვეთილზე და პოზიტიური გარემოს შექმნა - ეს ის სასწავლო კომპონენტებია, რომლებსაც ალტერნატიული მეთოდი ფართოდ იყენებს. შესაძლებელია, რომ სამიზნე ჯგუფზე გათვლით მასწავლებელმა ამგვარი სასწავლო ელემენტების სასწავლო პროცესში ჩართვა მოახერხოს, რამაც, შესაძლოა, შემსწავლელთა მოტივაციის ამაღლებას და გახსნილობას, მათ კომპლექსებისგან გათავისუფლებას შეუწყოს ხელი.

ზემოთ აღწერილი სწავლების მეთოდების განხილვისას სამიზნე ჯგუფები, სიტუაციები, ამოსავალი კულტურა, მოტივაცია და უცხო ენის შესწავლის მიზნები იმდენად მრავალფეროვანი და განსხვავებულია, რომ შეუძლებელია ერთადერთი სწორი გზა და მიდგომა არსებობდეს. ყოველ მეთოდს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, საჭიროა, რომ მასწავლებელი კარგად გაეცნოს თითოეულ მეთოდს და თითოეულისგან საუკეთესო აიღოს სამიზნე ჯგუფის სპეციფიკის გათვალისწინებით.

1.3. რეცეფციული და პროდუქციული უნარ-ჩვევების განმავითარებელი აქტივობები უცხო ენის გაკვეთილზე

დუდენის უნივერსალური ლექსიკონის მიხედვით, უნარ-ჩვევა არის "ამა თუ იმ საქმიანობის შესრულებისას შეძენილი მოხერხებულობა, რუტინა, ტექნიკა..." (Universal Wörterbuch 2015: 597). ენასთან მიმართებაში ბარბარა დალჰაუზი უნარ-ჩვევას განიხილავს, როგორც ენობრივი (სიტყვები, ბგერები), არაენობრივი (ინტონაცია, მახვილი) და მსოფლმხედველობითი ელემენტების ურთიერთკავშირს (Dalhaus 1995: 12).

უცხო ენის გაკვეთილის მეთოდოლოგია განასხვავებს ოთხ ძირითად უნარ-ჩვევას: მოსმენას, საუბარს/მეტყველებას, წერას და კითხვას. ეს უნარები განსხვავდება ერთმანეთისგან რეცეფციის/გაგების და პროდუქციის მიხედვით. სქემატურად ეს ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

უნარ-ჩვევა	რეცეფციული	პროდუქციული
ზეპირი	მოსმენა	საუბარი/ლაპარაკი
წერითი	კითხვა	წერა

მიუხედავად რეცეფციული და პროდუქციული უნარების განსხვავებულობისა, ყველა ეს უნარ-ჩვევა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მათი ერთობლიობა და ურთიერთდამოკიდებულება განაპირობებს ენის ათვისების პროცესის სირთულესა და კომპლექსურობას.

უცხო ენის შესწავლა ენობრივ გარემოში უფრო ადვილია, ამ დროს კარგად ვითარდება ზეპირი უნარები - მოსმენა და ლაპარაკი, ხოლო ენის ათვისება სხვა ქვეყანაში, გეოგრაფიულად ენობრივ გარემოსგან დაშორებულ ტერიტორიაზე, გაცილებით რთულად მიმდინარეობს და ამ დროს უკეთ ვითარდება წერითი უნარები (კითხვა და წერა).

ჰ. ვ. ჰუნეკესა და ვ. შტაინიგის მიხედვით, ენის ზეპირი და წერითი უნარების განვითარებისას კომპლექსური ფსიქოლინგვისტური პროცესები მიმდინარეობს, რომლებიც ბოლომდე შესწავლილი არ არის. ამ პროცესების სირთულეს დედაენაზე მოსაუბრე ვერ აღიქვამს, თუმცა უცხო ენის შესწავლისას ამ უნარ-ჩვევების განვითარება საკმაო ძალისხმევას მოითხოვს (Hunecke/Steinig 2013: 142).

კითხვა და მოსმენა რეცეფციულ უნარ-ჩვევებს მიეკუთვნება და პირველი კონტაქტი უცხო ენასთან სწორედ ამ უნარ-ჩვევების განვითარებითა და ჩართულობით იწყება. სწავლების კომუნიკაციურმა მეთოდმა კი ლაპარაკი და წერა დასახა პრიორიტეტებად, თუმცა 70-იანი წლების ბოლოდან კომუნიკაციური მეთოდის ახალმა ტალღამ გაათანაბრა პროდუქციული და რეცეფციული უნარ-ჩვევები და კითხვა-მოსმენა კვლავ აღდგა თავის უფლებებში უცხო ენის გაკვეთილზე.

უცხო ენის შესწავლის პირველ ეტაპზე კითხვა მექანიკურ პროცესად გვევლინება, ენის შემსწავლელი აღიქვამს და არჩევს ასოებს, მათ თანამიმდევრობას, ითვალისწინებს მართლწერის წესებს და ახდენს ენობრივი ნიშნების დეკოდირებას. მაგრამ კითხვის პროცესი მარტო დეკოდირება არაა. კითხვისას განასხვავებენ კითხვის რამდენიმე სტილს.

იმის მიხედვით, თუ მკითხველის რომელ ინტერესსა და მიზანს ემსახურება კითხვა, გ. ვესტჰოფი კითხვის შემდეგ სტილებს განარჩევს:

- დეტალიზებული კითხვა
- ძებნითი/სელექციური კითხვა
- გლობალური კითხვა, იგივე კურსორული კითხვა
- დახარისხებული კითხვა (Westhoff 1997: 100).

დეტალიზებული კითხვა იმას გულისხმობს, რომ მკითხველი ტექსტს დეტალურად კითხულობს და ყველა ინფორმაციას დეტალებში აღიქვამს. არ ხდება ტექსტში რაიმე პასაჟის გამოტოვება, იგი იკითხება მთლიანად და დაკვირვებით. შესაბამისად, სავარჯიშოებიც ისეა აგებული, რომ ტექსტის სრულყოფილად გაგების გარეშე მათი შესრულება შეუძლებელი იყოს.

ძებნითი ანუ სელექციური კითხვა გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის მიზანმიმართულად მოძიებას ტექსტში, ტექსტის თემატიკის თანამიმდევრულად ჩამოყალიბებას, კითხვებზე პასუხის გაცემას, ჰიპოთეზების გადამოწმება-დადასტურებას და ა.შ. ასეთი სტილით კითხვისას არ არის აუცილებელი მთელი ტექსტის წაკითხვა, არამედ მხოლოდ გარკვეული კონკრეტული ინფორმაციის მოძიება და გადამოწმება საჭირო. სელექციური კითხვისას მკითხველი ამოწმებს, თუ რამდენად მართებულია (მის ან სხვათა მიერ გამოთქმული) ვარაუდი, რომ ტექსტი ამა და ამ შინაარსის ინფორმაციას შეიცავს.

გლობალური კითხვა, იგივე კურსორული კითხვა, გულისხმობს ტექსტის გლობალურ, ზოგად აღქმას და გაგებას, ტექსტის თემის შესახებ წარმოდგენის შექმნას. კითხვის ეს სტილი მაშინ გამოიყენება, როდესაც მკითხველს მხოლოდ ძირითადი, უმთავრესი ინფორმაცია აინტერესებს. გლობალური კითხვის სტილი გამოიყენება განცხადებების, საგაზეთო სტატიების, ინტერნეტში მოძიებული მასალის კითხვისას. გლობალური კითხვის სავარჯიშო დავალებები ტექსტის შინაარსისგან დამოუკიდებელი კითხვებისგან შედგება.

დახარისხებული კითხვისას ერთმანეთშია შერწყმული კითხვის გლობალური, სელექციური და დეტალიზებული სტილი. მკითხველი ჯერ მთლიანად კითხულობს ტექსტს და იქმნის შთაბეჭდილებას ტექსტის გლობალური ინფორმაციის შესახებ, რის შემდეგაც იგი კიდევ ერთხელ - ოღონდ ამჯერად უკვე მიზანმიმართულად და დეტალურად - კითხულობს ტექსტის გარკვეულ ადგილებს (სელექციური და დეტალიზებული კითხვა). ასე, მაგალითად, მკითხველს ხელთ აქვს წიგნი, სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც მას არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ - გარკვეული თემატიკის გამო - აინტერესებს. ის კითხულობს ჯერ სარჩევს, შემდეგ კი წიგნის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც მისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა (სელექციური და დეტალური კითხვა).

ქვემოთ მოცემული სქემა კითხვის სტილის თვალსაჩინოდ აღქმის საშუალებას იძლევა:

კითხვის სტილი	კითხვის მიზანი და ინტერესი	მაგალითი
გლობალური კითხვა	ტექსტის თემატიკის შესახებ წარმოდგენის შექმნა	საგაზეთო განცხადებების გადახედვა და საჭირო ინფორმაციის მოძიება
ძეზნითი, სელექციური კითხვა	ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის მოძიება	ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის მოძიება და გადამოწმება
დახარისხებული კითხვა	ტექსტის თემატიკის მიხედვით იმის განსაზღვრა, მისი რომელი ნაწილია მკითხველისთვის კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო	ძირითადი, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიება ტექსტში და იმ ნაწილის წაკითხვა, რომელიც მნიშვნელოვანი და საინტერესოა მკითხველისთვის კონკრეტულ შემთხვევაში
დეტალიზებული კითხვა	ტექსტის დეტალური გაგება და აღქმა	წამლის რეცეპტი: ზუსტი მითითება დოზის და შემადგენლობის შესახებ

უცხო ენის სწავლების დიდაქტიკა კითხვის უნარ-ჩვევის გასაუმჯობესებლად შემდეგი სახის დავალებებს გვთავაზობს:

- მოთელვითი/მოსამზადებელი დავალებები (თემის შესახებ ასოციოგრამის შედგენა, ლექსიკური დავალებები, წინარე ცოდნის აქტივაცია და სხვ.);
- კითხვითი დავალებები (კონკრეტულ შინაარსზე ორიენტირებული ან ზოგადი სახის სტრატეგიული კითხვები);
- დავალებები ტექსტის გაგების შესამოწმებლად (სწორი/არასწორი, ტექსტის გამოტოვებული ადგილის შევსება);
- სტრუქტურული დავალებები (ტექსტის ნაწილების, აბზაცების სწორი თანმიმდევრობით დალაგება, შესატყვისის პოვნა და სხვ.).

მოსმენა უცხო ენის შესწავლისას ერთ-ერთ ყველაზე რთულად განსავითარებელ უნარ-ჩვევად ითვლება. მოსმენის უნარ-ჩვევის გარეშე უცხო ენის ცოდნა წარმოუდგენელია. მოსმენის წილი უცხო ენის გაკვეთილზე სხვადასხვა მეთოდის გამოყენებისას განსხვავებული იყო. მაგალითად, გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდისთვის მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარება საერთოდ არ იყო მნიშვნელოვანი. ეს მიდგომა შეიცვალა უკვე აუდიო-ლინგვალური და აუდიო-ვიზუალური სწავლების მეთოდებით სწავლებისას, ხოლო მოგვიანებით კომუნიკაციური და ინტერკულტურული სწავლებისას მას პრიორიტეტი მიენიჭა. თანამედროვე უცხო ენის სწავლების მეთოდიკა მოსმენას ერთ-ერთ ძირითად უნარ-ჩვევად განიხილავს და მის განვითარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. გერმანელი დიდაქტიკოსი ა. შუმანი აღნიშნავს, რომ "მოსმენა მოიცავს აღქმას, გაგებას, ენობრივი გამონათქვამების ინტერპრეტაციას და, ამგვარად, ყველანაირი ინტერაქციის წინაპირობას წარმოადგენს. ამიტომაცაა, რომ მოსმენას მთავარი როლი ენიჭება კომუნიკაციის პროცესში" (Schumann 1995: 244).

საგულისხმოა, რომ ყოველდღიურ კომუნიკაციაში მოსმენა დომინირებს. კვლევების შედეგად დგინდება, რომ მოსმენის წილი ყოველდღიურ კომუნიკაციაში 42%-ია, მაშინ როდესაც ლაპარაკზე მხოლოდ 32%, კითხვაზე 15%, ხოლო წერაზე 11% მოდის (Solmecke 2001: 893).

მოსმენა განიხილება, როგორც აუდიო ან აუდიო-ვიზუალური წყაროდან მიღებული ინფორმაციის აღქმა. იგი რთული და კომპლექსური პროცესია. მსმენელი ენის ბგერებს ხმის ტალღების მეშვეობით აღიქვამს, ახდენს მათ სეგმენტირებას და დიფერენცირებას, უკავშირებს მათ სემანტიკურ მნიშვნელობას. ტვინი ახდენს სენსორულ საინფორმაციო მეხსიერებაში შეღწეული ნებისმიერი სახის ხმაურის გადამოწმებას. თუ ხმაური ბგერებს (ენობრივ მონაცემებს) წარმოადგენს, ხდება მათი ფონოლოგიური დეკოდირება მნიშვნელობის მქონე ელემენტებად (Solmecke/Paschke 1993: 13).

მოსმენის პროცესის თანმიმდევრობა შესაძლებელია ასე წარმოვიდგინოთ: თავდაპირველად მიმდინარეობს ენობრივი სიგნალების აღქმა, სეგმენტირება და იდენტიფიცირება, ხოლო ამის შემდეგ - მოსაუბრის ენობრივი მონაცემების, სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურების ამოცნობა, მათი შესატყვისი მნიშვნელობების მოძიება და გაგება. ასე მარტივად წარმოდგენილი სურათი სინამდვილეში რთულ ფიზიოლოგიურ პროცესებსა და მოვლენებს მოიცავს და მრავალი ბარიერის გადალახვაა საჭირო იმისათვის, რომ მოსმენილის აღქმა და გაგება მოხერხდეს. ჰ. ჰორმანის მიხედვით, მოსმენის პროცესი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ორ დონეზე მიმდინარეობს: 1. ქვედა (ფიზიკურ) დონეზე, რომელზეც ხდება აკუსტიკური სიგნალების აღქმა, სიტყვების ამოცნობა და სინტაქსური სტრუქტურების ანალიზი; 2. ზედა (კოგნიტურ) დონეზე, რომელზეც მსმენელი არჩევს ტექსტის სახეობას, ენის ინტენსიურობას და აფასებს ნათქვამს (Hörmann 1981: 137-138).

მოსმენის პროცესი ორივე დონეზე თანადროულად მიმდინარეობს, დონეები ერთმანეთისგან იზოლირებულნი კი არ არიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ. დედაენაზე მოსმენა ავტომატური და ინტუიციურად დაფუძნებული პროცესია, მაშინ როდესაც უცხო ენაზე მოსმენა კოგნიტური ხასიათისაა და გასააზრებლად დროს მოითხოვს.

ბ. დალჰაუზის მიხედვით, უცხო ენის გაკვეთილზე გამოიყენება ავთენტური (რეალური) და არავთენტური (ხელოვნური) მოსასმენი ტექსტები. ავთენტური ტექსტებისთვის დამახასიათებელია რეალური სიტუაციური ფონი, ლაპარაკის სისწრაფე, ყოველდღიური ენობრივი ფორმები და კომპლექსური მორფოლოგიურ-სინტაქსური

კონსტრუქციები, არაავთენტური მოსასმენი ტექსტები კი მიზანმიმართულად იქმნება სასწავლო ამოცანის შესაბამისად: საუბრის ტემპი და გრამატიკული სტრუქტურები მორგებულია გაკვეთილის მიზანს (Dalhaus 1995: 52).

გერმანული ენის სახელმძღვანელოების ავტორთა ერთი ჯგუფი იყენებს ავთენტურ ტექსტებს, რომლებიც რეალური სიტუაციიდანაა აღებული, მაგრამ, სწავლების მიზნის შესაბამისად, ენობრივ კონტროლსაა დაქვემდებარებული, დიდაქტიზებულია: ტექსტებიდან ამოღებულია ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც სწავლების ამ საფეხურისთვის შეუსაბამოა, თუმცა რეალური სიტუაციური ფონი მაინც საგრძნობია.

მოსასმენი სიტუაციის შესაბამისად, უცხო ენის გაკვეთილზე ტიპოლოგიურად განსხვავებული ტექსტები გამოიყენება. განსხვავებენ დიალოგებს, განცხადებებს, სარეკლამო განაცხადებს, ახალ ამბებს, სიმღერებს, ინტერვიუს, შეფასებებს, რჩევებს და ა.შ.

უცხო ენის სწავლების დიდაქტიკა მოსმენის სტილის ტიპოლოგიზებას საკამათოდ მიიჩნევს, თუმცა, ბ. დალჰაუზი, კითხვის სტილების მსგავსად, განსხვავებს ასევე მოსმენის რამდენიმე სტილს:

- **გლობალური მოსმენა** - მსმენელი მიზნად ისახავს მხოლოდ უმთავრესი, ძირითადი ინფორმაციის მიღებას, ახდენს საკვანძო სიტყვებისა და ძირითადი ასპექტების იდენტიფიცირებას.

- **სელექციური მოსმენა** - ჰგავს გლობალურ მოსმენას. მსმენელი, რომელსაც ძალუძს მოსასმენი ტექსტის ძირითადი ინფორმაციის აღქმა, იხელთებს იმ კონკრეტულ ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვნად მიაჩნია. განსხვავება გლობალურ და სელექციურ მოსმენას შორის დამოკიდებულია მსმენელის განზრახვაზე, თუ რისი მოსმენა სურს მას.

- **სელეგირებადი მოსმენა** - გულისხმობს მსმენელის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას, თუ რის მოსმენა სურს მას. ამ დროს მთავარია მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელოს შორის განსხვავების მოხელთება.

• **დეტალიზებული მოსმენისას** ყველა ინფორმაცია მნიშვნელობის მქონეა. მსმენელი ყურადღებას აქცევს მოსასმენი ტექსტის ყველა დეტალს. ამგვარად მოსასმენ ტექსტებს განეკუთვნება, მაგალითად, რეცეპტი, ინსტრუქცია, გზის აღწერა და სხვ.

მოსმენის სტილისა და ტექსტის სახეობების გარჩევა მოსმენის სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც პრობლემაზე ორიენტირებული, მიზანმიმართული ტექნიკის საშუალებით ცდილობს მიღებული ცოდნა ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. მოსმენის სტრატეგიის ტიპოლოგია საკამათო და სამსჯელო საკითხია. ჩვენი განხილვისას ვეყრდნობით გ. სოლმეკეს (Solmecke 1992) ტიპოლოგიას:

- გაგებულზე, ნაცნობ ინფორმაციაზე კონცენტრირება;
- შეძლებისდაგვარად მოკლე დროში ტექსტის თემატიკის დადგენა;
- გაგებულის ინტერფერენციის გზით განვრცობა;
- ტექსტის სიუჟეტის განვითარების მოლოდინი;
- მნიშვნელოვანის უმნიშვნელოსგან განსხვავება (ინტონაციის, მახვილის

მიხედვით);

ის, თუ მოსმენის რომელი სტრატეგიის გამოყენებაა მიზანშეწონილი უცხო ენის გაკვეთილზე, დამოკიდებულია სამიზნე ჯგუფზე.

კითხვისა და მოსმენის უნარ-ჩვევების ერთმანეთისგან განმასხვავებელი ერთ-ერთი ფაქტორია დრო. კითხვის ტემპს განსაზღვრავს მკითხველი, მას შეუძლია დაუბრუნდეს წაკითხულს და რამდენჯერმე გადაავლოს თვალი ტექსტს, ხოლო მოსმენისას მსმენელი ვერ არეგულირებს მოსასმენი ტექსტის ტემპს. ამის გამო ხშირია სტრესი, რომელიც ხელს უშლის მსმენელს მობილიზებაში.

ბ. დალჰაუზი განასხვავებს მოსასმენი სავარჯიშოების შემადგენელი დავალებების სამ სახეობას:

1. **დავალება მოსმენის წინ** ააქტიურებს მსმენელის წინარე ცოდნას, აღვიძებს მის ცნობისმოყვარეობას და აძლიერებს მოსმენის მოტივაციას (ასოციოგრამა, სიტუაციისა და თემატიკის ვიზუალიზაცია, ლექსიკური სავარჯიშოები, გარკვეული თემის ირგვლივ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა და ა.შ.).

2. **დავალება მოსმენის მიმდინარეობისას** მსმენელის მეტ მობილიზებასა და ინტერესს მოითხოვს (კითხვებზე პასუხი, ვიზუალური კარნახი, გზის აღწერა, გამოტოვებული ადგილების შევსება და სხვ.).

3. **დავალება მოსმენის შემდეგ** იძლევა იმის შეფასების შესაძლებლობას, თუ რამდენად სწორად აღიქვა და გაიგო მსმენელმა მოსმენილი (კითხვებზე პასუხი: სწორია/არ არის სწორი, კი/არა; ხდომილებათა სწორი თანმიმდევრობის დადგენა და სხვ.).

მოსასმენი სავარჯიშოების კომპლექსურობა განსაკუთრებულ კონცენტრირებას მოითხოვს და ამიტომ არცთუ იშვიათად სტრესთანაც არის დაკავშირებული. სტრესი აფერხებს კოგნიტური სამუშაოს შესრულებას, ხოლო რადგან მოსმენა კოგნიტური პროცესია, მოსმენისას მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს დაუძაბავი, საგანზე ორიენტირებული სამუშაო ატმოსფეროს შექმნა, რათა ენის შემსწავლელს მოსმენა და დავალების შესრულება გაუადვილდეს.

სხვა უნარ-ჩვევების მსგავსად, **წერის უნარ-ჩვევასაც** სწავლების სხვადასხვა მეთოდი სხვადასხვა ღირებულებას ანიჭებს. მაშინ, როდესაც გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდისთვის წერა პრიორიტეტულია, იგი ნაკლებად მნიშვნელოვანია აუდიო, აუდიო-ვიზუალური და კომუნიკაციური მეთოდით სწავლებისას.

წერა პროდუქციულ უნარ-ჩვევას წარმოადგენს. წერისას უკეთესად ხერხდება ენის გამოყენების კორექტულობის ხარისხის კონტროლი. განსხვავდება სავარჯიშოების სახეობები: განცხადებებთან, ანონსებთან და ზოგად საინფორმაციო ჩანაწერებთან ერთად, სწავლების მაღალ საფეხურებზე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე კრეატიულ, შემოქმედებით წერას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უცხო ენის გამოყენების ყველა ძირითადი უნარ-ჩვევა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და არცერთი მათგანი არ დგას იზოლირებულად. შესაბამისად, წერითი უნარის გავარჯიშება შესაძლოა კითხვის ან მოსმენის თემატიკის ლოგიკური გაგრძელება იყოს ან საკუთრივ წერის კომპეტენციის განვითარებას უწყობდეს ხელს. ამგვარად, წერა შეიძლება იყოს სწავლების მიზანი (მაგ., ფორმალური

წერილის დაწერა) ან შუალედური, დამხმარე საშუალება სხვა უნარ-ჩვევის გასავითარებლად (მაგ., გრამატიკის, ლექსიკის სწავლება).

წერის დროს ხდება ასოების, სიტყვების, წინადადებების მეშვეობით აზრების მანიფესტირება და მათი ერთმანეთთან დაკავშირება. გამონათქვამის ჩამოყალიბების სირთულე წერის პროცესის გახანგრძლივებას იწვევს.

წერის, როგორც სამიზნე უნარ-ჩვევის, განვითარება შემსწავლელისგან საბაზისო ლექსიკურ-გრამატიკული კომპეტენციის ფლობას, თემის შინაარსის გაანალიზებას, მისი ელემენტების ერთმანეთთან დაკავშირებას, სამიზნე ენის აკადემიური წერისა და მართლწერის მოთხოვნების გათვალისწინებას მოითხოვს.

განასხვავებენ წერის დავალებების შემდეგ სახეობებს:

- მოსამზადებელი დავალებები წინარე ცოდნის გასააქტიურებლად (ლექსიკისა და მართლწერის სავარჯიშოები, ლექსიკურ-გრამატიკული თამაშები და სხვ.);

- განსამტკიცებელი დავალებები სპეციფიკური გრამატიკული ცოდნის გასააქტიურებლად. ასეთი დავალებების (წინადადების კომბინაციებთან და კონსტრუქციებთან, კავშირებთან, ზმნიზედებთან და ნაწილაკებთან დაკავშირებული დავალებები) შესრულებისას წერა და კითხვა ერთმანეთთანაა დაკავშირებული;

- სტრუქტურირებული დავალებები (ტექსტების პერიფრაზირება, დიალოგების გადაკეთება ტექსტებად, ტექსტის შექმნა სურათების მიხედვით და სხვ.);

- კრეატიული, თავისუფალი წერის დავალებები (აუდიო, ვიზუალური თუ წაკითხული ტექსტიდან მიღებული იმპულსის საფუძველზე ჰიპოთეზის გამოთქმა, პიროვნული მოსაზრების ჩამოყალიბება, არგუმენტაცია და სხვ.);

- საკომუნიკაციო სიტუაციაზე დაფუძნებული წერითი დავალებები, რომლებიც კომუნიკაციაზეა გათვლილი (წერილები, ბარათები, განცხადებები).

უცხო ენის გაკვეთილზე გამოსამუშავებელი ერთ-ერთი ძირითადი უნარ-ჩვევაა **ლაპარაკი/მეტყველება**, რომელიც პროდუქციულ უნარებს განეკუთვნება. იგი იძლევა ინტერაქციისა და სიტუაციის შესაფერისად რეაგირების შესაძლებლობას. ლაპარაკის საშუალებით ხდება თეორიული ცოდნის ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნა. ჰ. ბარკოვსკი და

3.-ი. კრუმი უცხო ენის ძირითად უნარ-ჩვევას, ლაპარაკს, შემდეგნაირად განმარტავენ: „ლაპარაკი ენობრივი უნარია, რომელიც ენების სწავლების ერთიანი ევროპული ჩარჩოს მიხედვით ორ ქვეუნარად იყოფა, კოჰერენტულ და ინტერაქციულ ლაპარაკად... სოციალური ქცევის თვალსაზრისით, ლაპარაკი მნიშვნელოვანი ბაზისია ადამიანთა ინტერაქციისა და მათ შორის ურთიერთობის ჩამოყალიბება-შენარჩუნებისთვის“ (Barkowski/Krumm 2010: 83).

ლაპარაკის უნარ-ჩვევა გულისხმობს, რომ უცხო ენის შემსწავლელმა უნდა შეძლოს მეტყველება უცხო კულტურის წარმომადგენლებთან ყოველდღიურ ურთიერთობაში, რათა მათ შორის კომუნიკაცია შედგეს. ერთიანი ევროპული ჩარჩო განმარტავს სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ძირითადი უნარ-ჩვევების კომპეტენციას, რომელიც სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის შესაბამისად ფართოვდება და მრავალფეროვნდება.

გერმანულის, როგორც უცხო ენის, შესწავლა იმ თავისებურებით გამოირჩევა, რომ ენის შემსწავლელი ლაპარაკს, კორექტული წინადადებების შექმნას საკმაოდ გვიან იწყებს.

თუ ენის შემსწავლელი უცხო ენის გარემოში არ იმყოფება ან კომუნიკაციისთვის საჭიროებას არ წარმოადგენს უცხო ენის გამოყენება, ამ ენაზე ამეტყველებას შემსწავლელი აჭიანურებენ. რაც უფრო დიდია ენის შემსწავლელის წლოვანება, მით უფრო ძნელია მისთვის უცხო ენაზე ალაპარაკება - უცხო ენაზე აზრების გამოხატვა და ჩამოყალიბება სითამამესა და გაბედულებას მოითხოვს (Hunecke/Steinig 2013: 165). სწორედ ამიტომ ენის გაკვეთილს ისეთი ატმოსფერო სჭირდება, რომელიც შემსწავლელს შეუბოჭავად და დაუძაბავად მეტყველების შესაძლებლობას მისცემს.

1.4. გრამატიკის სწავლება უცხო ენის გაკვეთილზე

გრამატიკის სწავლება უცხო ენის გაკვეთილის მუდმივი თანმხლები პროცესია. უცხო ენის დაუფლება სრულყოფილი გრამატიკული ცოდნის შექმნას გულისხმობს. გრამატიკის შესწავლა, როგორც წესი, წინდაწინვე ფორმალურ, უინტერესო პროცესად მიიჩნევა და თავიდანვე ნეგატიურ ასოციაციას იწვევს შემსწავლელში. მასწავლებელს

დიდი ძალისხმევა მოეთხოვება, რათა უცხო ენის შემსწავლელი გრამატიკული წესების დაუფლებაში “აიყოლიოს”.

გერჰარდ ჰელბიგის მიხედვით, ტერმინით „გრამატიკა“ აღინიშნება: ა) ენის წესების სისტემა ლინგვისტური აღწერის გარეშე (A); ბ) ენის წესების სისტემის ენათმეცნიერული აღწერა (B) და გ) ენის წესების სისტემა, რომელსაც ინდივიდი უცხო ენის შესწავლისას ითვისებს (C) (Helbig 1981: 49).

B ტიპის გრამატიკაში, თავის მხრივ, ორი ქვეტიპი გამოიყოფა: B₁ - ლინგვისტური გრამატიკა, რომელიც წესების სისტემას სრულად და დაწვრილებით აღწერს მეცნიერული აპარატით, და B₂ - პედაგოგიური ანუ დიდაქტიკური გრამატიკა, რომელიც მეთოდურად ადაპტირებულია სასწავლო მიზნების შესაბამისად.

გრამატიკაზე ორიენტირებული მეთოდებით სწავლებისას უპირატესობა ენიჭებოდა ლინგვისტურ გრამატიკას, უცხო ენის გრამატიკა ლინგვისტური აღწერითი მოდელების გამოყენებით ისწავლებოდა.

თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილისთვის მისაღებია პედაგოგიურ-დიდაქტიკური გრამატიკა, რომელიც ითვალისწინებს უცხო ენის შემსწავლელის მოთხოვნებს, წინარე ცოდნას, საჭიროებებს და ამის გათვალისწინებით აღწერს და ხსნის ენაში მოქმედ წესებს. სწორედ ასეთ გრამატიკას ეყრდნობა უცხო ენის სწავლების ინტერკულტურული მეთოდი. ლინგვისტური გრამატიკისგან განსხვავებით, დიდაქტიკური გრამატიკა აღწერს არა სრულ გრამატიკულ სისტემას, არამედ მიზანმიმართულად გამოარჩევს მის ცალკეულ სეგმენტებს, რათა შემსწავლელთა საჭიროებების მიხედვით მოხდეს გრამატიკული მასალის დამუშავება, წესების აღქმა და გააზრება.

რაინერ შმიდტმა (Schmidt 1990: 153-154) ლინგვისტურ და პედაგოგიურ გრამატიკებს შორის განსხვავებები შემდეგი სქემის სახით წარმოადგინა:

ლინგვისტური გრამატიკა	პედაგოგიური გრამატიკა
გრამატიკული წესების სისტემის სრულყოფა (გამონაკლისები წესებიდან მნიშვნელოვანია)	შერჩევითი გრამატიკული მასალა (ენის შემსწავლელზე ორიენტირებული)
აბსტრაქტულობა (ცნების, წესის) აღწერა დახასიათებისას	კონკრეტულობა/ვიზუალიზაცია

სისტემის მოკლე დახასიათება	მნიშვნელოვანი საკითხების დაწვრილებითი აღწერა
სასწავლო-ფსიქოლოგიური მონაცემების გარეშე	სასწავლო-ფსიქოლოგიური კატეგორიები: გაგება, დამახსოვრება, გამოყენება

გრამატიკული წესები სხვადასხვა სახელმძღვანელოში სხვადასხვა მოცულობითაა წარმოდგენილი, ზოგან - ვრცლად, ზოგან - უფრო მოკრძალებულად. ასევე განსხვავებულია გრამატიკული მასალის მოწოდების ფორმები. ზოგან თუ პროგრესირებადი (მარტივიდან რთულისკენ მიმართული) გრამატიკული სავარჯიშოები გვაქვს, სხვაგან მასალა, პირიქით, არასისტემური და არაპროგრესირებადია. სხვადასხვა სოციალური მეთოდის მეშვეობით გრამატიკული წესის შეცნობა-ათვისება ამსუბუქებს ამოცანას და ახალისებს ენის შემსწავლელებს. თუ გრამატიკული წესების გასააზრებლად მოწოდებულ წინადადებებში მხარეთმცოდნეობითი ინფორმაცია არის ჩადებული, მაშინ მოტივაცია კიდევ უფრო იზრდება და მოსაწყენი გრამატიკის გაკვეთილი ჭემმარიტად საინტერესო ხდება. სწორედ ასეთ მიდგომას ეფუძნება ინტერკულტურული სწავლების მეთოდი.

გრამატიკის სწავლების როლის შესახებ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში რამდენიმე ემპირიული პროექტი განხორციელდა იმის დასადგენად, თუ რომელ სწავლების მეთოდს მიჰყავდა შემსწავლელი უკეთეს შედეგამდე - ავტომატიზებულს თუ კოგნიტურს. შედეგები არაერთგვაროვანი იყო, მაგრამ მთლიანობაში გამოიკვეთა, რომ 14 წელზე უფროსი ასაკის შემსწავლელებს კოგნიტური მეთოდი უფრო უადვილებდა მასალის ათვისებას, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად, საზოგადოდ, იზრდებოდა შეგნებული მიდგომის, კოგნიტური მეთოდით შესწავლის უპირატესობა. რაც შეეხება ავტომატიზებულ მეთოდს, ის ეფექტიანი აღმოჩნდა დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე შემსწავლელთათვის.

3.-ვ. ჰუნეკე და ვ. შტაინიგი განარჩევენ ენის ექსპლიციტურ და იმპლიციტურ ცოდნას. *ექსპლიციტურ ცოდნას* ისინი უწოდებენ მეტაენობრივ დონეზე ფორმულირებულ ენობრივ ცოდნას, ენობრივი კანონზომიერების გამოცნობას და მის მეტაენობრივად ფორმულირებას

(მაგ., Ich hätte – haben ზმნის პირველი პირის, მხოლოდობითი რიცხვის, II კავშირებითის ფორმა), *იმპლიციტური ენობრივი ცოდნა* კი უცხო ენის გამონათქვამების არა მარტო გაგების, არამედ მათი ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობასაც იძლევა, იგი ენის ფლობის უნარს გულისხმობს (Hunecke/Steinig 2013: 187).

თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილის მიზანი იმპლიციტური ენობრივი ცოდნის დაუფლებაა. ექსპლიციტური ენის ფლობაა იმპლიციტური ცოდნის წინაპირობა თუ პირიქით? ეს არის ენის ათვისებისა და ენის სწავლების კვლევის ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელზეც პასუხი ჯერ არ არსებობს (Hunecke/Steinig 2013: 188).

ის, თუ რამდენად ეხმარება ენის შემსწავლელს გრამატიკული სავარჯიშოები ენის ათვისებაში, დამოკიდებულია, ერთი მხრივ, თავად ინდივიდზე და, მეორე მხრივ, სწავლების კონკრეტულ სიტუაციაზე. გარდატეხის ასაკამდე გრამატიკის გააზრებული და სისტემატური შესწავლა ნაკლებად პროდუქტიულია, ხოლო გარდატეხის ასაკის შემდეგ მოზრდილებისთვის გრამატიკის კოგნიტური ათვისება საკმაოდ ნაყოფიერ შედეგს იძლევა.

3. ვეიდტის (Weydt 1993) მიხედვით, გრამატიკის ათვისებისას რელევანტურია:

- **სწავლების ფაზა.** გრამატიკული მასალის რაოდენობა მცირეა ენის შესწავლის პირველ ეტაპზე, მაგრამ თანდათან იმატებს მომდევნო ეტაპებზე.

- **სამიზნე ენის სტრუქტურა.** გაკვეთილზე გრამატიკული სავარჯიშოების ხვედრითი წილი მაღალია, თუ სამიზნე ენა მდიდარი მორფო-სინტაქსური სტრუქტურით გამოირჩევა (რუსული, ლათინური, გერმანული), და, პირიქით, დაბალია, თუ სამიზნე ენის მორფო-სინტაქსური სტრუქტურა მწირია (ინგლისური, ფრანგული).

- **შემსწავლელის ტიპი.** თუ შემსწავლელი კოგნიტურ-ანალიტური ტიპის პიროვნებაა, მისთვის - განსხვავებით იმიტაციური ტიპის პიროვნებისაგან - მისაღები და აუცილებელია გრამატიკული მასალის დიდი რაოდენობა.


ცხადია, რომ გრამატიკის ცოდნა აუცილებელია ენობრივი კომპეტენციის სრულყოფილებისათვის. ინტერკულტურული მეთოდით მიმდინარე უცხო ენის გაკვეთილისთვის გრამატიკის სწავლება ერთ-ერთი პრიორიტეტია.

1.5. გარეეზობრივი ფაქტორების გავლენა უცხო ენის შესწავლისას

უცხო ენის გაკვეთილზე მიღწეული წარმატება დამოკიდებულია არა მარტო სწავლების მეთოდზე, მასწავლებელზე ან სახელმძღვანელოზე, არამედ ენის შემსწავლელის უნარებზე და მის ინდივიდუალურ მონაცემებზე, როგორცაა ასაკი, სქესი, ინტელექტი, მოტივაცია, სწავლის სტილი, ზოგადი განვითარება და ა.შ. ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო (დროის უკმარისობა, მრავალრიცხოვანი ჯგუფი, არასწორად დასახული სასწავლო მიზანი, მასწავლებლის არაკომპეტენტურობა და სხვ.) უცხო ენის გაკვეთილზე ხშირად ვერ ხერხდება სათანადო ყურადღების გამახვილება ინდივიდუალურ ფაქტორებზე.

კ. რიმერი (Riemer 1997) განასხვავებს უცხო ენის შემსწავლელის ენდოგენურ და ექსოგენურ ფაქტორებს. ენდოგენურ ფაქტორებს მიეკუთვნება შემსწავლელის ასაკი, სწავლის სტილი, მოტივაცია, ხოლო ექსოგენურ ფაქტორებს - შემსწავლელის სოციალური წარმომავლობა და გაკვეთილი. ექსოგენური ფაქტორები - მასწავლებელი, გაკვეთილი, სასწავლო მასალა და ა.შ. - ტრადიციულად უცხო ენის დიდაქტიკისა და მეთოდის საგანს წარმოადგენდა, ხოლო ენდოგენურ ფაქტორებს სხვა მომიჯნავე მეცნიერებები შეისწავლიდნენ. ბოლო ათწლეულებში მოხდა მათი ინტეგრირება ენის სწავლების კვლევაში.

კ. რიმერის მიერ შედგენილი სქემა თვალსაჩინოს ხდის გარეეზობრივი ფაქტორების გავლენას ენის შესწავლის პროცესზე და იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია განსხვავებული სწავლის ტიპის მქონე შემსწავლელთა ინდივიდუალობის გათვალისწინება გაკვეთილის დაგეგმვისას (სამწუხაროდ, ტრადიციულად მიმდინარე უცხო ენის გაკვეთილზე ჯერ კიდევ არ ხდება თანამედროვე კვლევის შედეგების გათვალისწინება და ენდოგენური და ექსოგენური ფაქტორების მჭიდრო ურთიერთკავშირის სწორი შეფასება):



(Riemer 1997: 233)

1.5.1. ადამიანის ბიოლოგიური მზაობა ენის ასათვისებლად

გასული საუკუნის 70-იან წლებში დადგინდა, რომ ენის შესწავლის პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ტვინის სიმწიფის ხარისხი, ხოლო გადამწყვეტ ფაზას „კრიტიკული პერიოდი“ წარმოადგენს.

21-ე საუკუნეში ნეირომეცნიერებმა სწავლების პროცესის გააზრებაში სიახლე შემოიტანეს. როგორც მ. შპიტცერი აღნიშნავს, სწავლის პროცესი ტვინის კვლევის საგანს წარმოადგენს და მხოლოდ ნეირონების კავშირის ფუნქციის თანამედროვე მოდელებების პროგრამა იძლევა სწავლის დროს ტვინში მიმდინარე პროცესების ახსნის შესაძლებლობას (Spitzer 2005: 1).

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენებულმა კოგნიტურმა მეთოდმა გარდატეხა მოახდინა მეცნიერებაში, წარმოიშვა კოგნიტური ლინგვისტიკა, კოგნიტური

ფსიქოლოგია და ა.შ. კოგნიტური პარადიგმის მიხედვით ენა წარმოადგენს ადამიანის კოგნიტური უნარის გამოხატულებას. ბუნებრივი ენა და ადამიანის კოგნიცია ორი განსაკუთრებული ფენომენია, რომლებიც მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. შესაბამისად, ენის კვლევა (სწავლება, ათვისება, წარმოშობა და ა.შ.) კოგნიტური მეცნიერების კვლევის საგანს წარმოადგენს.

ბუნებრივი ენობრივი უნარი ადამიანის სახეობის თანშობილი მახასიათებელია. ცხოველებზე - მათ შორის ადამიანის სახეობასთან ყველაზე ახლო მდგომ მაიმუნებზე - ჩატარებულმა მრავალმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლია ბუნებრივ ენაზე ამეტყველება (თუ რამდენიმე სიტყვისა და ფრაზის დასწავლას არ ჩავთვლით). ფ. ლიბერმანის (Liebermann 1984) ანატომიური ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ მაიმუნის ხორხსა და პირის ღრუს ადამიანური ბგერების წარმოქმნა არ შეუძლია. გ. ფანსელოს და ს. ფელიქსის (Fanselow/Felix 1987: 247) მიაჩნიათ, რომ ადამიანის მეტყველების ამოსავალი წერტილი კორტიკალური მონაცემებია. ადამიანის ტვინს აქვს მოტორიკის ცენტრი, რომელიც ხელების და პირის ღრუს სწორ ფუნქციონირებას განაპირობებს. სწორედ ეს ნეიროგენული მონაცემი და მოტორული ცენტრი აკლიათ მაიმუნებს.

ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ ენის შესწავლა შესაძლებელია, თუ ადამიანის ტვინი სწორად ფუნქციონირებს. ს. ფელიქსი აღნიშნავს, რომ ადამიანი რომელიმე განსაზღვრული ენის შესწავლაზე კი არაა წინასწარ დაპროგრამებული, არამედ მას ყველა ბუნებრივი ენის ერთნაირად შესწავლა შეუძლია - “ამასთანავე, გასაოცრად მცირე დროში და თვით უკიდურესად არასახარბიელო ფსიქიკურ, სოციალურ და საკომუნიკაციო პირობებში” (Felix 1982: 6).

1.5.2. შემსწავლელის ასაკისა და კოგნიტური განვითარების გავლენა ენის ათვისების პროცესზე

სწავლების გამოცდილება და სპეციალური გამოკვლევები ადასტურებს ასაკის გავლენას ენის ათვისებაზე. გავრცელებული აზრია, რომ ბავშვები უფრო სწრაფად და უკეთ სწავლობენ ენას, ვიდრე მოზრდილები. ნეიროფსიქოლოგიიდან და

ფსიქოლინგვისტიკიდან ცნობილია, რომ არსებობს გადამწყვეტი პერიოდი როგორც პირველი, ასევე მეორე ენის ათვისებისათვის, როდესაც ენის სრულყოფილად შესწავლაა შესაძლებელი. ადამიანის განვითარების გარკვეული ეტაპის შემდეგ ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ცვლილებები გავლენას ახდენს ტვინზე, ის კარგავს ელასტიურობას, ახალი ფუნქციების თავის თავზე აღების - ამ შემთხვევაში ენის შესწავლის - უნარს. ის ინდივიდები, რომლებიც მოკლებულნი არიან გარკვეულ ასაკამდე პირველი ანუ მშობლიური ენის ათვისების შესაძლებლობას, ვერასოდეს ვერ ახერხებენ ვერც ერთი ენის ნორმალურად ათვისებას.

ერთი მხრივ, ვ. პენფილდისა და ლ. რობერტის (Penfield/Roberts 1959), ხოლო მეორე მხრივ, ე. ლენებერგის (Lenneberg 1972; 1977) მიერ გამოთქმული კრიტიკული პერიოდის ჰიპოთეზა (Critical Period Hypothesis) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენის ათვისების კვლევისათვის (Spracherwerbsforschung). ამ ჰიპოთეზის მიხედვით, ადამიანი გარკვეულ ასაკამდე ადვილად გადაამუშავებს ენის შესახებ ინფორმაციას, ადვილად ეუფლება უცხოური ენის სტრუქტურას. ფსიქოლინგვისტური კვლევა ამ ჰიპოთეზის ჭეშმარიტების სამ შესაძლო საბუთს ადასტურებს, როცა საქმე მეორე ენის დაუფლებას ეხება. დადგენილია, რომ თუ მეორე ენის ათვისება კრიტიკული პერიოდის დამთავრების შემდეგ იწყება, მაშინ ამ პროცესის სუბიექტი ანუ მეორე ენის შემსწავლელი (L2-Lerner) 1. ვერ ახერხებს ენობრივი კომპეტენციის იმ დონის მიღწევას, რომელსაც მან მიაღწია, როგორც დედა ენის შემსწავლელმა (L1-Lerner); 2. უფრო მეტ ძალისხმევას და დროს ხარჯავს, ვიდრე დედაენის შესწავლისას ხარჯავდა; 3. იყენებს სწავლის მექანიზმს, რომელიც განსხვავებულია დედაენის შესწავლისას გამოყენებული მექანიზმისაგან.

ე. ლენებერგს (Lenneberg 1972; 1977) მიაჩნია, რომ ბავშვები ენის დამუშავებისა და დამახსოვრებისას ტვინის ორივე ნახევარსფეროს იყენებენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ენობრივი ფუნქციები ტვინის ერთ-ერთ - კერძოდ, მარცხენა - ნახევარსფეროზე გადაინაცვლებს. გარდატეხის პერიოდის დასრულებისას ენის ფუნქციების გადანაწილება ტვინის მარცხენა ნახევარსფეროზე დამთავრებულია. ამგვარად, მოზრდილ ადამიანს - გარდატეხის ასაკის შემდეგ - დაკარგული აქვს ენობრივი

მექანიზმების დამუშავების ის უნარი, რომელიც ბავშვობაში ჰქონდა. შესაბამისად, მოზრდილის მიერ ენის შესწავლის პროცესიც რთულდება. ზრდასრულის მიერ ენის ათვისება ბავშვის მიერ დედაენის ათვისებისგან სრულიად განსხვავებული ფიზიოლოგიური პროცესია.

მრავალი გამოკვლევა მიემდვნა კრიტიკული ფაზის კონცეპტს. დ. სინგელტონი (Singleton 1989) იკვლევდა ასაკის გავლენას ენის შესწავლის პროცესზე. მან სამი ჰიპოთეზა შეიმუშავა: 1) ახალგაზრდა შემსწავლელი უფრო ადვილად და ეფექტურად შეისწავლის უცხო ენას, ვიდრე ზრდასრული შემსწავლელი, ხოლო გარდატეხის ასაკი გადამწყვეტია ენის ათვისების პროცესში; 2) მეორე ჰიპოთეზა საპირისპიროა პირველისა: ზრდასრული შემსწავლელი უფრო შედეგიანია ენის შესწავლისას, ხოლო ახალგაზრდები შედეგიანნი არიან მოსმენასა და მეტყველებაში; 3) ზრდასრულნი შესწავლის საწყის ეტაპზე არიან შედეგიანნი, ხოლო უფრო უკეთესი შედეგი ენის შესწავლის ადრეულ ასაკში დაწყებით მიიღწევა.

მრავალი ექსპერიმენტის საშუალებით მკვლევარმა შეძლო დაედგინა, რომ მესამე ჰიპოთეზა ურყევი და შეუცვლელია. ყველასათვის ცნობილია, რომ ბავშვები უცხო ენაში უპრობლემოდ ითვისებენ სწორ წარმოთქმას, რომელიც რთული და დაუძლეველი ამოცანაა ზრდასრულთათვის. კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ ზრდასრულ შემსწავლელებს ნამდვილად აქვთ უპირატესობა კოგნიტური განვითარების თვალსაზრისით.

უცხო ენის 30 წელს გადაცილებული შემსწავლელნი რომ წარმოთქმის მხრივ ახალგაზრდებზე უარეს შედეგს აჩვენებენ, ვ. კლაინი იმით ხსნის, რომ უკვე ჩამოყალიბებული სოციალური იდენტობის დათმობის მზაობა ზრდასრულებს ახალგაზრდებზე ნაკლებად ახასიათებთ (Klein 1984: 22).

ბავშვის მიერ ენის შესწავლის უპირატესობას არ განაპირობებს მხოლოდ ფიზიოლოგიური ფაქტორი. ბავშვი, რომელსაც ჯერ არ გააჩნია ანალიტიკური დამუშავების მოდელი, მშობლიურთან მიახლოებული გრამატიკული ინტუიციით ითვისებს მეორე ენას და ადვილად - უაქცენტოდ - ეუფლება მეორე ენის ფონეტიკურ-

ფონოლოგიურ სისტემას, ხოლო მოზრდილებს მეორე ენის ათვისება, როგორც წესი, მრავალმხრივ ფორმალიზებულ სპეციფიკურ სასწავლო გარემოში უწევთ.

ს. ფელიქს (Felix 1982) მიაჩნია, რომ ენის ათვისების უნარის შემცირება კრიტიკული პერიოდის შემდეგ მხოლოდ ფონოლოგიას ეხება. მოზრდილებს, რომელთაც მეორე ენის სწავლა ამ პერიოდის შემდეგ დაიწყეს, შესაძლოა სინტაქსი, მორფოლოგია, სემანტიკა და ა.შ. სრულყოფილად, დედაენის მატარებლის დონეზე ჰქონდეთ შესწავლილი, მაგრამ აქცენტი მაინც დარჩებათ.

ჰ. ვოდეს (Wode 1993) მიხედვით, ფონოლოგიის სრულყოფილად შესასწავლად სასურველია ბავშვი 6-დან 10 წლამდე ასაკისა იყოს, რათა აქცენტის პრობლემა არც კი წარმოიშვას.

მცირე ასაკის მქონე შემსწავლელის უპირატესობას წარმოადგენს ნაკლები მორიდებულობა. ბავშვები არ აქცევენ ყურადღებას გარემოსა და დაშვებულ შეცდომებს, მაშინ როდესაც მოზრდილთათვის შეცდომების დაშვება სერიოზულ ბარიერს წარმოადგენს სწავლების პროცესში. მეორე მხრივ, მოზრდილთა უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს პირველი ენის გამართული ცოდნა და განვითარებული პრაგმატული უნარები, რომელთა მეშვეობითაც ისინი - ლინგვისტური რესურსის ნაკლებობის მიუხედავად - წარმატებით ართმევენ თავს რთულ ენობრივ ამოცანებს.

სამ წლამდე ასაკის ბავშვის მიერ უცხო ენის ათვისება დედაენის ათვისების პარალელურად მიმდინარეობს და ამ პროცესის საუკეთესო ახსნას, შესაძლოა, იდენტურობის ჰიპოთეზა იძლეოდეს. ამ ჰიპოთეზის მიხედვით, ნებისმიერი უცხო ენის ათვისება პირველი ენის ათვისების იდენტურად მიმდინარეობს, თუმცა მომატებულ ასაკთან ერთად იცვლება ადამიანის ფიზიკური და კოგნიტური მონაცემები და, შესაბამისად, უცხო ენის ათვისებისადმი მიდგომაც. ორი ან მეტი ენის ერთდროულად ათვისება ექვსი წლის ასაკამდე, სანამ ბავშვს ენის ასპექტების სრულყოფილი ცოდნა ჩამოუყალიბდებოდეს, შესაძლოა ბილინგვურ შესწავლადაც განიხილებოდეს.

ენის სწავლების შესახებ არსებულ ლიტერატურაში იშვიათია შემსწავლელის ზუსტ ასაკზე მითითება, ამის მაგიერ აღნიშნულია განვითარების საფეხურები.

სახელმძღვანელოებიც, შესაბამისად, ბავშვთა, მოზარდთა (12-16 წლამდე) და ზრდასრულთათვის (16 წლის ზემოთ) არის განკუთვნილი.

ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს მართული უცხო ენის გაკვეთილი სკოლისა და უმაღლესი სკოლის ასაკის შემსწავლელთათვის. როგორც აღინიშნა, ასაკის მატებასთან ერთად იცვლება შემსწავლელის კოგნიტური სტრუქტურები, კომუნიკაციის სტრატეგიები, ინტერესი და მოტივაცია. ასაკის მატებასთან ერთად იცვლება მიდგომა უცხო ენისადმი, ის უფრო გააზრებული და სისტემატიზებული ხდება. შესაბამისად, უცხო ენის პედაგოგმა ასაკობრივ და სამიზნე ჯგუფზე გათვლით უნდა მოახდინოს გაკვეთილის დაგეგმვა, თემების შერჩევა, მულტიმედიური მასალის მიწოდება, სოციალური და სამუშაო ჯგუფების შექმნა.

ასაკობრივად შესაძლოა ასე გამოიხატოს ენის შესწავლის ეტაპები:

სამიზნე ჯგუფი	შემსწავლელის ქცევები სწავლების პროცესში, რომლებიც გავლენას ახდენენ.
ბავშვები (6-12)	სწავლობენ შეუვნებლად, თამაშით და იმიტაციებით და ინტერესს ავლენენ სიახლისადმი; ახალ მასალას ითვისებენ ინტერაქციაში სხვებთან, სიტუაციებში ყურადღებას ამახვილებენ გარე სამყაროსა და ადამიანებზე.
მოზარდები (12-16)	მათი კოგნიტური შესაძლებლობები სწრაფად ვითარდება; სწავლობენ როგორც იმპლიციტურად, ასევე ექსპლიციტურად; კვირაში რამდენიმე საათი ეთმობა მართულ გაკვეთილს; ავითარებენ ჯგუფური სწავლების და დიგიტალური მედიით სწავლებისადმი ინტერესს.
ზრდასრულნი (16 წლიდან)	სწავლობენ ძირითადად ექსპლიციტურად, ასევე იმპლიციტურად; ნაკლები დრო აქვთ ენის შესწავლისთვის; მკაფიო მიზნები აქვთ უცხო ენასთან დამოკიდებულებაში; დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება დადებით გავლენას ახდენს სამიზნე ენის დაუფლებაზე.

(Ballweg et al. 2013: 43)

1.5.3. შემსწავლელის სქესის გავლენა ენის შესწავლის პროცესზე

ენის შესწავლის პროცესზე სქესის გავლენის შესახებ მრავალი კვლევა არსებობს. დადგენილია, რომ გოგონები უფრო ადრე იწყებენ მეტყველებას, ვიდრე ბიჭები: „გოგონების უფრო სწრაფი ენობრივი განვითარება განპირობებულია მათი მგრძობელობითა და ალქმის სენსიტიურობით. ისინი უფრო მეტად ექცევიან შთაბეჭდილების ქვეშ, ვიდრე ბიჭები. მათ უფრო მკაფიოდ გამოხატული იმიტაციის უნარი აქვთ, ვიდრე ბიჭებს. ისინი უფრო მალე იწყებენ კორექტულად და ადეკვატურად მეტყველებას, ვიდრე ბიჭები“ (Stern/Stern 1975: 287).

დაკვირვება და გამოცდილება ენის შესწავლისას გოგონების უპირატესობას ადასტურებს, თუმცა დისკუსია ამ თემაზე კვლავ გრძელდება.

1.5.4. შემსწავლელის მოტივაცია და განწყობა ენის მიმართ

მოტივაციის მრავალი განმარტება არსებობს. ჰ. ვოდე მოტივაციას განიხილავს, როგორც „ნებას და მზაობას მიზნის მისაღწევად“ (Wode 1993: 297). კ. რიმერის მიხედვით, მოტივაცია აფექტური ფაქტორების ერთობლიობაა, რომელიც დროთა განმავლობაში იცვლება და შეუძლებელია მასზე პირდაპირი დაკვირვება (Riemer 2010).

რ. გარდნერი და ვ. ლამბერტი განასხვავებენ მოტივაციის ორ სახეს: ინტეგრაციულს და ინსტრუმენტულს. ინტეგრაციულია მოტივაცია, თუ უცხო ენის შესწავლა იმ მიზნით ხდება, რომ შემსწავლელმა ამ ენის მატარებელ საზოგადოებასთან კონტაქტი შეძლოს და საკუთარი იდენტობის დაუთმობლად მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში (Gardner/Lambert 1972).

ინტეგრაციული მოტივაციის კერძო სახეობაა *ჯგუფთან იდენტიფიკაციის მოტივაცია* (Gruppenidentifikationsmotivation), რომელთანაც საქმე გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ ენის შესწავლელი არა მარტო ჯგუფის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში თავისი წვლილის შეტანას, არამედ ამ ჯგუფის წევრად გახდომას - საკუთარი თავის ჯგუფთან იდენტიფიცირებას - ისახავს მიზნად (Dulay et al. 1982).

ინტეგრაციული მოტივაციის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ემოციურ ფაქტორებს .

ინსტრუმენტულია მოტივაცია, თუ ენა კონკრეტული საჭიროების გამო - პროფესიული მიზნით, უცხოური ლიტერატურის ორიგინალში წასაკითხად, ადამიანების გასაცნობად და ა.შ. - შეისწავლება. ინსტრუმენტულ მოტივაციას პრაქტიკული ღირებულება აქვს.

ამერიკასა და კანადაში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ მოტივაცია გავლენას ახდენს შესწავლის ტემპსა და წარმატებაზე (Clément 1983). ამასთანავე, შეუძლებელია გადაჭრით იმის თქმა, თუ მოტივაციის რომელი ტიპია უფრო მნიშვნელოვანი უცხო ენის შესწავლისათვის (Gardner/Lambert 1972; Lukmani 1972).

თავის მხრივ, ენის შესწავლაში მიღწეულმა წარმატებამაც შეიძლება გაზარდოს მოტივაცია. ამას ადასტურებს გ. ჰერმანის მიერ ჩატარებული კვლევა გერმანელი ბავშვების მიერ ინგლისური ენის შესწავლის შესახებ (Hermann 1980).

ბოლოდროინდელ კვლევებში გამოთქმულია ვარაუდი, რომ მეორე ენის ათვისების პროცესში მოტივაცია კონტროლდება ნევროლოგიური მექანიზმებით - მასზე გავლენას ახდენს ტვინის სპეციფიკური ზონები (Schumann 1997, 2001).

მოტივაციის გაზრდაში ენის შემსწავლელს მასწავლებელი (მშობელი) ეხმარება. მოტივაცია არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცალკე მდგომი იზოლირებული ფენომენი. იგი მუდმივ კავშირშია სხვა ფაქტორებთან. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია განწყობა.

ამა თუ იმ უცხო ენის მიმართ პოზიტიურ ან ნეგატიურ განწყობას პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ხასიათის მრავალი ფაქტორი განაპირობებს. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ასევე ინდივიდის ბიოგრაფიასა და პირად გამოცდილებას. რ. გარდნერი და ვ. ლამბერტი იყვნენ პირველი მკვლევრები, რომლებმაც ენის მიმართ განწყობა შესწავლის საგნად აქციეს. დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა მათ ძირითად თეზისს იმის შესახებ, რომ განწყობას მეორე ენის შესწავლისას გადამწყვეტი როლი ენიჭება (Gardner/Lambert 1972).

ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ენისადმი პოზიტიური განწყობა აუცილებლობით არ იწვევს ამ ენის შესწავლისა და გამოყენების მოტივაციას. ასე, მაგალითად, ლ. ბრუდნერმა და დ. უაითმა დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ ირლანდიურისადმი პოზიტიური განწყობა არ არის საკმარისი მოტივაცია იმისათვის, რომ ამ ენას იყენებდე (Brudner/White 1979).

ჯ. მაკნამარა (Macnamara 1973, 1976a, 1976b) თვლის, რომ განწყობას მხოლოდ უმნიშვნელო გავლენის მოხდენა შეუძლია მეორე ენის შესწავლაზე, რადგან არსებითი მხოლოდ სოციალური ფაქტორია. მისი დაკვირვებით, ბავშვები სწრაფად შეისწავლიან მეორე ენას, როდესაც სხვა ენაზე მოსაუბრე ბავშვებთან უწყვეტ კომუნიკაცია. ეს სოციალური ხასიათის ფაქტი, მისი აზრით, უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეორე ენის შესწავლაზე, ვიდრე უცხო ენისა და კულტურის მიმართ განწყობა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ბავშვების მიერ მეორე ენის შესწავლაზე გავლენას ახდენს მშობლების განწყობა. მშობლის განწყობამ მეორე ენის მიმართ შესაძლოა წაახალისოს ან დააბრკოლოს შვილის მიერ ამ ენის ათვისება (Gardner/Lambert 1972).

1.5.5. პიროვნული ფაქტორების გავლენა ენის ათვისების პროცესზე

პიროვნულ ფაქტორებს, რომლებიც შემსწავლელის პიროვნებას განსაზღვრავენ, ლიტერატურაში კოგნიტურ ფაქტორებსაც უწოდებენ (Riemer 1997: 7), თუმცა ისინი კოგნიციასა და ემოციას შორის არსებულ ფაქტორებად განიხილება.

არაენობრივი ფაქტორების (მოტივაცია, ასაკი, განწყობა) გარდა მეორე ენის ათვისებაზე გავლენას ახდენს პიროვნული ფაქტორებიც: ინტროვერტულობა, მორცხვობა, შიში, ნიჭი/მიდრეკილება, ემპათია (Schumann 1997).

ემპათია გულისხმობს სხვა ადამიანების ემოციების, აზრებისა და წარმოდგენების შეგრძნების უნარს. კვლევები ადასტურებს, რომ ემპათიური ადამიანი უფრო სწრაფად და უკეთ ითვისებს უცხო ენას, იგი გამოირჩევა უკეთესი წარმოთქმით უცხო ენაზე (Guiora et. al. 1972; Naiman et. al. 1978).

პიროვნების **ინტროვერტულობა** ენის შესწავლის შემაფერხებელ ფაქტორად ითვლება. ინტროვერტ ადამიანს რცხვენია მეორე ენაზე მოსაუბრესთან კონტაქტის

დამყარება, ამის გამო მას მხოლოდ მცირე რაოდენობით ახალი ენობრივი ინფორმაცია მიეწოდება, იგი უნებლიეთ თავად იქმნის ბარიერებს და, ამგვარად, ჩამორჩება ენის ათვისებაში (Wode 1993: 294). მისგან განსხვავებით, ექსტრავერტი ადამიანი დაინტერესებულია გარე სამყაროსთან კომუნიკაციით და ნაკლებად ფიქრობს იმაზე, კორექტულად გამოხატავს თუ არა სათქმელს (Clahsen/Meisel/Pienemann 1983: 320). ექსტრავერტს არ რცხვენია უცხო ენაზე ლაპარაკისას შეცდომის დაშვებისა და ამიტომ არ უჭირს კომუნიკაცია მეორე ენაზე მოსაუბრესთან (Solmecke/Boosch 1981).

1.5.6. აფექტური ფაქტორები

პიროვნული ფაქტორების მსგავსად, სწავლების ტემპსა და წარმატებაზე გავლენას ახდენს სწრაფად ცვალებადი ემოციებით განპირობებული აფექტური ფაქტორები: შიში, შინაგანი წინააღმდეგობა, საკუთარი თავის რწმენა და ა.შ.

შიში. ახალმა კულტურულმა და ენობრივმა სიტუაციამ მიგრანტებს შესაძლოა განუვითაროს შიში, რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მეორე ენის ათვისებაზე. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უშლის ასიმილაციასა და ინტეგრაციულ მოტივაციას (Clément et al. 1980). მოზრდილები შიშობენ, რომ ენობრივი შეცდომის გამო შეიძლება უსიამოვნო (სასაცილო) სიტუაციაში აღმოჩნდნენ (Schumann 1978), ხოლო ბავშვები იმავე მიზეზით ხშირად ხმადაბლა ლაპარაკობენ, ზოგიერთი კი უკან იხევს და ცდილობს შეუმჩნეველი დარჩეს (Stölting 1974). უცხო ენას მალე ითვისებს ის, ვინც თავისუფალია შიშისგან და თავს შეუბოჭავად, დაუძაბავად გრძნობს (Wode 1993).

პირველი ენის ათვისებისას შიში მხოლოდ აუტიზმის შემთხვევაში დასტურდება, როდესაც ბავშვი წინააღმდეგობას უწევს გარე სამყაროს და არ ლაპარაკობს. მეორე ანუ უცხო ენის შესწავლისას შიშს სხვა მიზეზები აქვს: შერცხვენა, ცუდი ნიშანი, შეცდომის დაშვების ალბათობა და ა.შ. (Gardner et al. 1976; Naiman et al. 1978; Solmecke/Boosch 1981).

მხოლოდ ცალკეულ იშვიათ შემთხვევაში შეიძლება შიში წარმატების ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდეს (Gardner 1976; Tucker 1976).

დაბრკოლება (შინაგანი წინააღმდეგობა, მოტივაციის დაკარგვა), რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული შიშთან, შესწავლილ იქნა რამდენიმე მკვლევრის მიერ (Guiora et al. 1970, Curran 1972). ალკოჰოლის ზემოქმედებისა და ჰიპნოზის მდგომარეობის გამოყენებით ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ დაბრკოლების მოხსნით ნამდვილად მიიღწევა უკეთესი გამოთქმა და უკეთესი საერთო შედეგი მეორე ენის შესწავლაში (Guiora et al. 1970, Schumann 1978).

საკუთარი თავის რწმენა „ადამიანის ის თვისებაა, რომელსაც შუალედური ადგილი უკავია პიროვნულ და აფექტურ ფაქტორებს შორის. ... ენის ათვისებისას შიშის არარსებობა სწავლის პროცესის ხელშემწყობი ფაქტორია. საკუთარი თავის რწმენა კი დამატებითი ფაქტორია ადამიანის გარე სამყაროსთან ურთიერთობის მოტივაციისთვის“ (Kuhns 1989: 55). საკუთარი თავის რწმენა, რომელიც პოზიტიურ გავლენას ახდენს სწავლის პროცესზე, შეიძლება შეირყეს ასიმილაციის მოთხოვნის ან რაიმე სახის დისკრიმინაციის შემთხვევაში (Clément et.al. 1977).

1.6. ენის ათვისების (Spracherwerb) პროცესი

ენის ათვისების კვლევა (Spracherwerbsforschung) მოიცავს ენის ათვისების კანონზომიერებების, პირობების, ფაზებისა და შედეგების აღწერასა და ახსნას. ყურადღების ცენტრშია ენის ათვისება (Spracherwerb) “ნებისმიერი ფორმით, სიტუაციური და კომუნიკაციური კონტექსტისგან, სასწავლო მეთოდისა თუ სწავლების სტრატეგიისგან დამოუკიდებლად” (Felix 1978: 13).

ერთმანეთისგან განასხვავებენ პირველი ანუ მშობლიური ენის ათვისებას (Erstspracherwerb/Mutterspracherwerb), მეორე ენის ათვისებას (Zweitspracherwerb) და უცხო ენის ათვისებას (Fremdsprachenerwerb). ენის ათვისება (Spracherwerb) და ენის სწავლა (Sprachenlernen) განსხვავებული ცნებებია და ისინი განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება. ენის ათვისება/დაუფლება შესაძლოა არაცნობიერად, ბუნებრივად, უნებლიეთ მიმდინარეობდეს, ხოლო ენის სწავლა გაცნობიერებული, სისტემური პროცესია. უცხოენოვან გარემოში მიმდინარე უშუალო კომუნიკაციის

პირობებში უცხოური ენის ათვისება „თვითსწავლებით“, ძალადაუტანებლად ხდება, უცხო ენის სწავლა კი გაკვეთილს, მასწავლებლის უშუალო ჩართულობას, ენის სხვადასხვა ასპექტის ახსნასა და გააზრებას გულისხმობს.

დედაენის ათვისება. ბავშვი ყოველგვარი მითითებისა და ახსნის გარეშე იწყებს ლაპარაკს იმ ენაზე, რომელიც მის გარემოს ეკუთვნის და რომელთანაც მას მუდმივი შეხება აქვს. მშობლიური ანუ პირველი ენის (L1) ათვისებისას ბავშვს განუწყვეტლივ მიეწოდება ენობრივი ინფორმაცია.

დედაენის ათვისების ინტენსიური კვლევა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ბავშვებში სინტაქსური სტრუქტურების განვითარებაზე დაკვირვებას თანდათან დაემატა გამოკვლევები სემანტიკის (Clark 1971), ფონოლოგიის (Olmsted 1971, Smith 1973), პრაგმატიკის (Halliday 1975) სფეროში. განსხვავებულად სტრუქტურირებული ევროპული ენების - ინგლისურის, ფრანგულის, გერმანულის - ათვისებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ნებისმიერი დედაენის ათვისებას, მისი სტრუქტურის რაგვარობის მიუხედავად, ბავშვები ერთი და იმავე პრინციპით ახდენენ.

მშობლიური ენის შესწავლის პირველ ეტაპზე ბავშვი იღებს ენობრივ ინფორმაციას ისე, რომ თვითონ არ წარმოთქვამს სიტყვებს. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ იწყებს იგი ცალკეული სიტყვებისა და ერთ- ან ორსიტყვიანი წინადადების (ფრაზების) წარმოთქმას. დედაენის შესწავლა ერთიდან ექვს წლამდე ასაკში ხუთ ფაზას მოიცავს (Clahsen 1986). მეხუთე ფაზის ბოლოს ბავშვს შეუძლია ოთხი და მეტი სიტყვისგან შემდგარი წინადადების წარმოთქმა, ისევე როგორც ქვეწყობილი წინადადების სწორად აგება (Szagun 2006: 66). სკოლაში შესვლისთვის ბავშვებს დამთავრებული აქვთ ენის სტრუქტურული შესწავლა.

ბავშვი დედაენის ათვისებასთან ერთად ავითარებს თავის კოგნიტურ უნარებს. ბავშვთან ადრეულ ასაკში შეზღუდული ლექსიკით საუბრობენ, ის კი სწრაფად ითვისებს ენას და დიდ ლექსიკურ მარაგს აგროვებს. შეზღუდული ენობრივი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე სრულფასოვანი ენობრივი კომპეტენციის დაუფლების ამ ფენომენს ახსნა არ ეძებნება. ნ. ჩომსკიმ ამას ინფორმაციის მიუწვდომლობის არგუმენტი

უწოდა, ხოლო ენის ათვისების ამ ფენომენს - „პლატონის პრობლემა” (Plato’s problem) (Chomsky 1988).

რ. ფილერი (Fiehler 2009) განასხვავებს ენის დაუფლების ორ მოდელს. პირველი მოდელის მიხედვით, გარკვეული დროის შემდეგ ენის ათვისება მთავრდება - “სიმაღლეების დაპყრობის” ხანგრძლივი პროცესის შემდეგ მსწავლელს შეუძლია “გაივაკოს” (Plateaumodell), მეორე - პერფორმატიული - მოდელის (Perfomanzmodell) მიხედვით კი ენის შესწავლა არასოდეს სრულდება. ამ ორ მოდელს შორის განსხვავება ისაა, თუ რა მიიჩნევა ენის ათვისებად. თუ ენის ათვისებაში მისი სტრუქტურული ფორმების - ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის - შესწავლა იგულისხმება, ბუნებრივია, რომ ეს პროცესი ნამდვილად სრულდება რამდენიმე წელიწადში და სკოლაში შესვლისას ბავშვი უკვე დაუფლებულია აღნიშნულ სტრუქტურებს, ხოლო თუ ენის ათვისებაში ლექსიკური მარაგის გაფართოება და კომუნიკაციურ-სტილისტური კომპეტენციის დახვეწა იგულისხმება, მაშინ ენის ათვისება მართლაც დაუსრულებელი პროცესია, რადგან ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე უწევს კონფრონტაცია ახალ იდიომატიკასა და საგნობრივ ლექსიკასთან, ტექსტების ახალ-ახალ სახეობებთან (Fiehler 2009: 812).

მეორე ენის ათვისება (Zweitspracherwerb). მე-20 საუკუნის 70-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა მეორე ენის ათვისების ინტენსიურ კვლევას. ამერიკასა და გერმანიაში ამ დროს შექმნილი სამეცნიერო პროექტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კალიფორნიის უნივერსიტეტისა (ხელმძღვანელი ეველინ ჰეჩი (Evelyn Hatsch)) და კილის უნივერსიტეტის (ხელმძღვანელები ჰენინგ ვოდე (Henning Wode) და ფელიქს ლანგე (Felix Lange)). ცოტა მოგვიანებით ვუპერტალის უნივერსიტეტში მეცნიერთა ჯგუფი შეუდგა იტალიელი და ესპანელი “გასტარბაიტერების” (Gastarbeiter) - სამუშაოდ ჩამოსული მიგრანტების - მიერ გერმანული ენის ბუნებრივ გარემოში შესწავლის კვლევას. იმავე პერიოდში შეიქმნა ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფი ჰაიდი დიულეის (Heidi C. Dulay) და მარინა ბარტის (Marina K. Burt) ხელმძღვანელობით, რომელიც დაკვირვებას აწარმოებდა

500-მდე ჩინელი და ესპანელი მოზარდის მიერ (ასაკი 6-10 წელი) ინგლისურის, როგორც მეორე ენის, ათვისების პროცესზე.

მეორე ენის (L2) ათვისებისას (Zweitspracherwerb) განასხვავებენ მართულ სწავლას (gesteuertes Lernen), ბუნებრივ ათვისებას (natürlicher Erwerb) და შერეულ ფორმას.

მართულია მეორე ენის ათვისება, თუ იგი სკოლასა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში სისტემურად მიმდინარეობს. სწორედ მართული სახით უცხო ენის ათვისებას ემსახურება უცხო ენის გაკვეთილი (Fremdsprachenunterricht).

ბუნებრივია მეორე ენის ათვისება, თუ იგი მასწავლებლის გარეშე, ბუნებრივ ენობრივ გარემოში მიმდინარეობს. შემსწავლელი არასისტემური სახით, ბუნებრივი კომუნიკაციის მეშვეობით იძენს ენის კომპეტენციას. მეორე ენის ბუნებრივად ათვისებისას ენის შემსწავლელს თვითონ უხდება უცხო ენის სტრუქტურებისა და წესების გარკვევა ისევე, როგორც ბავშვს დედაენის ათვისებისას. ბუნებრივად ენის შესწავლა ანალიზური, სინთეზური და შედარებითი პროცესია, რომელიც სხვადასხვა ასაკისა და მონაცემების შემსწავლელთან განსხვავებული სიჩქარითა და სისრულით მიმდინარეობს (Klein 1984).

კვლევები გვიჩვენებს, რომ მიგრანტების მიერ ენის შესწავლის შედეგები განსხვავებულია. ხშირად მიგრანტები ენას მხოლოდ იმ ელემენტარულ დონეზე ითვისებენ, რომელიც მათთვის საკომუნიკაციოდ საკმარისია. თუ ელემენტარული დონის მიღწევის შემდეგ ენობრივი კომპეტენცია აღარ ვითარდება, საქმე გვაქვს მდგომარეობასთან, რომელსაც ფოსილიზაცია (Fossilisierung) (“გაქვავება”) ეწოდება. ცხადია, შესაძლოა, რომ გაცილებით უკეთესი შედეგის მოწმენიც გავხდეთ, მაგრამ ენის ბუნებრივი შესწავლის ერთი მთავარი ნაკლი გრამატიკული სტრუქტურის არასაკმარისად დაუფლებაში მდგომარეობს. მაგალითად, გერმანული ენის ამგვარად შემსწავლელს განუწყვეტლივ აქვს არტიკლის, ბრუნვის, დროის ფორმის და მრავალი სხვა ამ ტიპის პრობლემა. მას შეიძლება ჰქონდეს კარგი საკომუნიკაციო კომპეტენცია, მაგრამ, მიუხედავად მდიდარი ლექსიკური მარაგისა, მისი ენობრივი კომპეტენცია ნაკლებად აკადემიურია (მას უჭირს წერაც), რადგან არასისტემურად, ახსნის გარეშე, მხოლოდ საკუთარ ანალიზზე დაყრდნობით აქვს შეძენილი ამ ენის ცოდნა.

უცხო ქვეყანაში მიგრანტის სრულფასოვანი ინტეგრაცია უმეტესწილად ამ ქვეყნის ენის ცოდნის ხარისხზეა დამოკიდებული. ამიტომაცაა, რომ ენის ბუნებრივად ათვისების შემდეგ მრავალი მიგრანტი ესწრება ენის კურსებს ანუ ცდილობს მართული სწავლების დახმარებით გაიუმჯობესოს ენობრივი კომპეტენცია. ენის ათვისება, ერთი მხრივ, უცხოენოვან გარემოში ბუნებრივი კომუნიკაციითა და, მეორე მხრივ, ინსტიტუციონალური ენის კურსის დახმარებით, საკმაოდ მომგებიანი, ეფექტური და შედეგიანია და ენის შემსწავლელსაც თვითრწმენას უღვივებს.

1.6.1. მშობლიური და უცხო ენის ათვისების მსგავსება-განსხვავებანი

დედაენის ათვისებისას ვლინდება გარკვეული კანონზომიერებები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია გარკვეულ ფაზებზე დაკვირვება. თითქმის ყველა ბავშვი 18 თვის ასაკიდან იწყებს მეტყველებას. თითოეულ ინდივიდთან ენის ათვისების პროცესი განსხვავებულად მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ასეთი განვითარების ფაზების დადგენა უცხოური ენის ათვისების პროცესში ვერ ხერხდება. ეს რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ ენის სწავლების სასწავლო პროგრამები ამ ფაზების გათვალისწინებით შედგებოდა.

მიუხედავად მშობლიური და უცხო ენის ათვისების განსხვავებულობისა, მაინც იკვეთება მსგავსება, მაგ. პროტოტიპული სიტყვების ათვისებისას, როდესაც მათი მნიშვნელობის აღქმა საკომუნიკაციო სიტუაციის მიხედვით ხდება.

მეორე ენის, ანუ უცხო ენის, შემსწავლელი ძირითადად პირველი ენის შემსწავლელზე უფროსია ასაკით, წინ უსწრებს მას თავისი კოგნიტური განვითარებით და უკვე ფლობს დედაენის ცოდნას, ანუ აქვს ენის სწავლის გამოცდილება. ეს ყველაფერი შესაძლოა ენის სწავლების პროცესში როგორც ხელშემწყობი, ასევე ხელისშემშლელი აღმოჩნდეს.

მეორე ენის შემსწავლელნი ხშირად ეყრდნობიან წინარე ცოდნას, უკვე ნაცნობი მშობლიური ენის სტრუქტურებსა და მექანიზმებში ეძებენ ახალი ენის მსგავს კონსტრუქციებს. თუ პირველი ენა მეორე ენისგან არსებითად განსხვავდება, სხვა ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნება და სრულიად განსხვავებული ენობრივი სტრუქტურა აქვს, ეს შესაძლოა ხელისშემშლელი აღმოჩნდეს ახალი ენის შესწავლის პროცესში, ხოლო

მონათესავე ჯგუფის ენების შემთხვევაში მეორე/უცხო ენის შემსწავლელს ახალი ენის ათვისება, შესაძლოა, გაუადვილდეს, რადგან მისთვის უკვე ნაცნობ მექანიზმსა და სტრუქტურასთან ექნება შეხება.

ენათა შორის კავშირს - წინარე ანუ პირველი ენის (L1) მეორე ანუ უცხო ენაზე (L2) გავლენას - ენათა ტრანსფერს უწოდებენ. ერთმანეთისგან განასხვავებენ პოზიტიურ ტრანსფერს და ნეგატიურ ტრანსფერს ანუ ინტერფერენციას. “პოზიტიური ტრანსფერი” გულისხმობს, რომ პირველი ენის ცოდნა პოზიტიურად მოქმედებს მეორე ენის შესწავლაზე. პირველი ენის სტრუქტურები და მექანიზმები დასტურდება მეორე ენაშიც და, ამგვარად, მათი გამოყენება ადეკვატური და მიზანშეწონილია. ეს, ცხადია, აადვილებს უცხო ენის შესწავლის პროცესს.

ნეგატიური ტრანსფერი კი - ე. წ. ინტერფერენცია - გულისხმობს განსხვავებული აგებულების მქონე პირველი ენის (L1) სტრუქტურებისა და წესების გადატანას მეორე ენაში (L2), რაც არაადეკვატური და ხელისშემშლელია.

პირველი ენის გავლენა ეხება მეორე ენის ყველა დონეს, როგორც ფონეტიკას, ასევე ლექსიკასა და გრამატიკას. პირველი ენის ნეგატიური ტრანსფერი მეორე ენაში ყველაზე მკაფიოდ თავს იჩენს წარმოთქმაში აქცენტის სახით.

ს. ფელიქსს მიაჩნია, რომ ინტერფერენციები ენის შესწავლის პროცესის მახასიათებელია და ისინი განხილული უნდა იყოს არა იზოლირებულად, არამედ შეცდომის ტიპების და ენის ათვისების კანონზომიერების კონტექსტში (Felix 1992: 179).

მეორე ენის ათვისების კვლევაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ს. კრაშენმა (Krashen 1982) და ს. ფელიქსმა (Felix 1982). მათზე დაყრდნობით მეორე ენის ათვისების კვლევა ნატივისტურ მოდელს ეფუძნება, რომლის მიხედვითაც მეორე ენა შინაგანი პროგრამის, ე. წ. თანდაყოლილი ენის ათვისების მექანიზმის, საშუალებით ისწავლება. კვლევა ჩატარდა ემიგრანტებზე, რომელთაც არ უტარდებოდათ გერმანული ენის გაკვეთილი. კვლევის საგანი იყო უარყოფის ფორმების და სტრუქტურის შესწავლა გერმანულში. კვლევამ დაადასტურა, რომ მეორე ენის შემსწავლელი ენის დაუფლების ისეთსავე გზას გადის, როგორსაც ბავშვები პირველი ენის ათვისებისას. ამ კვლევის

მიხედვით, ენის ათვისება განიხილება, როგორც განვითარების პროცესი, რომელიც სულ უფრო რთული - კომპლექსური - ენობრივი ფენომენების თანდაყოლილი მექანიზმის წყალობით ამოცნობას და გამოყენებას გულისხმობს. სტრუქტურული თანმიმდევრობა, რომელიც თანდათან იკვეთება ენის დაუფლების პროცესში, საგულისხმოა და გათვალისწინებული უნდა იქნას უცხო ენის გაკვეთილების დაგეგმვისას. ამ თეორიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია მ. პინემანი (M. Piennemann).

II. თავი - ინტერკულტურული მეთოდი

თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში მზარდი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და პიროვნული კონტაქტების ფონზე დაწინაურდა უცხო ენის სწავლების ინტერკულტურული მეთოდი, როგორც კომუნიკაციაზე ორიენტირებული მეთოდის ლოგიკური გაგრძელება და მისი შემდგომი გაუმჯობესების ცდა. ამ მეთოდის უმთავრესი მახასიათებელია ენის სწავლებისას ორიენტაციის აღება უპირველესად ინტერკულტურული კომპეტენციის ჩამოყალიბებაზე.

2.1. ინტერკულტურული კონცეფცია - ინტერაქცია კულტურებს შორის

ინტერკულტურულობა გულისხმობს თეორიულ კონცეფციას, რომელიც ემყარება დინამიკურ ინტერაქციას კულტურებს შორის მათი ურთიერთგანსხვავებულობის აღიარების ფონზე, რაც საწინდარია წარმატებული კომუნიკაციისა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის. ენაში აირეკლება ერის კულტურული ღირებულებები. მან, როგორც ინტერკულტურული კომუნიკაციის უმთავრესმა კომპონენტმა, შეიძლება ხელი შეუწყოს როგორც ინდივიდთა, ისე ერთა დაახლოებას ან, პირიქით, შეიძლება ის გახდეს საბაზი გაუგებრობისა და კონფლიქტისა. ხშირად ვერბალურ დონეზე არასწორ ინტერპრეტაციას წინ უსწრებს კულტურული ფონის არასწორი ინტერპრეტაცია. ლუტც გოეტცეს თქმით, შეცდომები ინტერკულტურულ დონეზე შეიძლება იმდენად „ფატალურიც“ კი გამოდგეს, რომ მათთან შედარებით ენობრივი შეცდომები „უწყინარად“ გამოიყურებოდნენ, შედეგად კი ვერ შედგეს

დიალოგი ინდივიდთა შორის - არა ენობრივი ფენომენების არცოდნის ან ცუდად ცოდნის, არამედ კულტურული ქვეტექსტების ვერგაგების გამო (Götze et.al. 1993: 232). ამდენად, უცხო ენის სწავლება გულისხმობს არა მარტო გრამატიკისა და ლექსიკის, არამედ, უპირველესად, უცხო რეალობისა და კულტურულ ფასეულობათა ახსნასა და სწავლებას. ნათქვამი ეხება კომუნიკაციას როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ დონეზე (სხეულის ენა, ჟესტები, მიმიკა...). მრავალი მაგალითით დასტურდება, რომ განსხვავება კულტურებს შორის არავერბალური კომუნიკაციის დონეზე (თავის დაკვრა, მისალმება, გამომშვიდობება და ა.შ.) ხშირად შეუძლებელს ხდის ვერბალურ კომუნიკაციაზე გადასვლას. როგორც ცნობილია, მრავალ კულტურაში *თავის დაქნევა* თანხმობას ნიშნავს, *გაქნევა* - უარყოფას, სხვა კულტურებში კი თავის ამ მოძრაობებს საპირისპირო შინაარსი აქვს. სხვადასხვა კულტურაში არსებობს ასევე განსხვავებული მისალმება-დამშვიდობების მთელი რიტუალი, რომლის არასწორმა ინტერპრეტაციამაც შეიძლება სოციალურ კონფლიქტამდე მიიყვანოს კომუნიკაციის მონაწილენი.

კულტურათა (შესაბამისად კი ენათა) შორის მიმართებების მრავალფეროვნებას ხატოვნად აღწერს იორგ როხე აისბერგის მეტაფორის მოშველიებით (Roche 2008: 230). მისი თქმით, ჩვენი მხედველობისა და სმენის ორგანოებით ამა თუ იმ ხალხის კულტურის მხოლოდ გარეგან ნიშნებს აღვიქვამთ: რიტუალებს, ტრადიციებს, ფოლკლორს, მხატვრობას, მუსიკას და ა.შ., მაგრამ ჩვენი მხედველობის მიღმა, მსგავსად აისბერგის წყალქვეშა ნაწილისა, რჩება ის, რაც კულტურას აყალიბებს: ეროვნული ფასეულობები, შეხედულებები, მენტალობა, კონცეფციები, იდეები. ყოველი ერის ენაში აისახება ის ღირებულებები და შეხედულებები, რომლებიც მნიშვნელოვანია მისი კულტურისთვის. ამ ღირებულებებისა და ფასეულობების გაცნობიერების გარეშე ენის შესწავლა შორსაა სრულყოფილებისგან.

ორი კულტურის პარალელური არსებობა არ გულისხმობს მათ შორის გაგებინების ავტომატურად მიღწევას. საჭიროა ერთმანეთისთვის ღირებულებების ისეთი სახით გადაცემა, რომ უცხო მისაღები გახდეს, თუმცა არა საკუთარის უარყოფის ხარჯზე. ამ კონტექსტში ხშირად ახსენებენ *მესამე ადგილს* (Dritter Ort) (Kramisch 1995) ან *შუალედურ*

სამყაროს, რომელშიც - პერსპექტივის ცვლის, კერძოდ, პერსპექტივის გაფართოების წყალობით - საკუთარი და უცხო თანაარსებობს და ერთდროულად ფუნქციონირებს.

ინტერკულტურული სწავლების ქონაგები უცხოს გაგებას შიდა და გარე პერსპექტივების ურთიერთმიმართებას უკავშირებენ. ინტერკულტურულობა, კულტურათაშორისი ურთიერთობა იმაში გამოიხატება, რომ უცხოური ენის შემსწავლელი ე. წ. მესამე პოზიციაზე - ორ კულტურას შორის - დგანან (Bredella at.al. 1999: 113; Christ/Krumm 1999: 295).

ინტერკულტურული მეთოდით სწავლებისას უცხო კულტურის შესახებ ცოდნა შემსწავლელს “სხვათა შორის” კი არ მიეწოდება, არამედ - და სწორედ ამაშია არსებითი განსხვავება კომუნიკაციური მეთოდისაგან - შესასწავლი კულტურის მსოფლმხედველობრივ-კონცეპტუალური აღწერისა და ახსნის მრავალსაფეხურიანი პროცესის შედეგად უყალიბდება.

ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კლიშეების აღმოფხვრას საკუთარ თავში, ტოლერანტობის ხელოვნების დაუფლებას, უცხოს აღქმისა და შეცნობის უნარის გამომუშავებას საკუთარსა და უცხოს შორის რაციონალური პარალელების გავლების საფუძველზე. ინტერკულტურული კომპეტენციის მაღალი დონე კომუნიკაციის ადეკვატურად და შემოქმედებითად წარმართვას გულისხმობს, ეს კი მხოლოდ ინტერკულტურულ უნარებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი. უცხო ენის გაკვეთილი ენის შემსწავლელს ენობრივ კომპეტენციასთან ერთად გარკვეული დოზით სოციალურ ასპექტშიც უყალიბებს ინტერკულტურულ უნარებს (ასეთია, მაგალითად, თავის შეკავება ტაბუირებული საკითხების თემატიზაციისა და ამგვარი თემების თანმხლები ვერბალური თუ არავერბალური ქმედებებისგან). ინტერკულტურული სწავლება აქტიურ ქცევაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესია, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის შემოქმედებითი ინტერაქცია მიმდინარეობს. ინტერკულტურული სწავლება იმდენადაა დინამიკური პროცესი, რამდენადაც იქვე, გაკვეთილზევე, ხდება შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად რეალიზება,

მიღებული ინფორმაციის მეშვეობით სხვა კულტურაში ორიენტირება და მისი მულტიპერსპექტიული აღქმა-გაცნობიერება.

უცხო ენის სწავლება ყოველთვის იყო და იქნება გერმანულ დიდაქტიკოსთა ზრუნვის საგანი. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ ყველა ეპოქა ავითარებს უცხო ენის სწავლების მისთვის უფრო ხელმისაწვდომ და ხელსაყრელ მეთოდებსა და მიდგომებს.

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების ფონზე წინა პლანზე წამოიწია უცხო ენის შესწავლისადმი პრაგმატულმა მიდგომამ. ლინგვოდიდაქტიკოსთა მხრიდან ასეთ მიდგომას პასუხად კომუნიკაციაზე ორიენტირებული მეთოდის შემუშავება მოჰყვა, რომელიც სწავლების ძირითად მიზნად საკომუნიკაციო კომპეტენციის ჩამოყალიბებას ისახავდა - უცხო ენის შემსწავლელს უნდა შესძლებოდა ენის ადეკვატურად გამოყენება მისთვის მნიშვნელოვან ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციაში. ამ მიზნით მეთოდი სასწავლო პროცესში რთავდა სიტუაციურ-თემატურად დალაგებულ ავთენტურ ტექსტებს: ამონარიდებს მხატვრული ლიტერატურიდან, მასალებს პრესიდან, უპირველესად კი გამოყენებით ტექსტებს: რეკლამას, სამგზავრო მარშრუტების ანოტაციებს, ამინდის ბიუროს ცნობებს, განცხადება-ანონსებს, საგამოფენო კატალოგებს და ა.შ. მთავარი იყო ამ გზით სიტუაციის ადეკვატური ქცევის გამოწვევა ენის შემსწავლელში და მისი ეკვივალენტური ენობრივი ქმედების კომპეტენციის ჩამოყალიბება უცხო ენაზე.

ინტერკულტურული კომპეტენცია კომპლექსური ფენომენია, რომელიც იმ კომპონენტების ერთობლიობას გულისხმობს, რომელთა საფუძველზეც შეიძლება შედგეს წარმატებული კომუნიკაცია და კოოპერაცია. ესენია: გაცნობიერებული და კრიტიკული მიდგომა შესასწავლი ენის მატარებელი ერის მენტალური სტერეოტიპებისადმი, უცხო კულტურის აღიარება, უცხო ფენომენის გაგება, მის მიმართ ტოლერანტობა და ა.შ. ინტერკულტურული სწავლების თეორიული მეთოდის ძირითად ფორმად მარტინ ბაუხი ინტერკულტურულ ტრენინგს მიიჩნევს, რომლის მიზანიც მონაწილეთა სოციალური ინტერაქციის გაუმჯობესებაა სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში (Bauch 2010: 63).

ინტერკულტურული კონცეფცია ანგლო-ამერიკული მიგრაციის კვლევიდან იღებს სათავეს. მისი გადანერგვა გერმანული ენის მეთოდულ კონტექსტში სამოცდაათიანი წლებიდან დაიწყო, რასაც მოჰყვა დიდი დისკუსია მეთოდის აპოლოგეტებსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის. თავდაპირველად განვიხილოთ, თუ რას გულისხმობს ეს მეთოდი თვით ანგლო-ამერიკულ კონტექსტში. ამერიკელი მკვლევრები ვილის ედმონდსონი და ჯულიანა ჰოუსი უარყოფენ *ინტერკულტურულის* ცნებას უცხო ენის გაკვეთილთან მიმართებით. ისინი თვლიან, რომ უცხო ენის გაკვეთილი თავისთავად უკვე ინტერკულტურალიზმის ასპექტშია გადაწყვეტილი და მის გვერდით განსაზღვრება *ინტერკულტურულის* ხმარება სხვა არაფერია, თუ არა ტავტოლოგია. უცხო ენის სწავლების ნებისმიერი მეთოდი თავისთავად უკვე ინტერკულტურალიზმის ნიშნით არის აღბეჭდილი. ამ კონტექსტში საინტერესოა დიტმარ რიოსლერის შენიშვნა, რომ მხოლოდ ინტერკულტურული მეთოდი ახერხებს ენის შესწავლის პროცესში ინტერაქციის გზით გამოავლინოს „ახალი პერსპექტივა“ მშობლიურ ენასა და უცხო ენას შორის (Rössler 2012: 82). ეს განსხვავებულობა ყოველთვის ფიგურირებს ენის ინტერკულტურული მეთოდით სწავლებისას, იმის მიუხედავად, თუ რას ეხება საქმე - კითხვის, წერის თუ სხვა უნარის გამომუშავება-განვითარებას; მშობლიური და უცხოური კულტურისადმი შეპირისპირებითი მიდგომა განაპირობებს ანალოგიურ მიდგომას მშობლიური და შესასწავლი ენებისადმი.

2.2. გერმანული ლინგვოდიდაქტიკოსების ინტერკულტურული სწავლების კონცეფცია

უცხო ენის ინტერკულტურული სწავლებისას უმთავრესი მიზანია ინტერკულტურული და მულტიკულტურული კონტექსტების გაგება უცხოს/ახლის აღქმისა და გაგების გზით (Fremdwahrnehmung und Fremdverstehen). ეს მიდგომა სათავეს იღებს გისენის სკოლის (Gießener Graduiertenkolleg) ლინგვოდიდაქტიკოსთა ნაშრომების კრებულიდან “Fremdverstehensdidaktik” (*უცხოს გაგების დიდაქტიკა*), რომელიც გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა. ამ სკოლამ, შეიძლება

ითქვას, აშკარა ინდივიდუალური გერმანული შტრიხები შესძინა ენის ინტერკულტურული სწავლების მეთოდის ჩამოყალიბებას.

ლოთარ ბრედელა და ჰერბერტ ქრისტი ჯერ კიდევ ამ ოციოდე წლის წინ აღნიშნავდნენ, რომ „უცხო სემეცნების დიდაქტიკა უცხო ენის სწავლა-სწავლების ქვაკუთხეა“ (Bredella/Christ 1995: 10–11). ენის შემსწავლელი: ა) ეუფლებიან უცხო ენას; ბ) აღიქვამენ უცხო ენას, როგორც უცხო კულტურის ნაწილსა და გამოხატულებას; გ) ურთიერთობენ უცხო ადამიანებთან, რომლებიც ასევე უცხო კულტურის წარმომადგენლები არიან.

ამ კონცეფციაზე დაყრდნობით უცხო გაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ისმება კითხვა: როგორ უნდა შეიმეცნო უცხო ენა და კულტურა საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით? საკუთარი ცოდნა ხომ უცხო გაგების იმგვარ სტრატეგიას - ვირტუალური პროექციის სახით მის იმგვარად წარმოსახვას - გვარნახობს, რომელიც საკუთარ, ასე ვთქვათ, *წინარე შეხედულებებს* კიდევ უფრო გიმყარებს?! ძირითადი იდეა აღქმისა და შეცნობის პროცესისა არის მზაობა შეიცვალო პოზიცია როგორც საკუთართან, ისე უცხოთან დაკავშირებული მყარი შეხედულებების მიმართ (Bredella et al. 1999: 13).

განასხვავებენ ორგვარ - *შიდა* და *გარე* - პერსპექტივას (Bredella 1999: 113). *შიდა პერსპექტივა* გულისხმობს უცხო კულტურის “შიგნიდან” გაგებას/შემეცნებას ისე, რომ უცხო კულტურა სწორედ ამ უცხო კულტურის წარმომადგენლების თვალთ დავინახოთ, „ჩავიძიროთ“ უცხო კულტურაში; ხოლო *გარე პერსპექტივა* გულისხმობს უცხო კულტურის საკუთარი თვალთ დანახვას. „პერსპექტივების ცვლილება და დისტანცირება საკუთარისგან აბალანსებს უცხო გაგების პროცესს“ (Bredella et al. 2000: 13). საკუთარზე დაყრდნობით გააცნობიერო უცხო განსხვავებულობა ნიშნავს გამოხატო დიალოგისათვის მზაობა (Christ 2007: 51). ეს მაშინ მოხდება, როცა ენის შემსწავლელს განუვითარდება უნარი, უპირობოდ კი არ მიიღოს საკუთარი და უცხო (განურჩევლად იმისა, პოზიტიურია თუ ნეგატიურია მისი მიმართება მათთან), არამედ ორივეს ანალიტიკურად, რაციონალურად მიუდგეს. ი. როხეს აზრით, სრულყოფილი

ინტერკულტურული კომუნიკაციის მისაღწევად მნიშვნელოვანია საკუთარს გადაფასება (ხელახლა შეფასება) (Roche 2001: 154).

უცხო კულტურა რომ გავიგოთ, აუცილებელია შიდა და გარე პერსპექტივების აქტივირება. “შიდა პერსპექტივა აუცილებელია, რათა დავძლიოთ ეთნოცენტრიზმი, ხოლო გარე პერსპექტივა აუცილებელია, რათა უკრიტიკოდ არ აღმოვჩნდეთ ამა თუ იმ შიდა პერსპექტივის ტყვეობაში. გააზრებული (რეფლექტირებული) ინტერკულტურული გაგება მხოლოდ შიდა და გარე პერსპექტივებს შორის წარმოქმნილი დამაბულობის ფონზეა შესაძლებელი” (Bredella 2000: 12).

უცხო კულტურაზე დაკვირვება თავისთავად მიბიძგებს საკუთარს ხელახალი გააზრებისკენ, რეფლექსიისკენ. ამ დროს ბუნებრივია გაჩნდეს კითხვა, თუ როგორ აღიქმება ჩემი კულტურა უცხოს მიერ და რამდენად მნიშვნელოვანია ამ აღქმისთვის დამკვიდრებული სტერეოტიპები და კლიშეები.

მეორე მხრივ, აღსანიშნავია ასევე სკეპტიკოსთა ნაშრომები, რომლებიც მიმართულია „ინტერკულტურული ეიფორიის წინააღმდეგ“ (De Florio-Hansen 1994). ჰ. ჰუნფელდს მიაჩნია, რომ უცხო ენის ცოდნის გაუმჯობესებასთან ერთად იზრდება ინტერკულტურული გაუგებრობების საშიშროება მისგან, ვინც უცხო ენაზე გაჭირვებით საუბრობს, **ენობრივი** შეუსაბამობები არაა მიუღებელი, რადგან მოსალოდნელია; უცხო ენაზე კარგად მოსაუბრისგან კი **კულტურული** შეუსაბამობები აღარაა მისაღები, რადგან მოულოდნელია (Hunfeld 1989: 71). თავისი ცნობილი გამონათქვამით „უცხოს ნორმალურობა“ (Die Normalität des Fremden) (Hunfeld 1991) მკვლევარი მიანიშნებს ინტერკულტურული კომპეტენციის ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიურ განზომილებაზე, ამ კომპეტენციის შეძენის აუცილებლობასა და სირთულეზე.

ინტერკულტურული მეთოდის მოწინააღმდეგეები აკრიტიკებენ ასევე იმას, რომ ეს მეთოდი დიდ დროს მოითხოვს დასახული სასწავლო მიზნის მისაღწევად. დასახულ მიზანს კი ენის შემსწავლელის აღქმებისა და ღირებულებების სამიზნე ენის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენს.

ინტერკულტურული კომპეტენციის მისამართით 90-იან წლებში გამოთქმულ კრიტიკას ძალა დაუკარგა ბოლო წლებში გამოქვეყნებულმა შრომებმა. ინტერკულტურული მეთოდის გაძლიერებას, ინტერკულტურული კომპეტენციის შეძენას, უცხო სურათის (Fremdbild) და პერსპექტივის ცვლილებებს ეძღვნება გისენის სკოლის წარმომადგენელთა შრომები (Bredella et al. 2000), რომლებშიც დასაბუთებულია ინტერკულტურული მეთოდის უპირატესობა და მოქნილობა, მისი შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან. ახალი პუბლიკაციები ინტერკულტურული კომუნიკაციის სფეროში უმეტესწილად გლობალიზაციისა და ევროპეიზაციის ტენდენციებს ამკვიდრებს.

2.3. ენა და კულტურა

ყოველი ენა საზოგადოების კულტურული განვითარების შედეგია, რაც იმას ნიშნავს, რომ ენა თავის თავში ამ საზოგადოების კულტურასა და ღირებულებებს ატარებს. ყოველი უცხო ენის შესწავლა უცხო კულტურასთან კონტაქტს და კომუნიკაციას გულისხმობს. თანამედროვე მეცნიერებისთვის კვლავაც ძალაშია ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის მიერ ორი საუკუნის წინ გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ “ენა ხალხის სულის გარეგნული გამოვლინებაა; მისი ენა არის მისი სული და მისი სული არის მისი ენა” (Humboldt 1994: 41).

ენობრივი სისტემები კულტურული ნიშან-თვისებების კომპლექსური გამოხატულებანია. ისინი ადვილი აღსაქმელი არაა. ყველა, ვისაც აქვს შეხება უცხო ენასთან (თარჯიმნები, მთარგმნელები, მასწავლებლები...), ადასტურებს, რომ ენის ფლობა მხოლოდ სიტყვებისა და წინადადებების დაკავშირების წესების ცოდნას არ გულისხმობს. ენის დაუფლება ფაქტობრივად შესაბამის კულტურასთან ზიარებას, ამ კულტურის გაგებას ნიშნავს.

2.4. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილის დიდაქტიკურ-მეთოდური პრინციპები

ენების ერთიანი ევროპული ჩარჩოს და გერმანული საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით, ინტერკულტურული კომპეტენციის შეძენა თანამედროვე უცხო

ენის გაკვეთილის საგნობრივი დიდაქტიკური ინტერესის სფეროში მოექცა. გაზრდილი მობილობის, კავშირების, სოციალური კომუნიკაციის პირობებში წარმოიშვა უცხო ენის შესწავლისა და სწავლების ახლებურად დაგეგმვის აუცილებლობა. ცნობილი გერმანელი დიდაქტიკოსის, ჰ.-ი. კრუმის, მიხედვით, თანამედროვე გერმანული ენის გაკვეთილის მიზანია ადამიანების მომზადება მულტიკულტურულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის და მათთვის ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარის გამომუშავება. ინტერკულტურული სწავლება გულისხმობს უცხო კულტურის ღირებულებებისა და წესების გათვალისწინებას, რათა ენის შემსწავლელმა საჭირო სიტუაციაში შესაბამისი ქცევა და ენობრივი კომპეტენცია გამოავლინოს, არ დაარღვიოს ტაბუები და სიტუაციის შესატყვისად მოიქცეს (Bredella 1999: 91). ნათელია, რომ კულტურათა შედარება უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

უცხო ენის ინტერკულტურული გაკვეთილი უნდა ითვალისწინებდეს იმ ზოგად მიზნებს, რომლებიც აღწერილია გ. აუერნჰაიმერის „ინტერკულტურული პედაგოგიკის შესავალში“: დამოკიდებულება კულტურული განსხვავებების მიმართ, ინტერკულტურული დიალოგისთვის მზაობა, მულტიკულტურული ზოგადი განათლება, მრავალენოვანი განათლება, ანტირასისტული აღზრდა (Auernheimer 2012: 124).

უცხო ენის შესწავლა არ გულისხმობს მყისიერად ინტერკულტურული კომპეტენციის შეძენას, იგი ნელ-ნელა უნდა ჩამოუყალიბდეს ენის შემსწავლელს. დიდი როლი ეკისრება უცხო ენის მასწავლებელს, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს უცხო ენისა და კულტურისადმი ინტერესისა და მისი შესწავლის სურვილის გაღვიძება. მასწავლებელი ინტერკულტურული გამოცდილებითა და ცოდნით უნდა იყოს შეიარაღებული, რათა შეძლოს ამ მნიშვნელოვანი ამოცანისათვის თავის გართმევა.

ულრიკე რეეგის მიხედვით, უცხო ენის გაკვეთილზე ინტერკულტურული სწავლებისას შემდეგი ასპექტებია გასათვალისწინებელი: მოტივაცია (როგორც მასწავლებლის, ასევე შემსწავლელის მხრიდან), სწორი ორიენტაცია (მასწავლებლის მიერ სწორად შერჩეული თემა და კითხვები), კრეატიულობა (შემსწავლელის მიერ სიტუაციის

წარმოსახვა), ადეკვატური ქმედება (როლური თამაშები, დიალოგები, ტექსტის ანალიზი, პროექტზე მუშაობა და ა.შ.) (Reeg 2008: 117-132). ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილის მიზანია უცხო ენისა და კულტურისადმი შემსწავლელის პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და გამყარება. ეს კი მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისათვის, რომ ენის შემსწავლელი აცილებულ იქნას უხერხულ სიტუაციებს და ენობრივ-კულტურული განსხვავებით გამოწვეულ გაუგებრობებს. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილის დაგეგმვა სხვადასხვაგვარად ხდება სხვადასხვა ქვეყანაში, შესაბამისი სოციო-კულტურული რეალობის გათვალისწინებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილის ძირითადი სიმძიმე ქვეყანათმცოდნეობით თემებზე, შინაარსსა და ლექსიკაზე მოდის, ხოლო გრამატიკის სწავლება ამ მეთოდის მიხედვით არ არის წინა პლანზე წამოწეული. გრამატიკული მასალა ტექსტებში წარმოდგენილია ინტეგრირებულად და არა განყენებულად. იგი მოცემულია ენობრივ-კულტურულ კონტექსტში, რათა მისი აღქმა და ინტერპრეტაცია არ იყოს რთული. ი. როხე მიუთითებს, რომ ინტერკულტურული მეთოდით გრამატიკის მიწოდება უნდა მოხდეს კულტურული კონტექსტის გამოყენებით, ახალი ცოდნის არსებულ ცოდნაზე დაშენებით, ხოლო ახალი გრამატიკული მასალის შესწავლა და გამოყენება - შემსწავლელის ენასთან მიმართებით; აბსტრაქტული წესების დასწავლის ნაცვლად უნდა მოხდეს ცოდნის მიზანმიმართული გამოყენება (Roche 2001: 138).

ენის კომპეტენცია წინ უსწრებს ინტერკულტურულ კომპეტენციას, რომლის გამომუშავებაც დროთა განმავლობაში პროგრესით მიმდინარეობს. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილისათვის ენისა და კულტურის სწავლების ოთხფაზიანი პროცესია დამახასიათებელი:

- **აქტივაცია**, იგივე მოთელვის ფაზა, შესაძლებლობას აძლევს შემსწავლელს გამოამყდავნოს მოცემული თემისადმი დამოკიდებულება, ცოდნა. ამ დროს ხდება დავალების შესასრულებლად საჭირო ძირითადი და მნიშვნელოვანი ენობრივი და

კონცეპტუალური პრობლემების განხილვა, წინარე ცოდნის გააქტიურება, ხშირად ასოციოგრამის ან კითხვების საშუალებით.

- **დიფერენცია** - ამ ფაზაში ხდება ძირითადად ტექსტის ან შეტყობინების განხილვა, ლექსიკური და გრამატიკული მასალის მიწოდება, ინტერკულტურული ცოდნის გადაცემა, სწავლების სტრატეგიის შემუშავება.

- **ექსპანსია** - ეს ფაზა ტექსტის ძირითადი ნაწილის დამუშავებას, თემის შესახებ შინარსობრივ დისკუსიას, ახალი პერსპექტივის დასახვას, დედუქციური აზროვნების წინ წამოწევას, ენობრივი მასალის უკეთ და სრულყოფილად დამუშავებას და ვარჯიშს მოიცავს.

- **ინტეგრაცია** - ამ ფაზის დროს ხდება შესწავლილის, სადისკუსიო თემის სხვა პერსპექტივით განხილვა, შემსწავლელის მიერ უკვე ნასწავლის გამოყენება. ამ ფაზას მიჰყავს შემსწავლელი იმ კონდიციამდე, რომელშიც შესაძლებელია ამოსავალი და სამიზნე ენებისა და კულტურების ახალი პერსპექტივიდან დანახვა და დაუფლება.

შესწავლის პროცესში ამ ფაზების გავლისას ხდება სხვადასხვა მასალის, წიგნების, თვალსაჩინოების, ლექსიკონების, ინტერნეტ-რესურსების და ა.შ. გამოყენება. შესწავლის ფაზების მოცულობა ცვალებადია და მასწავლებელზეა დამოკიდებული, თუ როგორი ფორმითა და რა ინტენსივობით მიუსადაგებს იგი ამ პროცესს სამიზნე ჯგუფს. შესწავლის პროცესი ასოციაციური აზროვნებიდან დედუქციურ აზროვნებაზე გადასვლას გულისხმობს, რომელსაც შემსწავლელი პროგრესის გზით აღწევს.

უცხო ენის გაკვეთილის თემატიკის დაგეგმვა შესაძლებელია მასწავლებლის მიერ ენის შემსწავლელებთან კონსულტაციითაც. შესაძლებელია იმის გათვალისწინებაც, თუ გერმანიასთან (და გერმანულ ენასთან) დაკავშირებული რა თემები აინტერესებთ შემსწავლელს. ენის შემსწავლელების ინტერესი ძალზე განსხვავებული შეიძლება იყოს მათი ასაკის, სწავლების საფეხურის და კულტურული მიკუთვნებულობის მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ სამიზნე ჯგუფის ინტერესები განსხვავდება და იცვლება დროთა განმავლობაში, სასურველი და მიზანშეწონილია, რომ მასწავლებელი იმ თემატიკაზე იყოს ორიენტირებული, რომელიც გარკვეული ასაკისა და სწავლების

საფეხურისთვის უნივერსალურია და რომლის აქტუალობას გამოცდილებაც ადასტურებს. ასეთ შემთხვევაში ენის შემსწავლელთა გამოცდილებისა და ცოდნის გათვალისწინებით ადვილია ინტერკულტურული მიდგომის განვითარება, შედარებების გაკეთება საკუთარსა და უცხო შორის, „ხიდების“ გადება ნაცნობ და უცნობ სამყაროს შორის. სწავლების ფსიქოლოგია გვასწავლის, რომ ახალი ცოდნის და გამოცდილების აღქმა უფრო გაადვილებულია, თუ იგი უკვე მოცემულ, არსებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაშენდება. ეს შემსწავლელს პიროვნული განვითარების, სწავლების ჰორიზონტის გაფართოების საშუალებას აძლევს. სწორედ ეგზისტენციალური თემებია ის საფუძველი, რომლებიც ენის შემსწავლელისთვის ყველა კულტურაში მნიშვნელოვანია.

2.5. ინტერკულტურული სწავლება და ინტერკულტურული კომუნიკაციის თანამედროვე გამოწვევები

ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილის მიზანია, რომ, სამიზნე ენისა და კულტურის შესწავლასთან ერთად, შემსწავლელს ახალი მსოფლმხედველობითი პერსპექტივა და ინტერკულტურული კომპეტენცია შესძინოს. უცხო ენის შემსწავლელმა სამიზნე ენის დახმარებითა და საკუთარ სოციო-კულტურულ კონტექსტზე დაყრდნობით უნდა აღიქვას უცხო ენის კულტურა.

კ. კრამიში განმარტავს, რომ ინტერკულტურული კომპეტენციის შეძენა უცხო ენის შესწავლისთვის აუცილებელი უნარია. ინტერკულტურულმა სწავლებამ შესაძლებელი უნდა გახადოს კულტურათა განსხვავებულობის სიღრმისეული გააზრება. უცხო ენის გაკვეთილი აღიქმება იმ ადგილად, სადაც ინტერკულტურული დიალოგი წარმოებს, ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, შეხედულებების გაზიარება, კომუნიკაციური ბარიერების გადალახვა და ენობრივ-კულტურული გაუგებრობების დაძლევა. ამდენად, სწავლების თემატიკის შერჩევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინტერკულტურულ უცხო ენის გაკვეთილზე (Kramisch 2000: 181).

ინტერკულტურული კომპეტენციის კონცეფცია მჭიდროდაა დაკავშირებული სოციოლოგიასთან, ლინგვისტიკასთან და ანთროპოლოგიასთან. უცხო ენის სწავლებასთან მიმართებით იგი, ქვეყანათმცოდნეობისა და ენის კომპეტენციის გარდა, ასევე გულისხმობს ქცევისა და კომუნიკაციის იმ დაუწერელი წესების ფაქტობრივ ცოდნას, რომლებიც ამა თუ იმ სამიზნე ენის კულტურას აქვს. სწორედ ინტერკულტურული კომპეტენციის საშუალებით არის შესაძლებელი ინტერკულტურული გაუგებრობებისა და გაურკვევლობების თავიდან არიდება და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის უპრობლემო საკომუნიკაციო გარემოს შექმნა (Knapp/Knapp-Potthoff 1990: 66).

ტერმინი *ინტერკულტურული კომუნიკაცია* წარმატებით გამოიყენება არა მარტო უცხო ენის დიდაქტიკაში, არამედ სხვა მრავალ დარგსა და სფეროში. ინტერკულტურული კომპეტენციის კონცეფცია გულისხმობს უცხო ენის შემსწავლელის უნარს მოახდინოს საკუთარი და უცხო კულტურის დიფერენცირება, პატივისცემით მოეკიდოს უცხო კულტურას.

უცხო ენის სწავლებისთვის ინტერკულტურული კომუნიკაცია გულისხმობს:

- უცხო სადმი გაზრდილ მგრძნობელობას;
- ტაქტს ინტერკულტურული ურთიერთობისას;
- საკუთარს და უცხოს პერსპექტივის განსაზღვრას;
- ტოლერანტობას ინტერკულტურული და მულტიკულტურული სფეროებისადმი

(Volkmann et al. 2002: 14).

ამგვარად, ინტერკულტურული სწავლება ისწრაფვის *გაუცნობიერებელი ინტერკულტურული კომპეტენცია* გარდაქმნას *გაცნობიერებულ ინტერკულტურულ კომპეტენციად*. უცხო ენის გაკვეთილისთვის ეს ნიშნავს როგორც კოგნიტურ, ასევე ქცევაზე ორიენტირებულ სწავლებას. საგულისხმოა, რომ კომუნიკაციის მონაწილეები სხვადასხვა იდენტობის მატარებელი პირები არიან საკუთარი სოციალური, ასაკობრივი, პროფესიული და ა.შ. გამოცდილების მიხედვით, რაც, თავის მხრივ, ზემოქმედებს აღქმისა და შემეცნების პროცესების ურთიერთგანსხვავებულად წარმართვაზე. ამის გამო

სიფრთხილესა საჭირო სასწავლო ტექსტების შერჩევასა, განსაკუთრებით თუ გვსურს თავიდან ავიცილოთ უხერხულობა და არასასურველი შეკითხვები ენის შემსწავლელთა მხრიდან. ამ კონტექსტში არანაკლებ გასათვალისწინებელია:

ა) ენის შესწავლის საფეხური; რაც უფრო დაბალია იგი, მით უფრო ნაკლებია ინდივიდის ინტერკულტურული გამოცდილება და საჭირო ხდება მისთვის ამ ტიპის ინფორმაციის უფრო დიდი დოზით მიწოდება; რაც უფრო მაღალია ენის შემსწავლელის ენობრივი კომპეტენცია, მით უფრო მაღალია მისი ინტერკულტურული კომპეტენცია;

ბ) შესასწავლი თემატიკის რელევანტურობა ამა თუ იმ კულტურის მატარებელთათვის. ბ. მიულერ-ჟაკიე გვიჩვენებს ყოველდღიურობასთან მისადაგებული იმ თემების შეტანას კურიკულუმში, რომლებიც ენის შემსწავლელისთვის საკუთარი გამოცდილებიდანაც ახლობელია, მაგალითად: ოჯახი, სახლი, ბავშვი, ავტომანქანა, დაპირება, უარყოფა, წარდგენა, ზრდილობა/უზრდელობა, პასუხისმგებლობა, სამუშაო, თავისუფალი დრო და ა.შ. (Müller-Jacquier 2001: 1231). თუმცა გამოსარიცხი არ არის საშიშროება, რომ ყოველდღიურმა თემატიკამ გააჯეროს სასწავლო კურიკულუმი და სასწავლო პროცესის მიღმა დატოვოს ინტერკულტურული კომუნიკაციისთვის სხვა უფრო მნიშვნელოვანი თემები. ამიტომ საჭიროა თემატიკა ისე შეირჩეს, რომ კონკრეტული ტექსტების მეშვეობით შემსწავლელს მიეწოდოს ინფორმაცია, რომელიც მას უფრო მეტის შესწავლის მოტივაციას გაუღვიძებს. ამასთან კავშირში გერმანელი დიდაქტიკოსი ჰერმან ფუნკი ავითარებს მოსაზრებას, რომ კურიკულუმის შედგენა ციკლური პროგრესიის პრინციპით უნდა მოხდეს - ნაცნობიდან უცნობისკენ, ინდივიდუალურიდან სისტემურისკენ და ა.შ. ასევე ინტერაქტიურობის პრინციპზე დაყრდნობით უნდა ხდებოდეს მიწოდებული მასალის სრულყოფა გრამატიკული სახის ინფორმაციისა და შესაბამისი ლექსიკის მოშველიებით (Funk 1999: 97).

დისკუსიამ ინტერკულტურული სწავლების თემატიკის შესახებ ფართო მასშტაბი შეიძინა და მასში მრავალი დიდაქტიკოსი ჩაერთო. კლაუს ალტმაიერი გვთავაზობს ქვეყანათმცოდნეობის პლანში გასააზრებელ თემებს, როგორცაა: იდენტობა, ადგილი, დრო და ღირებულებები (Altmayer 2006: 192; Altmayer 2007: 19). მის პოზიციას ეხმიანება

ანდრეას რამინის ჩამონათვალი: ადგილი, დრო, დისტანცია, სამუშაო და კლიმატი (Ramin 1989: 232). გერჰარტ ნოინერისთვის კი ამოსავალია ენის შემსწავლელის *გამოცდილებაზე* დაყრდნობა, რადგან სწორედ გამოცდილებაა, მისი აზრით, ინტერკულტურული შედარების საფუძველი (Neuner 1989: 360). საკუთარ გამოცდილებაში ის გულისხმობს არა ერთი ინდივიდის, არამედ ზოგადსაკაცობრიო გამოცდილებას ანუ იმას, რაც უნივერსალურია და ეგზისტენციალურია ადამიანებისთვის განურჩევლად მათი ეროვნებისა. ამასთანავე, ამ გამოცდილების თემატიზაცია - თემატურად დალაგება - სხვადასხვანაირად ხდება სხვადასხვა კულტურაში. გერჰარტ ნოინერის ჩამონათვალში ფიგურირებს თემები:

1. დაბადება და გარდაცვალება;
 2. იდენტობა (პირადი მონაცემები);
 3. ოჯახური თანაცხოვრება (ნათესაობა);
 4. საზოგადოებრივი თანაცხოვრება;
 5. ურთიერთობანი პარტნიორებს შორის (მეგობრობა/სიყვარული);
 6. საცხოვრებელი პირობები;
 7. გარემო;
 8. სამუშაო;
 9. განათლება/აღზრდა;
 10. დასვენება/თავისუფალი დრო/ხელოვნება/გართობა;
 11. კონსუმირება/მოხმარების სფერო;
 12. ტრანსპორტირება/მობილობა (ადგილის გაგება);
 13. მასობრივი კომუნიკაცია (მედია);
 14. ჯანმრთელობის დაცვა;
 15. სულიერი ფასეულობები (ეთიკა/რელიგია/ჰიგიენა);
 16. დროის აღქმა;
 17. სულიერ-ფსიქიკურ გამოცდილებათა განზომილება.
- (Neuner 1994: 23).

ბუნებრივია, ყოველდღიურობის ამსახველი ე.წ. *გენერატიული თემების* (Zeuner 1997: 50) აქ წარმოდგენილი ნუსხა მხოლოდ პირობითია და ამა თუ იმ ქვეყნის რეალობის გათვალისწინებით ის შეიძლება სწავლებისთვის რელევანტური სხვა თემებითაც განვირცოვო. მთავარია, რომ თემა აკმაყოფილებდეს ზემოთ განხილულ მოთხოვნებს, იყოს საინტერესო შემსწავლელისთვის და ექვემდებარებოდეს მოდიფიცირებას მიზნობრივი ჯგუფის სპეციფიკურ მახასიათებელთა მიხედვით.

საგულისხმოა, რომ სწავლების ინტერკულტურული მეთოდი ერთნაირად ვრცელდება როგორც ცალკეული თემების შესწავლაზე, ისე მათთან დაკავშირებული ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული მასალის მიწოდებაზე. ძირითადი მოთხოვნა პრაქტიკული გრამატიკისადმი ის არის, რომ თემატიკა დავალებად მიცემული შინაარსის კონტექსტისგან განყენებული კი არ იყოს, არამედ - ამ უკანასკნელთან ორგანულად შერწყმული და მის სოციოკულტურულ კონტექსტში ორგანულად „ჩაწული“ - ხელს უწყობდეს თემის სრულყოფილად ახსნას და, შესაბამისად, ამაღლებდეს შემსწავლელის მოტივაციასაც; მეორე მხრივ, ის უნდა ეფუძნებოდეს ასევე შედარება-შეპირისპირებას ანუ კონტრასტული გრამატიკის პრინციპებს და შემსწავლელის გონებაში ასოცირდებოდეს მშობლიური ენის ანალოგიური გრამატიკული შინაარსის ფორმებთან თუ ნორმებთან.

სხვა სახის პრობლემებს გვიქმნის ლექსიკური მარაგის მიწოდება: რადგან სიტყვა თავისი სიმბოლიკით უკავშირდება შესაბამისი ენის კულტურას, შეუძლებელია დავჯერდეთ მხოლოდ მის პირდაპირ თარგმანს. ინტერკულტურული კომუნიკაციისას ხშირია შემთხვევა, როცა მოსაუბრე კონტექსტს ვერ იგებს, რადგან შესაბამისი კონცეპტი თავის კულტურაში არ გააჩნია, არ აქვს ანალოგიური ხატი და არც მისი შესაბამისი სიტყვა მშობლიურ ენაში. ამიტომ საჭიროა, რომ ენობრივ-კულტურული პროგრესის პარალელურად განვითარდეს ლექსიკის დონეზე კონტრასტული სემანტიკა, რაც, ულრიხ ცოინერის აზრით, იძლევა იმის საშუალებას, რომ სიტყვების შესწავლა ხდებოდეს კომპლექსურად, კონტექსტის მეშვეობით, ლექსიკური ერთეულის კულტურული მარკირებულობის გათვალისწინებით (Zeuner 1997: 3). კონცეპტუალური ქაოსის თავიდან ასარიდებლად საჭიროა, რომ თითოეული სიტყვა და ცნება ახსნილი იყოს

კონტექსტუალურად და არა მხოლოდ ლექსიკონში მითითებული ეკვივალენტით. კონცეპტუალური განსხვავებულობების წინ წამოწევა უნდა ხდებოდეს გერმანული ენის გაკვეთილზე, პედაგოგმა უნდა შეძლოს მათი ახსნა, ენის შემსწავლელმა კი - რეფლექტირება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინტერკულტურული მეთოდით სწავლებისას ხდება არა მხოლოდ უცხო კულტურის შესახებ ცოდნის უბრალოდ მიწოდება, არამედ მისი მსოფლმხედველობრივ-კონცეპტუალური ახსნა და გადაცემა, ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარის გამომუშავება, რაც გულისხმობს კლიშეების აღმოფხვრას, უცხოს აღქმისა და შეცნობის უნარის შექმნას სხვადასხვა პერსპექტივაში რაციონალური პარალელების გავლების საფუძველზე საკუთარსა და უცხოს შორის. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილი ენის შემსწავლელს ენობრივ კომპეტენციასთან ერთად ინტერკულტურულ უნარებს უყალიბებს. ინტერკულტურული სწავლება აქტიურ ქცევაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესია, რომლის დროსაც ინტერაქცია მიმდინარეობს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის და გაკვეთილზევე ხდება შექმნილი ცოდნის პრაქტიკული რეალიზება.

გერმანულის, როგორც უცხო ენის, შესწავლა გულისხმობს არა მარტო გერმანული ენობრივი კომპეტენციის დაუფლებას, არამედ გერმანულენოვანი ქვეყნების კულტურული, ეკონომიკური, საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციის ათვისებას. აუცილებელია, რომ ენის შემსწავლელმა სხვა კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით შეძლოს ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანებთან ღირებული და სწორი კომუნიკაცია. ამისათვის კი საჭიროა, რომ უცხო ენის სწავლების პროცესში გათვალისწინებული იყოს ქვეყანათმცოდნეობითი სწავლების როლი, რომელიც უცხო ენის სწავლების ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს. თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილი ამ ორიდან რომელიმე ასპექტის გარეშე წარმოუდგენელი და არასრულყოფილია. ყოველი სავარჯიშო თუ ტექსტი ენობრივ ცოდნასთან ერთად ქვეყანათმცოდნეობით ინფორმაციასაც იძლევა.

2.6. ქვეყანათმცოდნეობის როლი უცხო ენის შესწავლისას და მისი სწავლების ფორმები

სოციალური, კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური ფაქტორების ცვლილება უცხო ენის სწავლების მეთოდების ცვლილებასაც იწვევს. შესაბამისად, ქვეყანათმცოდნეობის როლი სხვადასხვა ეპოქაში უცხო ენის სწავლების მეთოდთან ერთად იცვლება.

80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა ახალი მიდგომა ქვეყანათმცოდნეობის სწავლების თვალსაზრისით. შეიქმნა „თეზისები გერმანული ენის სწავლებაში ქვეყანათმცოდნეობის როლის შესახებ“ (ABCD-Thesen zur Rolle der Landeskunde im Deutschunterricht). ეს თეზისები აერთიანებდა ყველა გერმანულენოვან ქვეყანას იმ პერიოდისათვის - გერმანიის ფედერაციულ და დემოკრატიულ რესპუბლიკებს, ავსტრიასა და შვეიცარიას. მისი მიზანი იყო გერმანულენოვანი ქვეყნების რეგიონალური და ნაციონალური მრავალფეროვნების გაცნობა ენის შემსწავლელთათვის. მოგვიანებით გერმანულენოვან სამყაროში განვითარებულმა ისტორიული ხასიათის ცვლილებებმა შეცვალა მიდგომა ქვეყანათმცოდნეობის ასპექტის სწავლებისადმი და ჩამოყალიბდა სრულიად ახალი, თანამედროვე მიდგომა, რომელიც D-A-CH-L -კონცეპტის სახელითაა ცნობილი. იგი ფარავს მთლიანად გერმანულენოვან ქვეყნებს (გერმანიას, ავსტრიას, შვეიცარიასა და ლიხტენშტაინს) და ითვალისწინებს მათი კულტურისა და საზოგადოების გაცნობას ენის შემსწავლელისთვის. ამ კონცეპტის მეშვეობით ქვეყანათმცოდნეობის ასპექტი ახალ მნიშვნელობას იძენს. უკვე თავად შემსწავლელი ცდილობს ქვეყანათმცოდნეობის თემატიკაში გარკვევას საკუთარი ინტერესების მიხედვით და ქცევაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდის გამოყენებით.

ტერმინი *ქვეყანათმცოდნეობა* საკმაოდ ფართო მნიშვნელობისაა. მკვლევართა ერთი ნაწილი ქვეყანათმცოდნეობას ცალკე დისციპლინად არ ცნობს (Schmidt 1977; Gürtler/Steinfeld 1990). გ. დრესლერი, ბ. როიტერი და ე. როიტერი კი ქვეყანათმცოდნეობაში გულისხმობენ ენის შემსწავლელისთვის შეთავაზებულ

შესაძლებლობას ადეკვატურად აითვისოს უცხო კულტურის შესაბამისი ცხოვრებისა და ქცევის წესები (Dressler et al. 1980).

სწავლების სხვადასხვა მეთოდი ქვეყანათმცოდნეობის ასპექტს განსხვავებული დიდაქტიკური მოდელის სახით გვთავაზობს. სწორედ ამიტომ განასხვავებენ კოგნიტურ, კომუნიკაციურ და ინტერკულტურულ მეთოდებს ქვეყანათმცოდნეობის სწავლებისას.

კოგნიტური მეთოდით ქვეყანათმცოდნეობის სწავლება გულისხმობს იმ ფაქტებისა და ინფორმაციის მიწოდებას ენის შემსწავლელისათვის, რომელთა მეშვეობითაც მას შეექმნება წარმოდგენა სამიზნე ენის საზოგადოებასა თუ კულტურაზე. ამ მეთოდით ქვეყანათმცოდნეობის სწავლების მიზანია იმ ზოგადი და სისტემური ცოდნის გადაცემა უცხო ენის შემსწავლელისათვის, რომელიც ფაქტებსა და რეალურ ინფორმაციაზეა დაფუძნებული. შინაარსობრივად ამ ასპექტის სწავლება მოიცავს პოლიტიკას, ისტორიას, კულტურას, სოციოლოგიას, გეოგრაფიას, განათლებას, ეკონომიკას. კოგნიტური მეთოდით სწავლებისას ქვეყანათმცოდნეობის ასპექტი უცხო ენის გაკვეთილის შემადგენელ ნაწილად მოიაზრება, დამოუკიდებელი საგანია და მხოლოდ სწავლის ზედა დონეზე მიეწოდება ენის შემსწავლელს. ამ მეთოდით ქვეყანათმცოდნეობის სწავლებისას ძირითად მასალას წარმოადგენს სპეციალური ტექსტები, სტატისტიკა, ქვეყნების რუკები, სხვადასხვა სახის ინფორმაცია, ბიოგრაფიები და ა.შ. ასეთი სწავლების კრიტიკის საფუძველი შემდეგ გარემოებებშია: მიწოდებული ინფორმაცია არაპრაქტიკულია, ძალიან ზოგადია და ნაკლებად არის ორიენტირებული პრაქტიკულ გამოყენებაზე. ამასთან, გერმანულენოვანი სამყარო საკმაოდ მრავალფეროვანია და გაურკვეველია, თუ რომელი გერმანულენოვანი ქვეყნის (გერმანიის, ავსტრიის თუ შვეიცარიის) „სურათის“ შექმნაში უნდა დაეხმაროს ეს ასპექტი ენის შემსწავლელს, ქვეყანათმცოდნეობის კოგნიტური მეთოდით სწავლებას საკმაოდ ამბიციური და რთულად განსახორციელებელი მიზანი აქვს დასახული.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან კომუნიკაციური მეთოდის განვითარებამ ქვეყანათმცოდნეობის ასპექტს განსხვავებული პერსპექტივა შესძინა. ქვეყანათმცოდნეობა ცალკე საგნად კი აღარ ფიგურირებს, არამედ სწავლების საწყის საფეხურზევე იგი უცხო

ენის გაკვეთილშია ინტეგრირებული. ქვეყანათმცოდნეობის სასწავლო მასალად გამოიყენება ყოველდღიური დიალოგები, საინფორმაციო ტექსტები, განცხადებები და სხვ. ამ საკითხების აქცენტირებამ ენის შემსწავლელებში მოტივაციის გაზრდა გამოიწვია, თუმცა კრიტიკა არც ამ მეთოდს ასცდა, რადგან შეუძლებელი იყო ხსენებული ასპექტი უცხო ენის გაკვეთილზე ყოველდღიურობის ყოველ ნიუანსს შეჰხებოდა და, შესაბამისად, შეუძლებელი იყო ყველა სიტუაციის გათვალისწინება და სიმულირება.

80-იანი წლების დასაწყისიდან ჩამოყალიბდა სწავლების ინტერკულტურული მეთოდი. ქვეყანათმცოდნეობის ასპექტი ახალი გამოწვევების წინაშე დადგა - უცხო და საკუთარის გაგებამ განსხვავებული პერსპექტივა შეიძინა. როგორც ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, ინტერკულტურული მეთოდის ამოსავალი წერტილია კულტურა. ენის სწავლებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამიზნე ენის მატარებლების კულტურული იდენტობა. ინტერკულტურული კომპეტენცია, რომელიც ინტერკულტურული სწავლების ძირითად მიზანს წარმოადგენს, ქვეყანათმცოდნეობისა და ენის კომპეტენციის გარდა, ქცევისა და კომუნიკაციის იმ დაუწერელი წესების ფაქტობრივ ცოდნასაც გულისხმობს, რომლებიც სამიზნე ენის კულტურაში მოქმედებს. ქვეყანათმცოდნეობის ასპექტი მჭიდროდაა დაკავშირებული უცხო ენის გაკვეთილთან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მასალაც ძალიან ცოცხალია ტექსტების, სურათების, ვიდეოების სახით, რომლებიც რეალურ ცხოვრებას ასახავს და უცხო ენის შემსწავლელს ასევე მის ნაწილად აგრძნობინებს თავს, აძლევს შედარების და დიფერენცირების საშუალებას. თუმცა მიზეზთა გამო ვერც ეს - უპირატესად მსგავსისა და განსხვავებულის შედარებაზე ორიენტირებული და ტემინოლოგიური სიზუსტით არცთუ გამორჩეული - მეთოდი გადაურჩა კრიტიკას.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანათმცოდნეობა ცალკე საგნად არ ისწავლება, ის მაინც "ერთ-ერთი ყველაზე რთული ასპექტია გერმანული ენის [ინტეგრირებული] გაკვეთილისა. მას ბოლო არ უჩანს და მისი შესწავლა არასოდეს მთავრდება" (Pauldrach 1992: 4).

ზემოთ აღწერილი იქნა ქვეყანათმცოდნეობითი სწავლების როლი ინტერკულტურული სწავლების პროცესში. ხაზგასასმელია, რომ ენობრივ-ქვეყანათმცოდნეობითი თემები აუცილებლად შინაარსისა და ენობრივი დონის გათვალისწინებით უნდა ისწავლებოდეს. უცხო ენის გრამატიკულ-ლექსიკური პროგრესია თემატურ პროგრესიას უნდა მიჰყვებოდეს, ხოლო ტექსტების უკეთ გაგებისთვის მნიშვნელოვანია ცალკეული ცნებების ინტერპრეტაცია.

ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომლის განვითარების კვალდაკვალ მისი ლექსიკა განსხვავებულ შეფერილობასა და აზრობრივ დატვირთვას იძენს. უცხო ენის გაკვეთილმა ენის შემსწავლელს უნდა გაუღვიძოს უცხო ენის გრძნობა, შეაჩვიოს იგი უცხო კონსტრუქციებსა და სტრუქტურებს.

ენის შესწავლის ძირითადი მიზანი სწორი კომუნიკაციაა. იმისათვის, რომ უცხო კულტურის წარმომადგენლებს შორის წარმატებული კომუნიკაცია შედგეს, გათვალისწინებული უნდა იქნას სოციალური ინტერაქციის სხვადასხვა ელემენტი. კომუნიკაციური კონფლიქტები ხშირად ენობრივი კომპეტენციის ნაკლებობას კი არ უკავშირდება, არამედ კულტურული თავისებურებების არასაკმარისი ცოდნითაა გაპირობებული. ასეთ დროს ხშირად თავს იჩენს სტერეოტიპების პრობლემა. ხშირად გონებაში ჩაბეჭდილი მენტალური სურათებია ის, რაც მოსაუბრეს ავტომატურად და შეუგნებლად ინტერაქციის მცდარი ფორმით წარმართვისკენ უბიძგებს. სტერეოტიპები, თავიანთი მარტივი და ნაცნობი ბუნების გამო, “განსაკუთრებული სულიერი და კომუნიკაციური ძალისხმევის მოთხოვნის გარეშე აყალიბებენ გარკვეულ განწყობებს“ (Heinemann 1998: 7).

2.7. სტერეოტიპები ინტერკულტურული კომუნიკაციის კონტექსტში

ინტერკულტურული სწავლება უცხო ენის გაკვეთილზე გულისხმობს ასევე უცხო ენის და კულტურის სტერეოტიპებისა და კლიშეების გაცნობასა და გააზრებას. ტერმინი სტერეოტიპი ორი ბერძნული სიტყვისაგან *stereos* (მყარი, მაგარი) და *typos* (ფორმა, მოდელი, სახე) შედგება და *მყარი ნიმუშის* მნიშვნელობით ის ჯერ კიდევ 1798 წელს გამოიყენა ფრანგმა გამომცემელმა დიდრომ (Roth 2005:41). ამ ტერმინით აღინიშნებოდა

ახალი მეთოდი ბეჭდვით საქმეში, რომელიც სტერეოტიპის ფირფიტებს - ერთმანეთთან მყარად დაკავშირებულ საბეჭდ ნაწილებს - იყენებდა. მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან ტერმინი *სტერეოტიპი* ტიპოგრაფიიდან სხვა მეცნიერებებმაც ისესხეს (ფსიქოლოგია, მედიცინა) „მსგავსი ფორმის, წინასწარი ნიმუშით განსაზღვრული სქემის, განმეორებითი ქცევის, შეზღუდული, სქემატური აზროვნების“ მნიშვნელობით (Deutsches Fremdsprachenwörterbuch 1978: 448).

სტერეოტიპები მრავალგზის არის აღწერილი და დახასიათებული ლიტერატურაში. ამ ტერმინით ძირითადად *წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულება, განწყობა, განაჩენი* აღინიშნება. სტერეოტიპი შეფასებისას ამბივალენტურია, სოციალურ ფსიქოლოგიაში მას სწორედ ამიტომ „არაკორექტულ გენერალიზებას“, ნეგატიურ კონოტაციას უწოდებენ (Aplort 1954, Katz/Braly 1978). მ. ლოშმანი და მ. სტროინსკა, აჯამებენ რა სხვადასხვა მკვლევართა მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმულ მოსაზრებებს, სტერეოტიპებს ახასიათებენ, როგორც

- ზოგად გენერალიზებულ კატეგორიას;
- ადამიანების ჯგუფზე მიმართულს;
- შაბლონებს, რომელთაც სტაბილური და მყარი ხასიათი აქვთ;
- ძირითადად ნეგატიური, მაგრამ ასევე ნეიტრალური და პოზიტიური ხასიათის მატარებელთ;
- კოგნიტური და ემოციური ხასიათის მქონეთ;
- არაკორექტულსა და ირაციონალურს;
- ქვეცნობიერზე ზემოქმედების მქონეს.

(Löschmann/Stroinska 1998: 14)

გერმანული უცხო ენათა ლექსიკონი ერთმანეთისგან ასხვავებს „ავტოსტერეოტიპს“ - ადამიანთა ჯგუფის შეხედულებას საკუთარ თავზე - და „ჰეტეროსტერეოტიპს“ - ადამიანთა ერთი ჯგუფის შეხედულებას ადამიანთა სხვა ჯგუფზე (Deutsches Fremdwörterbuch 1978: 448).

სტერეოტიპების მკვლევარი უტა კვასტჰოფი მათ შემდეგნაირად ახასიათებს: „სტერეოტიპი სოციალური ჯგუფის ან კონკრეტული პიროვნების შესახებ არსებული შეხედულების ვერბალური გამოხატულებაა. მას განაჩენის ლოგიკური ფორმა აქვს, რომელიც გამარტივებულად და გენერალიზებული სახით ტენდენციურად აფასებს ადამიანთა ჯგუფის თვისებებს ან ქცევას (Quasthoff 1989: 39).

ტერმინ სტერეოტიპის გავრცელებას და სოციალურ მეცნიერებაში მის დამკვიდრებას ხელი შეუწყო 1922 წელს ამერიკელი ჟურნალისტის, უოლტერ ლიპმანის, მიერ გამოქვეყნებულმა შრომამ „საჯარო აზრი“ (Public Opinion). უ. ლიპმანი ახასიათებს სტერეოტიპს, როგორც ყველაზე მყარ ფენომენს, რომელიც არანაირ კრიტიკას და აღზრდას არ ექვემდებარება (Lippmann 2017: 74).

ლიპმანისეული სტერეოტიპები ის კონცეპტებია, რომელთა მეშვეობითაც აღიქვამს ადამიანი სამყაროს. ადამიანები სტერეოტიპების დახმარებით ცხოვრების ყველა სფეროს შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ, ესაა ე. წ. „ცოდნა ყოველდღიურობის შესახებ“ (Wenzel 1978:21). სტერეოტიპები შესაბამის გავლენას ახდენენ ადამიანთა შეხედულებებსა და აზროვნებაზე.

უ. ლიპმანის ყველაზე დიდი დამსახურება ისაა, რომ მან თავისი არასამეცნიერო ხასიათის ნაშრომით სტერეოტიპის ცნება სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა.

ყოველი ეროვნების ცნობიერებაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ეთნიკურ სტერეოტიპებს. ისინი ერთგვარ ბარომეტრს წარმოადგენენ ხალხებს შორის ემოციებისა და ურთიერთობების გასაზომად. სტერეოტიპი ძალიან ცვალებადია და ხშირად დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სიტუაციაზე, რომელიც საზოგადოებაში არსებობს. ამიტომ ის შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც პოლიტიკური პროპაგანდის, ასევე თავდაცვის ელემენტად. მენტალურ სტერეოტიპებს თავიანთი გამოხატულება აქვთ ენაში და მათ ხშირად კულტურულ სტერეოტიპებს უწოდებენ. უცხო ენის შემსწავლელმა უნდა მოახერხოს კულტურული სტერეოტიპების ქვეტექსტების შეფასება და გააზრება, ამისათვის კი შესაბამისი შემზადებაა საჭირო, რომელიც უცხო ენის გაკვეთილის პრეროგატივად რჩება.

მაგალითისთვის გამოდგება გერმანელებისა და ქართველების კულტურული სტერეოტიპების შედარება. თუ გავითვალისწინებთ მათ განსხვავებულ გეოგრაფიულ, ისტორიულ, ენობრივ თუ კულტურულ გარემოს, არ უნდა იყოს გასაკვირი ის განსხვავებანი, რომლებიც თვალში საცემია. განსხვავებანი არავერბალურ ურთიერთობაშიც - მაგალითად, მისალმების ფორმებშიც - შეინიშნება. საქართველოში მიღებულია მისალმებისას ნაცნობის - როგორც ქალის, ასევე მამაკაცის - ერთხელ გადაკოცნა. ამით გამოიხატება ახლობლობა ორ ადამიანს შორის (თუ მისალმებისას ერთმანეთს არ კოცნიან, ეს ფორმალურ ურთიერთობაზე, გარკვეულ დისტანციაზე მიანიშნებს), გერმანიაში კი ახლო ნაცნობები მისალმებისას ერთმანეთს ეხვევიან (ორჯერ!), ოღონდ, ამასთანავე, ლოყაზე არ კოცნიან, მხოლოდ ეხებიან.

ასევე განსხვავებულია სხეულით კონტაქტის ფორმებიც. საქართველოში საკმაოდ მიღებულია მხარზე ხელის მოთათუნება, ხელის მოხვევა, ხელკავის გაკეთება. ეს მხოლოდ ახლობლობის გამოხატულებაა და არ გულისხმობს სხვა ქვეტექსტს. გერმანიაში კი ასეთი ქმედება უმეტესად სექსუალური სიახლოვის არსებობის დამადასტურებელ ჟესტად აღიქმება.

ასევე განსხვავებულია მიმართვის ფორმები. საქართველოში ფორმალური მიმართვის ფორმაა ქალბატონო/ბატონო და *სახელი* (ქალბატონო ნინო/ბატონო რამაზ), გერმანიაში კი - ქალბატონო/ბატონო (Frau/Herr) და *გვარი* (Frau Meier/Herr Schulz). საქართველოში პირდაპირი მიმართვისას გვარი ხშირად არ იხმარება და ის მხოლოდ ოფიციალურ სიტუაციაში გამოიყენება.

ასევე გასათვალისწინებელია მისალმების ვერბალური ფორმები. ქართულში მისალმებისას ფიგურირებს სიტყვა *მშვიდობა*: *დილა მშვიდობისა, დღე მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა*. რადგან საქართველოს საუკუნეების განმავლობაში თავდაცვით საომარ ვითარებაში ყოფნა უწყვედა, *მშვიდობა* მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ცნებად იქცა, რაც აისახა კიდევ ენაში.

გერმანიაში სხვადასხვა რეგიონში მისალმების განსხვავებულ ფორმებს ვხვდებით. სამხრეთ გერმანიაში/ბავარიაში (სადაც ეკლესია კათოლიკურია და არა ევანგელიური)

ჩვეულებრივია მისალმება *Grüß Gott*, რომელიც, თავის მხრივ, შემოკლებული ფორმაა მისალმებისა *Grüße dich Gott* (ღმერთმა დაგლოცოს, ღმერთი შეგეწიოს). იმ რეგიონებში კი, რომლებშიც ეკლესია უპირატესად ევანგელიურია - ან უკეთ: კათოლიკურ ეკლესიას არ აქვს აბსოლუტური უპირატესობა - გავრცელებულია მისალმება *Guten Morgen, guten Tag, guten Abend, gute Nacht* (კეთილი დილა, დღე, საღამო, ღამე).

ნათელია, რომ სპეციფიკური კულტურული ასპექტების გათვალისწინება უცხო ენის შესწავლისას აუცილებელი წინაპირობაა წარმატებული ინტერკულტურული დიალოგისათვის.

2.8. დიდაქტიკური მიდგომა სტერეოტიპებისადმი უცხო ენის გაკვეთილზე

ინტერკულტურული მეთოდით სწავლებისას უცხო ენის გაკვეთილზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვანია სტერეოტიპების გათვალისწინებაც. სტერეოტიპების გააზრებამ, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს საკუთარისა და უცხოს კრიტიკულ რეფლექსიას და უარყოფითი, მოძველებული, დრომოჭმული სტერეოტიპის აღმოფხვრას, მეორე მხრივ კი, ხელი უნდა შეუშალოს ახალი უარყოფითი სტერეოტიპის ჩამოყალიბებას.

დ. კატცი და კ. უ. ბრელი (Katz/Braly 1933) იყვნენ პირველები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს სტერეოტიპების ემპირიულ კვლევას. ემპირიული კვლევით მიღებული დასკვნების საფუძველზე დაისახა უცხო ენის გაკვეთილის ეფექტიანი ტაქტიკის დაგეგმვისა და აქცენტების სწორად დასმის პერსპექტივა. ამავე საფუძველზე ხდება სტრატეგიების შემუშავება, თუ როგორ უნდა გადაილახოს სტერეოტიპული ბარიერი ენის შემსწავლელებთან. ერთ-ერთი მიდგომა მხარს უჭერს სამიზნე ენის ქვეყანაში მოგზაურობას სტერეოტიპების გასანეიტრალებლად. ეს შეიძლება სწორიც იყოს, თუმცა შეიძლება პირიქითაც მოხდეს და მოგზაურობამ ახალი სტერეოტიპების ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი. მხოლოდ მოგზაურობა არაა სტერეოტიპებთან ბრძოლის ჯადოსნური საშუალება. ასეთი სახის გამოცდილების მიღებას შესაძლებელია მოჰყვეს წინასწარი შეხედულების ნაწილობრივ შეცვლა და სტერეოტიპების რაოდენობის შემცირება. მ. არენდ-ჰერლინის აზრით კი, უცხო კულტურასთან ინტენსიური კონტაქტი

სიტუაციას კი არ აღმოგონებებს, არამედ აუარესებს, რადგან ამჟამინდურ სტერეოტიპების სურვილს (Arendt-Herlin 2001:43).

უცხო ენის გაკვეთილმა შეიძლება საკუთარი იდენტობის უკეთ შეცნობას შეუწყოს ხელი. დიტჰელმ კნაუფისთვის ინტერკულტურული კომპეტენცია არა მარტო უცხო კულტურაში ორიენტირებას, არამედ საკუთარისადმი დისტანცირებას, საკუთარის გააზრებას გულისხმობს (Knauf 1996: 44). იგი ხაზს უსვამს, რომ საკუთარი კულტურაც არაპემოგენურია, ისიც შეიცავს უცხოობის ელემენტებს. მის მსგავსად, მაინერტ მაიერიც საუბრობს, უცხოს გაცნობისას საკუთარი კულტურული წარმოშობისადმი იდენტობის შენარჩუნებაზე“ (Meyer 1992:16). ინტერკულტურულ უცხო ენის გაკვეთილზე ხდება ცოდნის მიღება და გაღრმავება, საკუთარი იდენტობის სიღრმისეულად შეცნობა და ახალი პერსპექტივის ჩამოყალიბება.

პ. დოიეს მიხედვით, ინტერკულტურულ უცხო ენის გაკვეთილზე სოლიდარობის, თანასწორობის, კრიტიკულობისა და ტოლერანტულობის შემუშავება უნდა ხდებოდეს (Doyè 1991: 12).

ინტერკულტურული კომპეტენციის კონცეპტს უცხო ენის გაკვეთილზე დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სტერეოტიპების შესწავლისა და გაგების მიმართულებით. იგი უნდა შევაფასოთ, როგორც უცხოს აღქმისა და სტერეოტიპებთან ურთიერთობის მოსამზადებელი მეთოდი. ამგვარად, ინტერკულტურული კომპეტენციის სასწავლო მიზნები შიდა და გარე პერსპექტივების კომპლექსურ ცვლილებას ითვალისწინებს და ასეთ შინაარსს იძენს:


- საკუთარი კულტურული იდენტობის ცოდნა;
- „ჰეტეროსტერეოტიპების“ ცოდნა;
- კონვენციონალური სტერეოტიპების ცოდნა, რომელიც სხვა კულტურის აღქმაში დაგვეხმარება;
- იმ კონვენციონალური სტერეოტიპების ცოდნა, რომლებიც საკუთარი ქვეყნის სახეს განსაზღვრავენ უცხო ქვეყანაში;
- საკუთარი და უცხო ქვეყნების ჰეტეროგენული სისტემის ცოდნა;

- სხვა კულტურის სტანდარტების არაპირდაპირი გადმოტანა;
- საკუთარ კულტურაში შექმნილი კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება;
- კულტურული ბარიერების შეგნებულად და კომპეტენტურად გადალახვის უნარი;
- გაკვეთილზე კონფლიქტური სიტუაციების ან მისი ელემენტების სიმულირება,

საკითხის უკეთ გარკვევის მიზნით.

(Volkmann et al. 2002: 23)

ინტერკულტურული კომუნიკაცია კომპლექსური ტერმინია, რომელიც შემდეგ ფაქტორებს ითვალისწინებს:



(Volkmann et al. 2002: 28)

თითოეულ ზემოთ დასახელებულ თემას (ურთიერთობები, რიტუალები, სამყაროს აღქმა და ა.შ.) სხვადასხვა კულტურაში განსხვავებული გამოხატულება აქვს. ინტერკულტურული კომპეტენციის კონცეპტი იმაში მდგომარეობს, რომ უცხო კულტურის წარმომადგენლები ამ ცვლილებებისთვის მოამზადდეს, განსხვავებების

მიუხედავად, ტაქტიკა და მოთმინებით განაწყოს ისინი უცხო სადმი, შექმნას უპრობლემო კომუნიკაციის შესაძლებლობა.

ლ. ბრედელას, გისენის სკოლის წარმოდგენელს, მიაჩნია, რომ შიდა პერსპექტივის შექმნა აუცილებელია, რათა უცხო ენა შევისწავლოთ, გაუგებრობები ამოვიცნოთ და მოვახერხოთ მათი თავიდან აცილება (Bredella 1999: 114). გარე პერსპექტივით, რომელიც შიდას თავისთავად გულისხმობს, ტოლერანტობის, კრიტიკულობის, მეტაკომუნიკაციის გამომუშავება ხდება. ესაა ის აღმზრდელობითი მიზანი, რომელიც ინტერკულტურულ უცხო ენის გაკვეთილს აქვს. მკვლევარს მიაჩნია, რომ ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილი შემსწავლელს გამოუმუშავებს ინტერკულტურული მოქმედების უნარს. ეს ის უნარია, რომლითაც ენის შემსწავლელი - საკუთარი იდენტობის გათვალისწინებით - უცხო სთან იდენტიფიცირებას და დისტანცირებას ახერხებს.

სტერეოტიპებისადმი მიდგომას უცხო ენის გაკვეთილზე მრავალი შრომა მიეძღვნა, რომლებშიც განსხვავებული თვალთახედვებია წარმოდგენილი. მ. ლოშმანის მიხედვით, რაც უნდა განსხვავებული იყოს მიდგომები, ძირითადი მეთოდი მაინც სტერეოტიპების გამოყენებისადმი შემსწავლელთა სენსიბილიზება, ე.წ. აზროვნების გამოფხიზლება და უცხოს აღქმისადმი სენსიტიურობის გაძლიერებაა. აუცილებლად უნდა მოხდეს როგორც ავტოსტერეოტიპების, ისე ჰეტეროსტერეოტიპების გააზრება, მათთან ასოცირებული წარმოდგენებისა და გრძნობების კრიტიკულად და თვითკრიტიკულად რეფლექსირება და ცოდნად ჩამოყალიბება (Löschmann et al. 1998: 26).

სტერეოტიპების ანალიზი, რომელიც დიდაქტიკურ-მეთოდურ პროცესს განსაზღვრავს, მიმართულია მათი ფუნქციებისა და მოტივაციისაკენ. უნდა მოიძებნოს გზები სტერეოტიპების ქმედითად განხილვისა, რადგან ინტერკულტურული სწავლება კოგნიტურ, აფექტურ და ქცევის დონეზე ხორციელდება.

შესაძლებელია მრავალი სახის დავალების შეთავაზება უცხო ენის გაკვეთილზე სტერეოტიპებთან მიმართებაში:

- ასოციაციური თამაშები (მაგალითად, *პირველად რა გახსენდებათ გერმანიის ხსენებისას?*) ასოციოგრამის სახით. ასეთი სახის სავარჯიშოები იმდენადაა სასურველი,

რამდენადაც ისინი პიროვნებების, საგნებისა და ცნებების შესახებ წარმოდგენებს ამჟღავნებს და შესაძლებელია მათით „მანიპულირება“;

- ნაცნობების, ოჯახის წევრების გამოცდილებების გაზიარება სამიზნე ენის ქვეყნის შესახებ და მისი განხილვა უცხო ენის გაკვეთილზე;

- ჯგუფური პროექტის განხორციელება სამიზნე ენის ქვეყნის შესახებ, მისი განხილვა და შეფასება;

- ლიტერატურული ტექსტების/საგაზეთო სტატიების/ლექსების შეტანა გაკვეთილზე, რომელთა მეშვეობით შეიძლება იმპლიციტური სტერეოტიპების მოძიება, მათი გააზრება, აღქმა და მათთვის ფუნქციური მნიშვნელობის მინიჭება. ლიტერატურული ტექსტები დისკუსიის საუკეთესო საშუალებაა, რომელთა განხილვის დროსაც შეიძლება სტერეოტიპული შეხედულებების განხილვა და გაანალიზება (Löschmann et al. 1998: 31). გაკვეთილზე შესაძლებელია განხილულ იქნას სხვადასხვა ლიტერატურული ტექსტი, რომელშიც მოცემულია რომელიმე ეროვნების ცალკეული წარმომადგენლებისა და ადამიანთა ჯგუფის სტერეოტიპული სახეები. მათი წაკითხვის შემდეგ ენის შემსწავლელს უყალიბდება ასოციაციები, წარმოდგენები. ეს კი საუკეთესო საშუალებაა განსჯისა და გააზრებისთვის. თავისთავად ლიტერატურული ტექსტები ესთეტიური სამყაროს ნაწილია და არ შეიძლება მათი რეალურ სამყაროსთან სრულად გაიგივება. ასეთი ტექსტები კარგი სტიმულია გაგებისა და აღქმისათვის, მგრძნობელობის გასამძაფრებლად. მათ მკითხველი იყენებს თავისი შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად, პერსპექტივის შესაქმნელად.

მიუხედავად იმისა, რომ სტერეოტიპების კვლევა და ინტერკულტურული კომუნიკაცია ხანგრძლივი დისკუსიის საგნებია, ამ მიმართულებით სამეცნიერო ლიტერატურა მაინც საკმაოდ მწირი და არათანმიმდევრულია (Löschmann 2001: 149). ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: სტერეოტიპები საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ ემოციური შეფერილობის სურათებია. ისინი ითვლებიან სამყაროს აღქმის ერთგვარ ორიენტირად და ინსტრუმენტად, რომლის გარეშეც ურთიერთობა გარე სამყაროსთან წარმოუდგენელი

იქნებოდა. მათი სწორი და მართებული აღქმა მოითხოვს იმ კულტურული ფასეულობების ცოდნას, რომლებსაც შესაბამისი ენა თავის თავში ატარებს. ამ შემთხვევაში გამოწვევის წინაშე დგება უცხო ენის შესწავლის დიდაქტიკა, რომელიც ინტერკულტურულ კომპეტენციაზე დაყრდნობით ცდილობს შეიმუშაოს სტერეოტიპების სწორი მიწოდების პრინციპები. რადგან ეს სფერო არასაკმარისადაა შესწავლილი, იგი სიღრმისეულ კვლევას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას მოითხოვს.

2.9. ინტერკულტურული მეთოდის მიხედვით შექმნილი გერმანულის სახელმძღვანელოები

80-იანი წლებიდან იქმნებოდა ინტერკულტურულ მეთოდზე აგებული გერმანულის, როგორც უცხო ენის, სახელმძღვანელოები. ერთ-ერთი მათგანია სახელმძღვანელო „*Sprachbrücke*“, რომლის ავტორები ითვალისწინებდნენ შემსწავლელის ამოსავალ ენას და კულტურას და გერმანულის, როგორც უცხო ენის, პერსპექტივას. ინტერკულტურული მეთოდის მიხედვით შექმნილი სახელმძღვანელო A1 და B1 დონეებისთვის *Sprachbrücke*, რომელიც აღწერს გერმანული ოჯახის მგზავრობას ფიქტიურ ქვეყანა „*Lilaland*“-ში, ენის შემსწავლელს საშუალებას აძლევს იმოგზაუროს კლინგერების ოჯახთან ერთად, სხვადასხვა კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით გაიცნოს (შეიცნოს) უცხო ქვეყანა და გარემო, დააკვირდეს საკუთარ გრძნობებს და მოახდინოს რეაგირება უცხო სოციო-კულტურულ გარემოზე. სახელმძღვანელო გამოირჩევა კულტურულ-კონტრასტული მიდგომით. იგი შეიცავს ისეთ ინტერკულტურულ თემებს, როგორებიცაა: სტერეოტიპები, ორი კულტურის თავისებურებანი, მრავალენიანობა, სამშობლო და უცხოეთი, საკუთარის და უცხოს აღქმა, მულტიკულტურული საზოგადოება. სამიზნე ენის კულტურული ღირებულებების, ფაქტების, ქცევების დანახვა უცხოს პერსპექტივიდან ხდება. გერმანულებს შორის წარმოებული დიალოგები გამოგონილი ქვეყნის „ლილალანდის“ მცხოვრებლების მიერ არის კომენტირებული. ასეთი აბსტრაქტული სახით, პოლარიზების, მესამე

პერსპექტივიდან დანახული მიდგომით ხდება სახელმძღვანელოში გერმანელების ქცევისა და ღირებულებების აღქმა და შეფასება.

ინტერკულტურული კომუნიკაციისას არავერბალურ კომუნიკაციას ასევე გადამწყვეტი როლი ენიჭება. სწორედ უცხო ენის გაკვეთილზე ხდება ამ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება და შესაბამის ვერბალურ გამოთქმებთან ერთად კულტურული ღირებულების მატარებელი ქცევის წესების ახსნაც (მაგალითად, მისალმება-დამშვიდობება სხვადასხვა ქვეყანაში).

„*Typisch Deutsch*“ არის სახელმძღვანელო, რომელიც ინტერკულტურული კომპეტენციის შეძენის მიზანს ემსახურება. იგი შედგენილია ამერიკელი გერმანული ენის შემსწავლელისთვის და ინტერკულტურული მიმართულებით გაკეთებულ შესაბამის აქცენტებსაც შეიცავს. ეს სახელმძღვანელო ინტეგრაციული ქვეყანათმცოდნეობის ტიუბინგენური მოდელის (Mog, Althaus 1992) მიხედვითაა შექმნილი. ეს მოდელი ითვალისწინებდა გერმანული მენტალიტეტის ძირითადი ნიმუშის შესწავლას. შესაბამისად, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი იქნა გერმანულ-ამერიკული კულტურულ-კონტრასტული თემები: გერმანულ-ამერიკული აღქმა და კომუნიკაცია, გერმანული ენა ამერიკაში, მენტალიტეტი, ამერიკა გერმანული ხედვით და ა.შ.

ენის შესწავლის მაღალ საფეხურზე მყოფი ჩრდილოამერიკელი გერმანული ენის შემსწავლელთათვის შეიქმნა სახელმძღვანელო *Für- und Widersprüche*, რომელიც კომენტირებული სასწავლო და სამუშაო წიგნებისაგან შედგება. ეს სახელმძღვანელო შეიცავს საკმაოდ ბევრ ავთენტურ ტექსტს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება გერმანულენოვანი ქვეყნების - გერმანიის, შვეიცარიისა და ავსტრიის - შესახებ. სახელმძღვანელოს მიზანია განავითაროს ენის შემსწავლელის კომუნიკაციური, ინტერკულტურული და კრიტიკული კომპეტენცია. ამისათვის ტექსტები შეიცავს ვრცელ კომენტარებსა და მითითებებს. სახელმძღვანელო გამოირჩევა თემათა მრავალფეროვნებით, თუმცა მასწავლებელს აქვს გაკვეთილის დაგეგმვისა და წარმართვის თავისუფლება. მას შეუძლია გამოტოვოს ზოგიერთი თემა ან ზოგიერთი წინ

წამოწიოს და მასზე გაამახვილოს ყურადღება ინტერკულტურული სწავლების მიზნის მისაღწევად.

1996 წელს პოლონელი გერმანული ენის შემსწავლელთათვის შეიქმნა ინტერკულტურულ მეთოდზე დაფუძნებული სახელმძღვანელო „*Spielarten*“, რომელსაც მსგავი კონცეპტი უდევს საფუძვლად. ფინელი შემსწავლელისთვის იმავე კონცეპტით შეიქმნა სახელმძღვანელოები „*Kurz und gut!*“, „*Neue Adresse*“ და „*Gute Idee!*“. ამ სახელმძღვანელოების მეშვეობით შემსწავლელი ეცნობოდა უცხო ქვეყნის ყოველდღიურობას და ითვისებდა ახალ რეალობას. შვედი შემსწავლელისთვის კი შეიქმნა სახელმძღვანელოები „*Einfach weiter*“, „*Noch weiter*“, „*Lust auf Deutsch*“ და „*Deutsch Optimal*“, რომლებიც უფრო მეტად იყო დატვირთული ტექსტებით და ყოველდღიურობიდან აღებული სიტუაციური დიალოგებით, რომელთა მიზანიც იყო ეჩვენებინა ენის შემსწავლელისთვის, თუ როგორ იქცევიან გერმანელები ასეთ სიტუაციაში, დაენახვებინა მისთვის ახლებური პერსპექტივა და მიდგომა.

მარტინ ჰოგის, სასკია ბახმანის და ბერნდ-დიტრიხ მიულერის სახელმძღვანელო „*Sichtwechsel*“ ენის სწავლების უფრო მაღალი საფეხურისთვისაა შექმნილი. იგი ინტერკულტურულ მეთოდზე დაყრდნობითაა აგებული და კულტურათშორისი დიალოგის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა. სახელმძღვანელო ახერხებს ენის შემსწავლელის უცხო ენისადმი მგრძნობელობის გააქტიურებას. სახელმძღვანელოში განხილულია საინტერესო თემები და მოცემულია აღქმის როგორც პიროვნული, ასევე ჯგუფური კულტურულ-სპეციფიური გამოცდილება, ასევე შედარება და შეფასება, ენობრივი ინდიკატორები, ენის საშუალებით მანიპულაცია და სხვ. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სავარჯიშოები აღქმის პროცესზეა დაფუძნებული და ენის შემსწავლელს განსხვავებულ პერსპექტივას უხსნის.

ინტერკულტურული მეთოდის მიხედვითაა შექმნილი სახელმძღვანელოები „*Passwort*“, „*Studio Deutsch*“, „*Lagune*“, „*em*“. თემატიკა და მასალა იძლევა საშუალებას ენის შემსწავლელს გერმანული ენის კომპეტენციასთან ერთად ინტერკულტურული ხედვა და მიდგომა გაუღვივოს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულენოვანი შემსწავლელისთვის ჯერ

არ არის შექმნილი ინტერკულტურულ მეთოდზე დაფუძნებული სახელმძღვანელო, გერმანულის მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, რომ არსებული სახელმძღვანელოებიდან შეარჩიონ თემები, რომელებიც ინტერკულტურული კომპეტენციის შეძენას შეუწყობს ხელს.

2.10. გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლება ქართულ უმაღლეს სკოლაში

ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რა ვითარებაა საქართველოში ამჟამად გერმანული ენის სწავლების თვალსაზრისით, რომელ მეთოდზე ხდება ორიენტაციის აღება, რამდენად იყენებს ქართული გერმანიისტიკის სკოლა არსებულ შესაძლებლობებს და რა სურათი იკვეთება სამომავლოდ.

აღნიშვნის ღირსია, ერთი მხრივ, ის სასიამოვნო გარემოება, რომ ქართულ გერმანიისტიკას გრამატიკის სწავლებისას არ ჰქონია ჩავარდნა გერმანიაში არსებულ მეთოდთა საქართველოში გადმოტანისა და პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით. ამას ჩვენში დასტამბული სოლიდური გრამატიკული ლიტერატურაც მოწმობს: თამილა სესიაშვილისა და ბელა სესიაშვილის *გერმანული ენის სახელმძღვანელოს* გრამატიკული ნაწილი აგებულია გრამატიკულ-მთარგმნელობით და კონსტრუქციულ მეთოდებზე (Sessiaschwili/Sessiaschwili 2003); მზია გვენცაძის *გერმანული ენის სასწავლო გრამატიკა* შემუშავებულია კომუნიკაციაზე ორიენტირებულ მეთოდზე დაყრდნობით (გვენცაძე 2004); მარინა ანდრაზაშვილის *გერმანული ენის აკადემიური გრამატიკის ოთხტომეული* დაფუძნებულია კონტრასტული ლინგვისტიკის პრინციპებზე (ანდრაზაშვილი 2008), რომელიც იმავდროულად აკანონებს კიდევაც გერმანულენოვანი ლინგვისტური ტერმინების ქართულ ეკვივალენტებს, ავლებს პარალელებს ანალოგიური რანგის ქართულ ენობრივ ფენომენტთან, გვაწვდის მდიდარ მხარეთმცოდნეობით-კულტურულ ინფორმაციას გერმანულ საილუსტრაციო მასალაში და გერმანული ფენომენის ქართულ შესატყვისებს ნიმუშთა პწკარედულ თარგმანში გერმანული ლექსიკის სიტუაციურ-კულტურული ფონის გათვალისწინებით.

მეორე მხრივ, დასაინანია, რომ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ანალოგიური სახელმძღვანელოების შექმნა ვერც ლექსიკაში და ვერც ქვეყანათმცოდნეობაში - სახელმძღვანელოებისა, რომლებიც დაეყრდნობოდნენ ინტერკულტურულ პრინციპებს, გაითვალისწინებდნენ ქართველ ენის შემსწავლელთა მენტალობას, მათ სააზროვნო წყობას და, რაც მთავარია, იმავდროულად დაიცავდნენ მასალის მიწოდებისას სირთულის პროგრესირების პრინციპს ზოგადევროპული ჩარჩოს შესაბამისად A1, A2, B1, B2 დონეებზე. სიტუაციას გარკვეულწილად აბალანსებს ის, რომ სასწავლო პროცესში (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში) უხვად არის ჩართული ორიგინალური გერმანული სახელმძღვანელოები უცხოელებისთვის (Lehrbücher für DaF); არსებობს საცნობარო ხასიათის დამატებითი სახელმძღვანელო, შედგენილი თამილა და ბელა სესიაშვილების მიერ, რომელშიც გერმანული რეალობის ამსახველი ტექსტები თემატურ პრინციპზე დაყრდნობით არის მოწოდებული (Sessiaschwili/Sessiaschwili 2003); პედაგოგთა უმრავლესობა სისტემატურად იმაღლებს კვალიფიკაციას გერმანულენოვან ქვეყნებში და ეცნობა ინტერკულტურულ მეთოდს, ცდილობს მის პრაქტიკაში რეალიზებას: გაკვეთილს ამდიდრებს ავთენტური მასალით, ამონარიდებით მხატვრული ლიტერატურიდან, პრესიდან და სხვა ტიპის ტექსტებიდან, შეძლებისდაგვარად იყენებს აუდიო-ვიზუალურ და ინტერნეტის მასალას; ჩვენს სინამდვილეში აქტიურად დაინერგა ასევე სტუდენტების გაგზავნა გერმანიაში ენობრივ ცოდნასთან ერთად ინტერკულტურული კომპეტენციის შესაძენად და ინტერნაციონალურ პროექტებში თანამშრომლობის ჩვევის გამოსამუშავებლად.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენში:

1. ჯერ არ არის შექმნილი სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ინტერნეტ-სწავლებისა და ჯგუფური ინტერნეტ-პროექტების განხორციელებისთვის;
2. კურიკულუმი არ სთავაზობს სტუდენტს ინტერკულტურული მეთოდით ნავარაუდევ აუცილებელ დისციპლინებს: საშინაო კითხვას, თემატურ საუბარს, ქვეყანათმცოდნეობას (რომელიც წლების წინ სასწავლო ბადეში ტრადიციულად ფიგურირებდა) და მხოლოდ ლექსიკითა და გრამატიკით იფარგლება;

3. საგრძნობლად შემცირებული საათების რაოდენობა – სტუდენტი-გერმანისტებისთვის კვირაში 8/6 სთ. x 6 სემესტრზე, არასპეციალური ფაკულტეტებისთვის კი კვირაში 4 სთ. x 4 სემესტრზე – ნამდვილად არ არის იმის წინაპირობა, რომ პედაგოგმა ინტერკულტურული მეთოდით ნავარაუდევნი შრომატევადი და დროის ხანგრძლივ მონაკვეთზე გათვლილი სამუშაო მოასწროს და სასურველ შედეგამდე მივიდეს, მით უმეტეს, რომ უნივერსიტეტში სწავლის დაწყების მომენტში სტუდენტთა ერთ ნაწილს ენობრივი ცოდნა ხშირად (გარემოებათა გამო) სრულებით არ გააჩნია;

4. საქართველოში შეინიშნება მეთოდისტთა და ლინგვოდიდაქტიკოსთა აშკარა სიმცირე და, შესაბამისად, ამ სფეროში ჩასატარებელი სოლიდური კვლევის - გლობალური, მიმართულების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული ნაშრომების - ნაკლებობა.

სწავლების ინტერკულტურული მეთოდი, როგორც მრავალპლანიანი ფენომენი, გერმანულ მკვლევართა მიერ ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი, არ არის დეტალურად შემუშავებული მისი ტექნოლოგიები; ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მისი ეფექტურობაც კი არაა ჯერ ცალსახად დადასტურებული. კლაუს გნუტცმანი აღნიშნავს, რომ კომუნიკაციური და ქცევითი კომპეტენცია მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ინტერკულტურული სწავლებისას, ხოლო ენობრივ განზომილებას აღარ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა (Gnutzmann 1994: 68). თუმცა, მეორე მხრივ, მისი დადებითი შედეგებიც აშკარაა. გერმანიაში წარმოებულმა კვლევებმა გამოავლინა (Bredella/Delanoy 1999), რომ ენის შემსწავლელნი ამ მეთოდის წყალობით არა მარტო გაცნობიერებულად იყალიბებენ მიზნობრივი ენის კომპეტენციას, არამედ ისინი, როგორც პიროვნებები, საკუთარი ღირებულებებით შეგნებულად უდგებიან ახალ კულტურას და იმეცნებენ მას.

III. თავი - ირეალისი და მისი გამოხატვა გერმანულ და ქართულ ენებში

3.1. ირეალისის ცნება ლინგვოდიდაქტიკოსთა ნაშრომებში

ირეალისი, როგორც გრამატიკული კატეგორია, გამოხატავს არარეალურს, წარმოსახვითს, ჰიპოთეტურს, პირობითს. ირეალისი კავშირებითი კილოს კონიუნქტივ

მათთან წინასწარ იყო შეთანხმებული კითხვარის შევსების ინსტრუქცია. ასევე ახსნილი იყო, რომ მათი ანონიმურობა დაცული იქნებოდა კვლევის შედეგების წარმოდგენისას. კვლევის პროცესში შეირჩენ სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გერმანული ენის პედაგოგები, რომელთაც უმაღლეს სკოლაში გერმანული ენის სწავლების არანაკლებ 5 წლის გამოცდილება აქვთ. ისინი ასწავლიან

გერმანულს, როგორც უცხო ენას (სპეციალისტებისთვის ან არასპეციალისტებისთვის), სწავლების სხვადასხვა საფეხურზე (A1 -B2).

კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი უმაღლესი სკოლების წარმომადგენლები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კვლევის პროცესში ყურადღება ნაკლებად გამახვილდა რაოდენობაზე, გამოიყო უმთავრესი კრიტიკული საკითხი: როგორ ხდება უცხო ენის გრამატიკული სტრუქტურის ადეკვატური ათვისება ენის შემსწავლელის მიერ, რომლის მშობლიურ ენას მსგავსი გრამატიკული სტრუქტურა არ გააჩნია.

I კითხვას - "თქვენი სამუშაო გამოცდილება (რამდენი წელია ასწავლით გერმანულს, რომელ უმაღლეს სასწავლებელში და რომელ საფეხურზე?)" - მასწავლებლებმა განსხვავებული პასუხები გასცეს, მათი სამუშაო გამოცდილება მოიცავდა დროს 8-დან 27 წლამდე, ისინი მუშაობდნენ სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების სხვადასხვა საფეხურზე.

II კითხვაზე - "რა მეთოდით და რა მასალით ასწავლით (რომელ ასაკობრივ ჯგუფს) ირეალისის გამოხატვის ფორმას - კონიუნქტივ II-ს - გერმანულის გაკვეთილზე?" - გაცემული პასუხების შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობის საქმიანობაში ჭარბობს კომუნიკაციური მეთოდით სწავლების ფორმები (ასე, მაგალითად: „ვცდილობ ყველა გაკვეთილი დამყარებული იყოს კონსტრუქციოლობაზე და კომუნიკატიურ მეთოდზე (kommunikative Methode).“), ნაწილი კი კონკრეტულად არ ასახელებს რომელიმე მეთოდს.

სხვა რესპოდენტი აღნიშნავს, რომ „გერმანული ენის, როგორც უცხოური ენის, სწავლებისას სტუდენტებთან ძირითადად ვიყენებ კომუნიკაციურ-ინტერაქციულ მეთოდს და სხვადასხვა სახელმძღვანელოს. მაგალითად მოვიყვანდი "Studio D"-ს,

რომელშიც A2.1 დონეზე გვხვდება ირეალისის ელემენტები, ზედაპირულად, მექანიკურად დასასწავლი ფრაზებით. მათი განმტკიცება ხდება წესის ახსნით და რადგან „პრეტერიტუმი“ უკვე იციან, ვუიოლებ (საქმეს) მხოლოდ უმლაუტის დართვით. თუმცა მაინც უჭირთ და განმტკიცება ხდება სიტუაციური მაგალითებით. ძირითადად კი ირეალისი შემოდის B1.1 დონეზე."

III კითხვაზე - "რა გადავილდებათ/გიძნელდებათ კონიუნქტივ II-ის, როგორც ირეალისის გამომხატველის, ახნისას/სწავლებისას?" - მასწავლებლები შემდეგ პასუხებს იძლევიან:

„გრამატიკის მხოლოდ თეორიულად ახსნისას შემსწავლელებს ურთულდებათ გაგება. მაგალითების, სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოების გამოყენების შემთხვევაში შედარებით უიოლდებათ და შემდეგ ხდება მათი განმტკიცება".

"ქართული შესატყვისი ხშირად არ გამოხატავს იდენტურ ეკვივალენტს".

ეს ნიშნავს, რომ გერმანულ სტრუქტურას ზუსტი ეკვივალენტი არ მოეპოვება ქართულში და პირიქით.

უცხო ენის პედაგოგები ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებენ ირეალისის გამომხატველი კონიუნქტივ II-ის მხოლოდ გრამატიკულ მასალაზე დაყრდნობით შესწავლას, როცა სიტუაციური მომენტები არ ჩანს. ასევე ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებენ დროის მოკლე მონაკვეთს, რომელიც განკუთვნილია უცხო ენის გაკვეთილზე ამ თემის გასავლელად.

IV კითხვაზე - "თქვენი დაკვირვებით რა უადვილდებათ ან უძნელდებათ გერმანულის შემსწავლელებს (რაში გამოიხატება სირთულე) ამ გრამატიკული ფენომენის შესწავლისას?" - მასწავლებლები ასეთ პასუხებს იძლევიან:

„უძნელდებათ თეორიული ნაწილის გაგება და შედარებით უიოლდებათ წერილობით სავარჯიშოებში მათი გამოყენება (რადგან მეტი ფიქრის დრო აქვთ), ასევე პრაქტიკულ მაგალითებში თამაშით გამოყენება."

„A2 დონეზე თვალშისაცემია შემდეგი გარემოება: სტუდენტები კონიუნქტივ II-ის გამოყენებისას ხშირად ნაცვლად ფორმისა *hätte* იყენებენ ფორმას *würde ... haben* ხოლო

ნაცვლად ფორმისა *wäre* – ფორმას *würde ... sein* (მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად კარგად იციან სწორი ფორმა)“.

რაც შეეხება თავაზიან თხოვნას, რატომღაც სტუდენტები ფიქრობენ, რომ თავაზიანი თხოვნა მხოლოდ Sie-ფორმით უნდა არსებობდეს (*könnten/würden Sie ...*) და ხშირად თავს არიდებენ, მაგალითად, du-ფორმის (*könntest/würdest du ...*) გამოყენებას."

მასწავლებლების პასუხები ცხადყოფს, რომ ირეალისის წარმოების ფორმალური ცოდნა ხშირად ვერ გარდაიქმნება ფუნქციურ ცოდნად, რადგან მას სჭირდება კომუნიკაციაში, დიალოგებში, თემატურ მასალაზე დაყრდნობილ სავარჯიშოებში აღქმა და გააზრება.

V კითხვაზე - "რა გავლენას ახდენს ინტერკულტურული ტექსტების გამოყენება ირეალისის ახსნისას? თქვენი დაკვირვებით რა უადვილდებათ/უძნელდებათ ენის შემსწავლელებს (რომელ საფეხურზე)?" - მასწავლებლებს არ ჰქონდათ ერთგვაროვანი პასუხი. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ინტერკულტურული მასალა ლექსიკურ-გრამატიკულ სტრუქტურებთან ერთად იძლევა საშუალებას, რომ სამიზნე ენის სოციო-კულტურული თავისებურებების აღქმა და შესწავლა მოხდეს. თუმცა მსგავსი სახის გამოცდილება ინტერკულტურული თემატიკის საშუალებით ირეალისის ახსნისა ნაკლებად იქნა დადასტურებული ინტერვიუებში:

„ინტერკულტურულ ტექსტებს ვიყენებ ძირითადად ქვეყანათმცოდნეობითი ცოდნის გადასაცემად ან სადისკუსიოდ, ლექსიკის გასავითარებლად“.

"ნაკლებად ვიყენებ ინტერკულტურულ ტექსტებს გრამატიკული ფენომენის ასახსნელად და გასაანალიზებლად".

მასწავლებელთა უმრავლესობა ინტერკულტურულ თემატიკას იყენებს ქვეყანათმცოდნეობითი ცოდნის გადასაცემად, ლექსიკური სავარჯიშოებისთვის, არგუმენტაციისა და სხვა რეალობის აღსაწერად და ნაკლებად გვხვდება ინტერკულტურული თემატიკა გრამატიკული მასალის ახსნისას.

VI კითხვაზე, რომელიც თემატურად ებმის წინა შეკითხვებს - "რას ისურვებდით ირეალისის გამოხატვის ფორმის, კონიუნქტივ II-ის, სწავლების გასაუმჯობესებლად?" - შემდეგი სახის პასუხებს იძლევიან რესპოდენტები:

„დაეთმოს უფრო მეტი საკონტაქტო საათი და სახელმძღვანელოებში მეტი სახალისო სავარჯიშო იყოს მათ განსამტკიცებლად“.

„ვისურვებდი, რომ სწავლების სხვადასხვა დონეზე სახელმძღვანელოები მოიცავდეს უფრო მეტ საკომუნიკაციო, სასაუბრო სავარჯიშოებს (kommunikative Sprechübungen), რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციებს და თამაშებს, რომლებიც მოგვცემს კონიუნქტივ II-ის გამოყენების საშუალებას, რადგან გერმანული ენის შემსწავლელი ამ გზით ყველაზე კარგად იგებენ, სწავლობენ და იმახსოვრებენ.“

„სასურველი იქნებოდა ინტერკულტურული მეთოდით შექმნილი სახელმძღვანელოების არსებობა ქართულენოვან გერმანულის შემსწავლელთათვის, რითაც შედარებითობა, განსხვავებული სოციო-კულტურული ასპექტი იქნებოდა წინა პლანზე წამოწეული და მიზანმიმართულად მოხდებოდა ამა თუ იმ გრამატიკული თუ ლექსიკური მოვლენის განხილვა-გაანალიზება“.

- მასწავლებელთა ინტერვიუები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დაკვირვებას, რომ გერმანული ენის გრამატიკული ფენომენი *ირეალისი* არაა რთულად ასახსნელი, მას აქვს გამოკვეთილი სტრუქტურა და ფუნქცია, რომელიც ახსნისას თვალსაჩინოა, ენის შემსწავლელნი სავარჯიშოებსაც წარმატებით ართმევენ თავს, მაგრამ ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნისას - რეალურ სამეტყველო სიტუაციებში - თავს იჩენს ის სირთულე, რომელმაც ამ თემის კვლევა გადაგვაწყვეტინა.
- გამოკითხვით გამოვლინდა, რომ სწავლებისას ჭარბობს კომუნიკაციური მეთოდი, თუმცა ზოგი მასწავლებელი არ ასახელებს, თუ სწავლების რომელი მეთოდით ხელმძღვანელობს. შესაძლოა, ისინი იყენებენ განსხვავებულ სწავლების მეთოდებს თემატიკის, სწავლების მიზნის და სამიზნე ჯგუფის შესაბამისად.
- ინტერკულტურული მიდგომით ირეალისის სწავლების გამოცდილება არც ერთ მასწავლებელს არ დაუფიქსირებია. უცხო ენის მასწავლებელი შემოქმედებითი

ნატურა და ცდილობს უცხო ენა და კულტურა სამიზნე ჯგუფზე დაყრდნობით წარმოაჩინოს. ამიტომ ისინი ახალ გამოწვევებს და სწავლების გაუმჯობესებისა და გამრავალფეროვნებისთვის მიწოდებულ იდეებს მხოლოდ მიესალმებიან.

- გამოცდილებამ და მასწავლებელთა გამოკითხვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა კვლევის აქტუალობა და მართებულობა - მოგვეძებნა ირეალისის გამომხატველი გერმანული ფორმების ეკვივალენტები ქართულ ენაში და გამოგვეყენებინა ეს ურთიერთმიმართება დიდაქტიკური მიზნებისთვის, კერძოდ, გერმანული ირეალისის შესწავლისთვის შექმნილიყო ინტერკულტურულ მეთოდზე/მიდგომაზე დაფუძნებული გაკვეთილის ნიმუში, რომელსაც ფოკუსჯგუფში განვიხილავდით, რათა ვარაუდები კიდევ უფრო გაგვემყარებინა.

4.4. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილის მოდელები

4.4.1. გაკვეთილის მოდელი I

ინტერკულტურული სწავლების ამოსავალი პრინციპია უცხოური ენის საშუალებით უცხო კულტურის შეცნობა, უცხოს აღქმა და გაგება. მეორე მხრივ, სწორედ უცხო სოციო-კულტურული თავისებურებების გაცნობით უნდა მიმდინარეობდეს უცხოური ენის ლექსიკურ-გრამატიკული ნიუანსების შესწავლა.

ინტერკულტურული მასალის მოძიება გერმანულის, როგორც უცხო ენის, გაკვეთილისთვის სწავლების ყველა საფეხურისთვისაა შესაძლებელი. ამ დროს გასათვალისწინებელია სწავლების მიზანი.

ქვემოთ წარმოდგენილია ინტერკულტურულ მეთოდზე დაყრდნობით ირეალისის სწავლების ნიმუში გერმანულის, როგორც უცხო ენის, ერთი გაკვეთილის მიხედვით:

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 90 წუთი (2 აკადემიური საათი). **გაკვეთილის თემა:** სამუშაო და თავისუფალი დრო. **გრამატიკა:** ირეალისი (კონიუნქტივ II).

სწავლების მიზანი: ინტერკულტურული და ენობრივი ცოდნის გადაცემა გერმანული და ქართული ისტორიულ-კულტურულ-სოციალური და ენობრივი კონტექსტის გათვალისწინებით. თემის განხილვის შემდეგ ენის შემსწავლელმა უნდა

შემდგომად: საუბარი სამუშაო და თავისუფალი დროის შესახებ გერმანიასა და საქართველოში, მათი შედარება და მსგავსება-განსხვავებების აღწერა; ირეალისის სწორი, კორექტული ფორმების გამოყენება სიტუაციის შესაბამისად; უცხო სოციო-კულტურულ გარემოში ორიენტაცია.

აქტივობები: განსხვავებული სოციალური ფორმის გამოყენება, ინდივიდუალური მუშაობა, ფრონტალური გაკვეთილი, მუშაობა წყვილებში და ჯგუფური მუშაობა. (სხვადასხვა დავალება სხვადასხვა სტრატეგიულ მიდგომას საჭიროებს, რომლებსაც მასწავლებელი სამიზნე ჯგუფის ინტერესებისა და შესაძლებლობის შესაბამისად ცვლის).

რესურსები: დაფა, ინტერნეტი, მარკერი, სახელმძღვანელო, სამუშაო ფურცლები (Arbeitsblätter). **სწავლების საფეხური:** BI.


სადისკუსიო თემა: გერმანიაში გამოცემული სახელმძღვანელოდან “em Brückenkurs” ამოღებული მასალა (Lektion I) და ჩვენ მიერ (მასწავლებლის მიერ) შედგენილი დავალებები.

გაკვეთილის დასაწყისში - აქტივაციის ფაზაში - მიმდინარეობს თემისთვის მომზადება, წინარე ცოდნის აქტივაცია. მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- Wie viele Stunden in der Woche arbeiten die Menschen durchschnittlich in Ihrem Heimatland?
- Wie viele Tage pro Jahr haben sie Urlaub?
- Wie sind die normalen Arbeitszeiten? Von bis ... Uhr

ენის შემსწავლელი პასუხობენ კითხვებზე. მიზანშეწონილია დისკუსია და მაგალითების მოყვანა დასაქმების სხვადასხვა სფეროდან, გამოცდილების გაზიარება.

კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ ხდება თემატური ლექსიკის აქტივაცია. მასწავლებელი სხვადასხვა მეთოდით (ასოციოგრამა, გონებრივი იერიში და სხვ.) ააქტიურებს სტუდენტთა წინარე ცოდნას და თემისთვის ამზადებს მათ. ამჯერად ამ მიზნით შერჩეულია ასოციოგრამა სამუშაო და თავისუფალ დროსთან დაკავშირებული თემატური ლექსიკის შესახებ.



თემატური ლექსიკის აქტივაცია ერთგვარ შესავალს წარმოადგენს ტექსტის გაცნობისთვის. ეს სავარჯიშოები გარკვეულ ბიძგს აძლევს მომდევნო ფაზას, რომელსაც ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილის დიფერენციაციის ფაზას უწოდებენ. დიფერენციაციის ფაზაში ხდება ძირითადი ტექსტის გაცნობა, განხილვა, ლექსიკური და დამხმარე სავარჯიშოების მიწოდება. ამისათვის განკუთვნილია EM Brückenkurs-ის პირველი თავის შემდეგი ტექსტი:

Mehr Freizeit für alle! Arbeit: Lust statt Frust!

1 Charlotte S., 31

In Deutschland gibt es einen Spruch: „Selbständig arbeiten bedeutet: selbst arbeiten und ständig arbeiten.“ Das ist negativ gemeint, und ich finde, das sagt eine Menge über die auch so fleißigen Deutschen aus.
 5 Was Eigeninitiative betrifft, gehören wir nämlich zu den Schlusslichtern in Europa. Bei uns arbeitet nicht mal jeder Zehnte auf eigene Rechnung, in Italien ist es zum Beispiel schon jeder Vierte. Als ich vor acht Jahren meine Partneragentur gegründet habe, warnten meine
 10 Freunde: „Du wirst rund um die Uhr arbeiten und keine Freizeit mehr haben!“ Ich habe den Sprung ins kalte Wasser trotzdem gewagt. Heute habe ich fünf Ange-



stellte, und meine Firma läuft super. Was wäre, wenn ich auf meine Freunde gehört hätte? Dann wäre ich Chefsekretärin geblieben und hätte die Fünftagewoche und 30 Tage Urlaub im Jahr. Okay, nun arbeite ich mehr und hab weniger Urlaub. Aber dafür habe ich Spaß an der Arbeit und bin meine eigene Chefin. Ach, würden die Leute doch endlich aufhören, ständig nur herumzumaulen und Forderungen zu stellen! Für Selbständige gibt es so viel zu tun – man muss sich nur trauen, damit anzufangen.

2 Wilhelm W., 67

45 Jahre lang hab ich als Mechaniker gearbeitet. Eigentlich hab ich ja Uhrmacher gelernt, aber dann bin ich zu einer großen Autofirma gegangen. Ich hab mir immer gewünscht, früher in Rente zu gehen, nicht erst mit 65. Aber ich wollte nicht auf einen Teil meiner Rente verzichten. Da wäre ich in finanzielle Schwierigkeiten gekommen. Ich hab mir immer ausgemalt, was ich alles tun würde, wenn ich mal den ganzen Tag nur Freizeit hätte. Jetzt bin ich seit zwei Jahren im Ruhestand und muss ehrlich sagen, dass mir die Arbeit irgendwie fehlt.



Natürlich hab ich Hobbys: Spazieren gehen und meine Uhrensammlung. Aber das füllt mich nicht so richtig aus. Und dauernd Fernsehen gucken ist doch auch nichts. Meine Frau kann erst in zwei Jahren in Rente gehen, wenn sie 60 ist. Dann wollen wir uns ein Wohnmobil kaufen und richtig auf Reisen gehen. Darauf freue ich mich schon sehr.

3 Peter R., 27

Wir leben in einem der reichsten Länder der Erde, trotzdem gibt es bei uns so viele Arbeitslose. Und von den anderen, die Arbeit haben, wird verlangt, dass sie Überstunden machen. Das ist doch unlogisch! Es
 5 gibt immer weniger Arbeit für die große Mehrheit und gleichzeitig immer mehr Reichtum für eine kleine Minderheit. Wer soll in Zukunft all die Dinge kaufen, die produziert werden? Ich würde mir wünschen, dass alles besser verteilt wäre. Dann hätten alle weniger
 10 Arbeit und mehr Freizeit. Vor hundert Jahren haben die



Leute noch vierzehn Stunden am Tag gearbeitet und das sechs Tage die Woche, 52 Wochen im Jahr. Wenn das heute noch so wäre, dann hätten wir dreimal so viele Arbeitslose. Wir haben unser jetziges soziales Netz lange und hart genug erkämpft, zum Beispiel die 35-Stunden-Woche mit vollem Lohnausgleich. Wenn wir sie uns jetzt entreißen ließen, würden wir uns vielleicht bald alle auf dem Arbeitsamt wieder sehen.

ტექსტს ახლავს სავარჯიშო წაკითხულის გასაანალიზებლად. ენის შემსწავლელს საშუალება ეძლევა ერთმანეთს შეადაროს სამუშაო და თავისუფალ დროსთან დაკავშირებული პრობლემატიკა გერმანიასა და თავის სამშობლოში, განიხილოს ახალი თემა სხვადასხვა პერსპექტივიდან, ისაუბროს ორი ქვეყნის განსხვავებულ სოციო-კულტურულ თუ სამართლებრივ-შრომით ურთიერთობებზე, გააანალიზოს მსგავსება-განსხვავებები. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილისთვის დამახასიათებელი ქვეყანათმცოდნეობითი თემის მეშვეობით ხდება ინფორმაციის მიღება-გაცვლა-გაანალიზება როგორც უცხო, ასევე საკუთარი კულტურის შესახებ და უკვე არსებულ ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება.

Lesen Sie die Texte noch einmal.

- a In welchen Texten erhalten Sie welche Informationen über Arbeitszeit und Freizeit in Deutschland? Notieren Sie diese Informationen im Kasten unten.

	Charlotte S.	Wilhelm W.	Peter R.
Rentenalter: Männer/Frauen		65/60	
durchschnittliche wöchentliche Arbeitszeit heute			
durchschnittliche wöchentliche Arbeitszeit früher			
Urlaub			

- b Vergleichen Sie diese Informationen mit den Informationen, die Sie in Aufgabe 1 gesammelt haben. Welche Unterschiede gibt es zu Ihrem Heimatland?

AB

ტექსტის დამუშავების შემდეგ უცხო ენის პედაგოგი სტუდენტებს აძლევს დავალებას მცირე ჯგუფებში შეამოწმონ გამოთქმული მოსაზრებების მისაღებობა და ჩამოაყალიბონ საკუთარი არგუმენტაცია. პედაგოგი ენის შემსწავლელებს აცნობს ფრაზებს (Redemittel), რომლებიც უნდა გამოიყენონ დისკუსიისას:

- Meiner Meinung/ Ansicht nach...
- Ich finde/denke/glaube, dass.... Recht hat, denn...
- Nach meiner Auffassung...
- Meines Erachtens....
- Ich stehe auf dem Standpunkt, dass...
- Ich kann..... nur zustimmen,...
- Wenn ich mich nicht irre/täusche...
- Daraus /aus dem Gesagten ergibt sich
- Zusammenfassend kann man sagen, dass...

ამ სავარჯიშოს მიზანია საკუთარი მოსაზრების გამოხატვისა და არგუმენტირებისათვის აუცილებელი ენობრივი საშუალებების დაუფლება. ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს მითითებული ფრაზების მრავალგზის გამოყენებას, რამდენჯერმე მეორდება ერთი და იგივე ენობრივი სტრუქტურები, რაც ხელს უწყობს მათ შესწავლას და დამახსოვრებას, მათ ავტომატიზაციას. შემდეგი საფეხურია ნასწავლი ფრაზებისა და კონსტრუქციების ადეკვატურად გამოყენება გარკვეულ სიტუაციებში, მათი ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნა.

პედაგოგი, ამასთანავე, ისე წარმართავს გაკვეთილს, რომ სტუდენტებმა მოახდინონ უცხოს და საკუთარის შედარება. ინტერკულტურული შედარება ხელს უწყობს როგორც საკუთარის გააზრებას, ასევე გერმანიაში არსებული რეალობის უკეთ აღქმას.

სავარჯიშოების პროგრესით იკვეთება გაკვეთილის გრამატიკული მიზანი - კონიუნქტივ II-ით გამოხატული ირეალისის სწავლება. გრამატიკული წესის ახსნისას პედაგოგი განხილულ მასალას ეყრდნობა. ტექსტიდან ამოღებული რამდენიმე წინადადების მეშვეობით განმარტავს ირეალისის არსს. ამის შემდეგ იწყება ირეალობის გამომხატველი ფორმების მოძიება და ხაზგასმა ტექსტში. ამ სახის სავარჯიშოები სრულდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე პლენარულად.

გასათვალისწინებელია, რომ კონიუნქტივ II-ს შემსწავლელნი უკვე ცნობენ - A2 დონეზე უკვე შედგა მათი პირველი (ზედაპირული) ნაცნობობა კავშირებით კილოსთან. რაც დეტალურად ჯერ არ შეუსწავლიათ, არის კონიუნქტივ II-ის ფუნქციები და დროის ფორმები. უცხო ენის პედაგოგი დაფაზე წერს კონიუნქტივ II-ის სხვადასხვა დროის ფორმას და ხსნის მათი წარმოების წესს:

Indikativ	Konjunkt. II (Gegenwart)	Konjunkt. II (Vergangenheit)
er kommt	er käme	er wäre gekommen
er darf	er dürfte	er hätte gedurft
ich bin	ich wäre	ich wäre gewesen
ich gebe	ich gäbe	ich hätte gegeben
ich esse	ich äße	ich hätte gegessen
er lernt	er lernte / er würde lernen	er hätte gelernt

კონიუნქტივ II-ის ფორმების გაცნობის შემდეგ ენის შემსწავლელნი ასრულებენ ახალი მასალის განსამტკიცებელ სავარჯიშოებს, რომლებშიც იკვეთება ირეალისის, როგორც შესაძლებლობის (Möglichkeit), სურვილის (Wunsch), ირეალური პირობის (irreale Bedingung), ირეალური შედარების (irrealer Vergleich) გამომხატველის როლი.

გაკვეთილის შემდეგ ფაზაში, რომელიც შეიძლება ექსპანსიის (გაფართოებული აქტივაციის) ფაზად (Expansionsphase) განვიხილოთ, სრულდება სხვადასხვა სახის ენობრივი და გრამატიკული სავარჯიშოები, ხდება თემის შესახებ ცოდნის განმტკიცება, ახალი პერსპექტივის დასახვა და ნასწავლის გაანალიზება. შემდეგ სავარჯიშოში მასწავლებელი აძლევს სტუდენტებს როლურ დავალებას დიალოგის ფორმით წარმოადგინონ ირეალური პირობის გამომხატველი წინადადებები:

Aufgabe: *Was würden Sie machen, wenn....?* Bilden Sie Konjunktiv II.

Beispiel: *Wenn ich Geld hätte, würde ich viel reisen.*

ein Flugzeug haben

Deutschlehrer sein

auf einer einsamen Insel sein

eine berühmte Person sein

das Land regieren können

im Lotto gewinnen

ein Zauberer sein

drei Wünsche frei haben

თავდაპირველად გამეორების და ავტომატიზაციის გზით ხდება ირეალისის გამომხატველი ფორმების ათვისება.

შემდეგი სახის სავარჯიშო სრულდება მცირე ჯგუფებში. ენის შემსწავლელებმა უნდა შეძლონ არარეალური სიტუაციის წარმოდგენა და ვარაუდების გამოთქმა ირეალისის დახმარებით:

Aufgabe: Versuchen Sie, Hypothesen aufzustellen:

Was wäre, wenn es z. B. *keinen Fernseher* *gäbe*
keine Sonne
keinen Verkehr
kein Telefon

keine Schule
kein Buch
kein Internet
kein Geld
keine Geschäfte

დავალების შესრულების შემდეგ ჯგუფები ერთმანეთს უდარებენ შესრულებულ სამუშაოს, წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს გამონათქვამისა და ირეალისის ფორმების კორექტულობის შესახებ და ცდილობენ მათი ქართული ეკვივალენტური ფორმების მოძიებას.

მასწავლებელი ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვისას მოსმენილ მოსაზრებებს და ხაზს უსვამს იმ მიმართებას, რომელიც არსებობს ირეალისის ქართულ და გერმანულ ფორმებს შორის. სავარჯიშოების შესრულებისას სტუდენტები ცდილობენ პედაგოგის დახმარებით ქართული ეკვივალენტის მოძიებას და წინადადებების ქართულად თარგმნას.

ამის შემდეგ სრულდება ცოდნის განსამტკიცებელი სავარჯიშოები. აქ მიზანშეწონილია როგორც პედაგოგის მიერ შედგენილი, ასევე სახელმძღვანელოში მოცემული დავალების გამოყენება. კონიუნქტივ II-ის წარსული დროის ფორმასთან დაკავშირებული დავალება თავდაპირველად ინდივიდუალურად სრულდება. ამას მოსდევს შედეგების შედარება პარტნიორთა ჯგუფებში. ბოლოს კი სავარჯიშოების შესრულება ფრონტალური გაკვეთილის სახით - ყველას ჩართულობით - მოწმდება. პარტნიორული ჯგუფები ერთმანეთს ეჯიბრებიან დავალების უკეთ შესრულებაში:

- Konjunktiv II in der Vergangenheit → GRAMMATIK**
Setzen Sie das Verb in den Konjunktiv II der Vergangenheit.
- a) Wenn ich gestern Zeit *gehabt hätte*..., wäre ich zu deiner Geburtstagsparty gekommen. (haben)
 - b) Wenn du in der Schule besser Deutsch, dann hättest du gestern den deutschsprachigen Film besser verstanden. (lernen)
 - c) Wenn ihr gestern nicht so spät, hätten wir zusammen einen tollen Ausflug gemacht. (aufstehen)
 - d) Wenn du deine Freundin wenigstens, wäre sie jetzt nicht so sauer. (anrufen)
 - e) Wenn du mich, hätte ich dir helfen können. (fragen)

უცხო ენის პედაგოგსა და სამიზნე ჯგუფზეა დამოკიდებული, თუ რა ინტენსივობითა და თანმიმდევრობით იქნება აქტუალიზებული ესა თუ ის ფაზა და ამა თუ იმ შინაარსის სავარჯიშოები, რამდენად გაიზრდება ან შემცირდება მათი რაოდენობა.

პედაგოგი სტუდენტებს დამატებითი (ცოდნის განსამტკიცებელი) სავარჯიშოს სახით სთავაზობს ირეალისის წარსული ფორმის წარმოებას არარეალური პირობის გამომხატველ დამოკიდებულ წინადადებებში. დავალება სრულდება TPS (Think-Pair-Share) პრინციპით - ინდივიდუალური დავალების შესრულება განიხილება პარტნიორთა წყვილის მიერ და სამუშაო ჯგუფში ხდება მისი პრეზენტაცია:

Aufgabe: Drücken Sie Ihre Wünsche aus:

1. Situation: Sie haben den Hausschlüssel vergessen und stehen vor der geschlossenen Tür. Niemand macht auf.
2. Situation: Sie haben ein hervorragendes Essen gekocht, aber der Gast hat es gar nicht probiert.
3. Situation: Die Zeit ist aus, aber sie sind mit Ihrer Arbeit noch nicht fertig.
4. Situation: Sie sind in einen Graben geraten. Sie rufen und rufen, aber niemand hört sie.
5. Situation: Ihr Nachbar hört laute Musik und stört sie ständig.
6. Situation: Sie haben einen Termin, aber der Bus verspätet sich.

ასეთი სახის სავარჯიშოები ენის შემსწავლელს სიტუაციის ადეკვატური აქტიური ენობრივი ქმედებისკენ უბიძგებს. შემსწავლელი თავს დამოუკიდებლად და თავისუფლად გრძნობს, რაც ხელს უწყობს ენობრივ პროდუქტიულობას.

გრამატიკული სტრუქტურების გაცნობისა და გამოყენების შემდეგ მასალის განსამტკიცებლად მასწავლებელი იყენებს თამაშის სტრატეგიას. თითოეული სტუდენტი წერს ფურცელზე სამ კითხვას (რას იზამდით, თუ ...? Was würden Sie machen, wenn.....?). შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ყუთიდან კითხვების ამოღების შემდეგ მონაწილეები პასუხობენ კითხვებს. თამაში განწყობისა და მოტივაციის ამაღლებას ემსახურება:

Spiel: *Was würden Sie machen, wenn.....?*

Beispiel: *Was würden Sie machen, wenn ein UFO vor Ihrer Tür landen würde?*

Wenn Sie ein Mann/eine Frau wären

Wenn Sie fliegen könnten

Wenn Sie ins Ausland fahren könnten

Wenn Sie ein König/eine Königin wären

Wenn Sie nicht sprechen könnten

Wenn Sie eine große Geldstrafe zahlen müssten

გაკვეთილის შემდეგ საფეხურზე, რომელიც შესაძლებელია ინტეგრაციის ფაზად განვიხილოთ, ხდება ახალი თემატიკის ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნა და შესაბამისი სავარჯიშოების შესრულება. მასწავლებელი სტუდენტებს ურიგებს ტექსტებს, რომლებშიც გარკვეული სიტუაციებია აღწერილი. სტუდენტებს შესწავლილი ენობრივი სტრუქტურების გამოყენებით მათზე რეაგირება მოეთხოვებათ.

Sie haben Probleme bei den Hausaufgaben und verstehen überhaupt nichts. Bitten Sie einen deutschen Freund um Hilfe.

Ihr Freund möchte mit Ihnen zu einem Fußballspiel gehen. Sie interessieren sich aber überhaupt nicht für Fußball. Lehnen Sie höflich ab.

Ihre Nachbarin bittet Sie, die Blumen zu gießen, während sie in Urlaub ist. Willigen Sie ein.

აქვე პედაგოგი სტუდენტებს აწვდის მზა ფრაზებს, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება ირეალური სიტუაციის აღწერისას:

Ich denke, es wäre...

An Ihrer Stelle würde ich...

Wenn ich sie wäre...

Vielleicht sollten Sie...

Ich würde...

Sie könnten...

ინტერკულტურულად ორიენტირებულ უცხო ენის გაკვეთილზე განსაკუთრებულ როლს პედაგოგი ასრულებს. უცხო ენის საფუძვლიან ცოდნასთან ერთად მას ინტერკულტურული კომპეტენცია და ინტერკულტურული დიალოგის წარმართვის უნარიც იმავე ზომით მოეთხოვება.

ინტერკულტურული გაკვეთილის მომზადებისას გავითვალისწინეთ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული რეკომენდაციები: კონიუნქტივ II-ის ფორმების სწორად გამოყენებისთვის სასარგებლო სავარჯიშოების მომზადება, სტუდენტთა აქტივობის გაზრდა და მათი მოთხოვნების გათვალისწინება სწავლების პროცესში,

ინტერაქციული სასწავლო გარემოს შექმნა, ირეალისის გამომხატველი წინადადებების გერმანულ-ქართული თარგმანების შესრულება, როლური თამაშები, პედაგოგის მიერ უცხო ენის სოციო-კულტურული თავისებურებების ახსნა და მათი გაანალიზება. მასალად გამოყენებულია გერმანული ენის სახელმძღვანელოს, em-ის, და ჩვენ მიერ ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილისთვის შემუშავებული სავარჯიშოები, რომლებიც შედეგის მიღწევაში დაეხმარება ენის შემსწავლელს.

დაგეგმილი შედეგი კი, რომელიც ინტერკულტურული მეთოდით ჩატარებულ ასეთ გაკვეთილს უნდა მოჰყვეს, შემდეგია: ენის შემსწავლელს შეუძლია თავისუფლად ისაუბროს სამუშაო და თავისუფალი დროის შესახებ გერმანიასა და საქართველოში, შეადაროს ერთმანეთს ამ ქვეყნებში არსებული ვითარება და აღნიშნოს მსგავსება-განსხვავებანი, განსხვავებული პერსპექტივა შეიქმნას უცხო ენის და უცხო სოციო-კულტურულ თავისებურებაზე, რაც ინტერკულტურული მიდგომის მახასიათებელია; ამავდროულად ენის შემსწავლელი იძენს ირეალისის ფორმების გამოყენების კომპეტენციას, მას შეუძლია ირეალისის ფორმების ქართულ-გერმანული ეკვივალენტების მოძიება და წარმოება.

4.4.2. გაკვეთილის მოდელი II

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 90 წუთი (2 აკადემიური საათი). **გაკვეთილის თემა:** ბერტოლტ ბრეხტი - „Wenn die Haifische Menschen wären“. **გრამატიკა:** ირეალისი (კონიუნქტივი II).

გაკვეთილის მიზანი: ინტერკულტურული და ენობრივი ცოდნის გადაცემა გერმანული და ქართული ისტორიულ-კულტურულ-სოციალური და ენობრივი კონტექსტის გათვალისწინებით. თემის განხილვის შემდეგ ენის შემსწავლელს უნდა ჰქონდეს ცოდნა გერმანელი მწერლის ბერტოლტ ბრეხტისა და მისი ნაწარმოების შესახებ. მან უნდა შეძლოს: ქართული და გერმანული სინამდვილის შედარება; ირეალისის სწორი, კორექტული ფორმების გამოყენება სიტუაციის შესაბამისად; უცხო სოციო-კულტურულ გარემოში ორიენტაცია.

აქტივობები: განსხვავებული სოციალური ფორმის გამოყენება, ინდივიდუალური მუშაობა, ფრონტალური გაკვეთილი, მუშაობა წყვილებში და ჯგუფური მუშაობა. (სხვადასხვა დავალება სხვადასხვა სტრატეგიულ მიდგომას საჭიროებს, რომლებსაც მასწავლებელი სამიზნე ჯგუფის ინტერესებისა და შესაძლებლობის შესაბამისად ცვლის.

რესურსები: დაფა, ინტერნეტი, მარკერი, სახელმძღვანელო, სამუშაო ფურცლები (Arbeitsblätter). **სწავლების საფეხური:** B2.

სადისკუსიო თემა: გერმანიაში გამოცემული სახელმძღვანელოდან “Mittelstufe Deutsch” ამოღებული მასალა და მასწავლებლის მიერ შედგენილი სამუშაო ფურცლები.

ინტერკულტურული გაკვეთილის აქტივაციის ფაზაში მასწავლებელი აცნობს სტუდენტებს გაკვეთილის თემას: ბერტოლტ ბრეხტის ნაწარმოები "Wenn die Haifische Menschen wären". დისკუსიის დასაწყებად და თემის მოსამზადებლად მასწავლებელი დაფაზე წერს კითხვებს და სთხოვს სტუდენტებს სამუშაო ჯგუფებში მოიფიქრონ და მოამზადონ პასუხები.

Wer ist Bertolt Brecht?

Wann und wo hat er gelebt?

Welche Werke von Bertolt Brecht kennen Sie?


Erzählen Sie kurz über Bertolt Brecht.

სტუდენტები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ცოდნას ბერტოლტ ბრეხტის შესახებ, რის შემდეგაც პედაგოგი მათ დამატებით ინფორმაციას აწვდის მწერლის ბიოგრაფიიდან. სტუდენტები პარტნიორულ ან ჯგუფურ დავალებად კითხულობენ ბრეხტის ბიოგრაფიას.

Bertolt Brecht – Leben und Exil

Bertolt Brecht (10. Februar 1898 geb. in Augsburg; † 14. August 1956 in Ost-Berlin) war ein einflussreicher deutscher Dramatiker und Lyriker des 20. Jahrhunderts. Seine Werke werden weltweit aufgeführt. Brecht hat das epische Theater beziehungsweise „dialektische Theater“ begründet und umgesetzt.

Brecht begann schon in der Kindheit zu dichten. Bereits als Fünfzehnjähriger gab er gemeinsam mit seinem Freund Fritz Gehweyer eine



Schülerzeitung heraus, *Die Ernte*, in der er den größten Teil der Beiträge selbst verfasste, teilweise unter fremden Namen. Er schrieb Gedichte, Prosatexte und sogar ein einaktiges Drama, *Die Bibel*. Nach dem Beginn des Ersten Weltkriegs 1914 gelang es ihm, eine Reihe von (meist patriotischen) Reportagen von der Heimatfront, Gedichten, Prosatexten und Rezensionen in lokalen und regionalen Medien unterzubringen.

Formal studierte Brecht Medizin und Philosophie. Er besuchte jedoch kaum medizinische Vorlesungen, sondern konzentrierte sich auf ein Seminar der Gegenwartsliteratur. Er führte sehr aufregendes Leben, reiste viel, lernte neue Menschen und Autoren kennen und war erfolgreich bei den Frauen. Er wurde ziemlich bald berühmt und begann seine Werke zu veröffentlichen.

Ab 1930 begannen die Nationalsozialisten, Brechts Aufführungen vehement zu stören. Zu Beginn des Jahres 1933 wurde eine Aufführung von *Die Maßnahme* durch die Polizei unterbrochen. Die Veranstalter wurden wegen Hochverrats angeklagt. Am 28. Februar – ein Tag nach dem Reichstagsbrand – verließ Brecht mit seiner Familie und Freunden Berlin und flüchtete ins Ausland. Seine ersten Exilstationen waren Prag, Wien, Zürich, im Frühsommer 1933 Carona und Paris. Brecht stand im April 1933 auf der von Wolfgang Herrmann verfassten „Schwarzen Liste“; deshalb wurden seine Bücher am 10. Mai 1933 von den Nationalsozialisten verbrannt und am Tag darauf seine gesamten Werke verboten. Brecht wurde 1935 die deutsche Staatsbürgerschaft aberkannt.

In Paris richtete Brecht 1933 die Agentur DAD ein, den sog. „Deutschen Autorendienst“. Dieser sollte emigrierten Schriftstellern Publikationsmöglichkeiten vermitteln. Brecht erwarb ein Haus in Svendborg (Dänemark) und verbrachte dort mit seiner Familie die nächsten fünf Jahre. 1938 entstand das *Leben des Galilei*. Außer Dramen schrieb Brecht auch Beiträge für mehrere Emigrantenzeitschriften in Prag, Paris und Amsterdam.

Erst im Mai 1941 erhielt Brecht sein Einreisevisum in die USA und machte sich mit seiner Familie via Moskau und Wladiwostok mit dem Schiff nach Santa Monica in Kalifornien auf. Er hatte in Amerika kaum Möglichkeiten zur literarischen oder politischen Arbeit und bezeichnete sich selbst angesichts des Desinteresses der US-Amerikaner als „Lehrer ohne Schüler“.

Nach Kriegseintritt der USA musste sich Brecht 1942 als „Enemy Alien“, als feindlicher Auesländer, registrieren lassen und wurde vom FBI überwacht. Unter dem Verdacht, Mitglied einer kommunistischen Partei zu sein, wurde er am 30. Oktober 1947 vom Ausschuss für unamerikanische Umtriebe befragt. Später reiste er nach Paris und kurz darauf am 5. November nach Zürich. Dort hielt er sich ein Jahr auf, da die Schweiz das einzige Land war, für das er eine Aufenthaltserlaubnis erhielt; die Einreise nach Westdeutschland, in die amerikanische Besatzungszone, wurde ihm untersagt.

ჯგუფებში დამუშავებული ბრეტის ბიოგრაფიული საკითხების განხილვა ხდება პლენარულად ფრონტალური გაკვეთილის სახით. სტუდენტები პასუხობენ კითხვებს და პარალელს ავლებენ ქართველ მწერლებთან, რომლებიც ასევე პოლიტიკური რეჟიმის მსხვერპლნი გახდნენ. პედაგოგის მითითებით მცირე ჯგუფებში სტუდენტები ერთმანეთს უამბობენ, იცნობენ თუ არა ბრეტის ნაწარმოებების ქართულ თარგმანებს, წაუკითხავთ თუ არა მისი რომელიმე ნაწარმოები ან უნახავთ თუ არა მისი პიესები სცენაზე და ა.შ.

პედაგოგი ენის შემსწავლელებს აწვდის ინფორმაციას ბრეტის ნაწარმოებების შესახებ, გამოყოფს მოთხრობას „**Wenn die Haifische Menschen wären**“ და წერს სათაურს დაფაზე. ტექსტის წაკითხვამდე მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

Was ist ein Haifisch/Hai?

პასუხის მიღების/არ მიღების შემდეგ მასწავლებელი აძლევს ჯგუფს პარტნიორულ დავალებას:



Welche Eigenschaft/en schreiben Sie diesem Tier zu?

პარტნიორული დავალების შესრულებისას სტუდენტები სხვადასხვა სახის ეპითეტით ახასიათებენ ზვიგენს. შესაძლებელია მაგალითების მოყვანა ან გამოცდილების გაზიარება ამ თემასთან დაკავშირებით: გვხვდება თუ არა ზვიგენი შავ ზღვაში? რა ისტორიის გახსენება შეუძლიათ ამასთან დაკავშირებით ან რა იციან მისი თვისებების შესახებ? თემატური ლექსიკის აქტივაცია ერთგვარ შესავალს წარმოადგენს ტექსტის გაცნობისათვის. ეს სავარჯიშოები გარკვეულ ბიძგს აძლევს მომდევნო ფაზას, რომელიც ტექსტზე მუშაობას მოიცავს.

გაკვეთილის შემდეგ ფაზაში, რომელიც დიფერენციაციის ფაზად შეიძლება იქნას განხილული, უცხო ენის პედაგოგი სტუდენტებს ურიგებს ტექსტს, რომელზე მუშაობა ინდივიდუალურ ან პარტნიორულ დავალებად შესაძლოა განხორციელდეს. ტექსტის წაკითხვის შემდეგ მათ უნდა შეასრულონ მოცემული დავალებები:

Wenn die Haifische Menschen wären

"Wenn die Haifische Menschen wären", fragte Herrn K. die kleine Tochter seiner Wirtin, "wären sie dann netter zu den kleinen Fischen?" "Sicher", sagte er. "Wenn die Haifische Menschen wären, würden sie im Meer für die kleinen Fische gewaltige Kästen bauen lassen, mit allerhand Nahrung drin, sowohl Pflanzen als auch Tierzeug. Sie würden dafür sorgen, dass die Kästen immer frisches Wasser hätten, und sie würden überhaupt allerhand sanitärische Maßnahmen treffen. Wenn z. B. ein Fischlein sich die Flosse verletzen würde, dann würde ihm sogleich ein Verband gemacht, damit es den Haifischen nicht wegstürbe vor der Zeit.

Damit die Fischlein nicht trübsinnig würden, gäbe es ab und zu große Wasserfeste; denn lustige Fischlein schmecken besser als trübsinnige.

Es gäbe natürlich auch Schulen in den großen Kästen. In diesen Schulen würden die Fischlein lernen, wie man in den Rachen der Haifische schwimmt. Sie würden z. B. Geographie brauchen, damit sie die großen Haifische, die faul irgendwo rumliegen, finden könnten. Die Hauptsache wäre natürlich die moralische Ausbildung der Fischlein. Sie würden unterrichtet werden, dass es das Größte und Schönste sei, wenn ein Fischlein sich freudig aufopfert, und sie alle an die Haifische glauben müssten, vor allem, wenn sie sagten, sie würden für eine schöne Zukunft sorgen. Man würde den Fischlein beibringen, dass diese Zukunft nur gesichert sei, wenn sie Gehorsam lernten.

Wenn die Haifische Menschen wären, würden sie natürlich auch untereinander Kriege führen, um fremde Fischkästen und fremde Fischlein zu erobern. Die Kriege würden sie von ihren eigenen Fischlein führen lassen. Sie würden die Fischlein lehren, dass zwischen ihnen und den Fischlein der anderen Haifische ein riesiger Unterschied bestehe. Die Fischlein, würden sie

verkünden, sind bekanntlich stumm, aber sie schweigen in ganz verschiedenen Sprachen und können einander daher unmöglich verstehen. Jedem Fischlein, das im Krieg ein paar andere Fischlein, feindliche, in anderer Sprache schweigende Fischlein, tötete, würden sie einen Orden aus Seetang anheften und den Titel Held verleihen.

Wenn die Haifische Menschen wären, gäbe es bei ihnen natürlich auch eine Kunst. Es gäbe schöne Bilder, auf denen die Zähne der Haifische in prächtigen Farben, ihre Rachen als reine Lustgärten, in denen es sich prächtig tummeln läßt, dargestellt wären.

Die Theater auf dem Meeresgrund würden zeigen, wie heldenmütige Fischlein begeistert in die Haifischrachen schwimmen, und die Musik wäre so schön, dass die Fischlein unter ihren Klängen, die Kapelle voran, träumerisch, und in der allerangenehmsten Gedanken eingelullt, in die Haifischrachen strömten.

Auch eine Religion gäbe es ja, wenn die Haifische Menschen wären. Sie würde lehren, dass die Fischlein erst im Bauche der Haifische richtig zu leben begännen. Übrigens würde es auch aufhören, dass alle Fischlein, wie es jetzt ist, gleich sind. Einige von ihnen würden Ämter bekommen und über die anderen gesetzt werden. Die ein wenig größeren dürften sogar die kleineren fressen. Dies wäre für die Haifische nur angenehm, da sie dann selber öfter größere Brocken zu fressen bekämen. Und die größeren, Posten innehabenden Fischlein würden für die Ordnung unter denn Fischlein sorgen, Lehrer, Offiziere, Ingenieure im Kastenbau usw.

Kurz, es gäbe erst eine Kultur im Meer, wenn die Haifische Menschen wären."

ტექსტის წაკითხვის შემდეგ, ექსპანსიის/აქტივაციის ფაზაში, პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს ტექსტის ლექსიკას და საჭიროების შემთხვევაში იძლევა უცხო სიტყვების განმარტებას. ტექსტს ახლავს სავარჯიშო წაკითხულის გასაანალიზებლად, რომელიც შეიძლება ინდივიდუალურ ან პარტნიორულ დავალებად იქნას მიცემული:

- Untersuchen Sie die **Sprache** des Textes: Finden Sie im Text Konjunktiv II-Formen und unterstreichen Sie sie!
- Was drückt Konjunktiv II in diesem Text aus?
- Wie verstehen Sie den Text? Was möchte der Autor mit diesem Text ausdrücken?

ტექსტის დამუშავების შემდეგ სტუდენტები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. ტექსტი ძირითადად კონიუნქტივ II-ის ფორმაშია დაწერილი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ნაამბობი ფიქციაა, არარეალურია და ირეალურ დაშვებებს განიხილავს. პედაგოგი ან სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ტექსტი პარაბოლაა და განმარტავენ პარაბოლის ცნებას.

სტუდენტები განიხილავენ ბრეხტის პარაბოლას, რომელშიც ადამიანები ცხოველებთან არიან შედარებულნი და აღწერილია მათი „საზოგადოებრივი“ სისტემა. მასწავლებელი განმარტავს, რომ ბრეხტი ზღვის ბინადართა ყოფას მესამე რაიხში ცხოვრებას ადარებს. პარაბოლაში ძლიერთა და გავლენიანთა ეგოისტური ქცევა “გამართლებულია” სუსტების დაცვით და სუსტების ქცევაც ძლიერთა მოსაწონი უნდა იყოს, ისინი მუდამ დამჯერნი უნდა იყვნენ.

მასწავლებელი სვამს შეკითხვას: Wenn die Haifische Menschen wären, hätten sie also im Meer eine Kultur geschaffen? Wären sie dann wirklich besser / netter?

ენის შემსწავლელნი აყალიბებენ საკუთარ არგუმენტებს, იზიარებენ ან უარყოფენ გამოთქმულ მოსაზრებებს. დავალება შესაძლოა შესრულდეს მცირე ჯგუფებში ან ფრონტალური გაკვეთილის სახით/პლენუმში. არგუმენტაციისა და დისკუსიისთვის მოცემულია ფრაზები (Redemittel), რომლებიც უნდა გამოიყენონ ენის შემსწავლელებმა:

Meiner Meinung/ Ansicht nach...

Ich finde/denke/glaube, dass.... Recht hat, denn...

Nach meiner Auffassung...

Meines Erachtens....

Ich stehe auf dem Standpunkt, dass...

Ich könnte..... nur zustimmen,...

Wenn ich mich nicht irren würde/täusche...

Daraus /aus dem Gesagten ergäbe sich/würde sich ergeben

Zusammenfassend könnte man sagen, dass...

ამ სავარჯიშოს მიზანია საკუთარი აზრის, მოსაზრების გამოხატვა, არგუმენტირება. ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს ამ ფრაზების გამოყენებას, რამდენჯერმე მეორდება ენობრივი სტრუქტურები, რაც ხელს უწყობს მათ შესწავლას და დამახსოვრებას, მათ ავტომატიზაციას. შემდეგი საფეხურია ნასწავლი ფრაზებისა და კონსტრუქციების ადეკვატურად გამოყენება გარკვეულ სიტუაციებში, მათი ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნა.

ლიტერატურული ტექსტის დამუშავებისას სხვადასხვა ენობრივი კონპეტენციის განვითარება ხდება. თავდაპირველად ენის შემსწავლელნი ეცნობიან უცხო ტექსტს (კითხვა), შემდეგ თარგმნიან და აანალიზებენ მას (გაგება), მართავენ დისკუსიას,

მსჯელობენ (თავისუფალი მეტყველება/ლაპარაკი), მიღებულ ცოდნასა და შთაბეჭდილებებს ადარებენ, კომენტარს უკეთებენ და აანალიზებენ წერილობით (წერა).

ენობრივი კომპეტენციის გარდა, ენის შემსწავლელი ახლოს ეცნობა უცხო/სამიზნე კულტურას და ღირებულებებს (ინტერკულტურული კომპეტენცია).

ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობა უღვიძებს სტუდენტებს შემოქმედებითობის სურვილს და უღვივებს სწავლის მოტივაციას. სამწუხაროდ, ორიგინალურ ლიტერატურულ ტექსტებზე ასეთი ფორმით მუშაობა უცხო ენის გაკვეთილზე არ ხერხდება დროის უკმარისობის ან შესაფერისი მასალის არქონის გამო. თუმცა უცხო ენის პედაგოგმა, შესაძლოა, თვითონ შექმნას ინტერკულტურულ თემატიკაზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამა შესაბამისი სამიზნე ჯგუფისთვის. ამიტომ პედაგოგის გადასაწყვეტია, დაიტოვებს თუ არა დროს ორიგინალური გერმანული ტექსტების სტუდენტებისთვის გასაცნობად.

სავარჯიშოების პროგრესით იკვეთება გაკვეთილის გრამატიკული მიზანი - კონიუნქტივ II-ით გამოხატული ირეალისის სწავლება. გრამატიკული წესის ახსნისას პედაგოგი განხილულ მასალას ეყრდნობა, ტექსტიდან ამოღებული რამდენიმე წინადადების მეშვეობით განმარტავს ირეალისის არსს. ამის შემდეგ იწყება ირეალობის გამომხატველი ფორმების მოძიება და ხაზგასმა ტექსტში. გასათვალისწინებელია, რომ კონიუნქტივ II-ს შემსწავლელნი უკვე ცნობენ, რადგან A2 და B1 დონეზე უკვე ჰქონდათ მასთან შეხება. სტუდენტებს ირეალისის ფუნქციები და დროის ფორმებიც აქვთ შესწავლილი, თუმცა ჯერ კიდევ ვერ ხერხდება მათი სწორად, ადეკვატურად გამოყენება.

მასწავლებელი დაფაზე წერს ირეალისის გამომხატველი ფორმის წარმოებას და ფუნქციებს. სტუდენტები მასწავლებლის დახმარებით ჯგუფში აწარმოებენ კონიუნქტივ II-ის გრამატიკულ ფორმებს. კიდევ ერთხელ ხაზი გაესმის, თუ რა ფორმებით ხდება ირეალისის გამოხატვა არარეალური პირობის გარემოებით, ნატვრით, არარეალური შედარების გამომხატველ დამოკიდებულებულ წინადადებებში. სამუშაო ჯგუფებში სრულდება ცოდნის განსამტკიცებელი დავალებები. სამუშაო ჯგუფები ეჯიბრებიან ერთმანეთს დავალების უკეთ შესრულებაში:

I. Wünsche, Wünsche, Wünsche ... Ergänzen Sie die Lücken.



Was ist Unterricht?
Wenn alles schläft,
und einer spricht,
das nennt man
Unterricht.

1. Wenn der Unterricht doch schon zu Ende wäre ! (sein)
2. Wenn Irene doch schon _____ ! (kommen)
3. Wenn er doch nicht an die Hausaufgabe _____ ! (denken)
4. Wenn er doch endlich _____ ! (gehen)
5. Wenn er mich doch endlich mal in seinem schicken
Wagen _____ ! (mitnehmen)
6. Wenn Peter doch die Antwort _____ ! (einfallen)
7. Wenn ich bloß _____, wann Goethe geboren ist. (wissen)

სტუდენტებს ეძლევათ სხვადასხვა სახის დავალებები ირეალისის ფორმების გამოსავლენად როგორც სამუშაო ჯგუფებში, ასევე ინდივიდუალურად:

40 Übertragen Sie die irrealen Bedingungssätze in die Vergangenheit

Beispiel: Wenn er Glück hätte, würde er gewinnen.
Wenn er Glück gehabt hätte, hätte er gewonnen.

1. Wenn sie ihm einmal deutlich die Meinung sagen würde, würde er sie bestimmt in Ruhe lassen.
2. Wenn ich im Lotto gewinnen würde, würden alle meine Verwandten etwas abkriegen.
3. Wenn ich Politiker wäre, gäbe es keine Korruption.
4. Wenn ich in die Tropen führe, würde ich mich gegen Malaria schützen.
5. Wenn ich an deiner Stelle wäre, würde ich mich nicht mit meinem Vorgesetzten anlegen.
6. Wenn du nicht trinken würdest, würde ich mit dir fahren.
7. Wenn kein Stau wäre, könnten wir die Maschine nach München noch kriegen.
8. Wenn wir Viren im Computer hätten, müßten wir einen Fachmann um Hilfe bitten.
9. Wenn du die Grammatik lesen würdest, wüßtest du mehr.

შესწავლის ამ საფეხურზე ხდება რთული გრამატიკული კონსტრუქციების ათვისება. შემდეგი სავარჯიშო შეეხება ზმნის ვნებითი გვარის კავშირებით კილოს (Konjunktiv Passiv). მისი შესრულება მხოლოდ ამ საფეხურზეა შესაძლებელი, რამდენადაც ძირითადი გრამატიკული მასალა სტუდენტებს უკვე ათვისებული აქვთ.

42 Bilden Sie Sätze mit „wenn“

Beispiel: Die Absage des Treffens hätte diplomatische Folgen gehabt. → *Wenn* das Treffen *abgesagt worden wäre*, so hätte das diplomatische Folgen gehabt.

1. Sein Rücktritt hätte eine Lawine ausgelöst. 2. Der Sturz der Regierung hätte den Krieg verhindert. 3. Die Unterbringung des Gastes in einer Pension wäre billiger gewesen. 4. Die rechtzeitige Impfung hätte ihr eine Kinderlähmung erspart. 5. Der Abbruch der diplomatischen Beziehungen wäre eine unangemessene Reaktion gewesen. 6. Streiks der Arbeiter in den Betrieben hätten die Regierung unter Druck gesetzt. 7. Eine Rücknahme der Preiserhöhungen wäre auf die Demonstrationen zurückzuführen gewesen. 8. Der Umzug unserer Firma wäre mit hohen Kosten verbunden gewesen. 9. Ein Scheitern der Gespräche hätte eine Verschärfung der Situation bedeutet.

ირეალისის ფორმები სხვადასხვა სიტუაციაში ვლინდება. საჭიროა დამატებითი განსამტკიცებელი დავალებების შესრულება, რათა სტუდენტებმა ისინი უკეთ აითვისონ.

34 Bilden Sie Sätze ohne „wenn“ im Konjunktiv II

1. Wenn ich ihn gesehen hätte, hätte ich ihn zur Rede gestellt.
2. Wenn du auf mich gehört hättest, wäre dir das nicht passiert.
3. Wenn du eine lange Unterhose angezogen hättest, wäre dir jetzt wärmer.
4. Wenn ich ins Ausland ginge, dann nähme ich keine Möbel mit.
5. Wenn ich über Nacht bliebe, müßte ich früh aufstehen.
6. Wenn er gesund wäre, würde er wieder seine Arbeit aufnehmen.

35 Geben Sie gutgemeinte Ratschläge

Bilden Sie freie Sätze mit „Wenn ich du (er, sie) wäre, dann ...“ oder „An deiner (seiner, ihrer) Stelle ...“

1. Dein Kind ißt zu viele Süßigkeiten.
2. Sie ist durch die Prüfung gefallen.
3. Sie kann die kleingedruckte Schrift nicht lesen.
4. Du hast ihn schwer gekränkt.
5. Die Arbeitsstelle wird frei.
6. Der Kühlschrank ist leer.
7. Du hast eine chronische Bronchitis.
8. Die Straßen sind spiegelglatt.
9. Die Telefonleitung ist immer besetzt.
10. Die letzte U-Bahn ist vor deiner Nase weggefahren.

(Mittelstufe Deutsch 1998:131-133)

პედაგოგი სტუდენტებს დამატებითი (ცოდნის განსამტკიცებელი) სავარჯიშოს სახით სთავაზობს ირეალისის წარსული ფორმის წარმოებას არარეალური პირობის გამომხატველ დამოკიდებულ წინადადებებში. დავალება სრულდება TPS (Think-Pair-Share) პრინციპით - ინდივიდუალური დავალების შესრულება განიხილება პარტნიორთა წყვილის მიერ და სამუშაო ჯგუფში ხდება მისი პრეზენტაცია:

მასწავლებელი ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვისას მოსმენილ მოსაზრებებს და ხაზს უსვამს იმ მიმართებას, რომელიც არსებობს ირეალისის ქართულ და გერმანულ ფორმებს შორის. სავარჯიშოების შესრულებისას სტუდენტები ცდილობენ პედაგოგის დახმარებით ქართული ეკვივალენტის მოძებნას და წინადადებების ქართულად თარგმნას. უცხო ენის პედაგოგი მიუთითებს, თუ რომელი გერმანული ფორმა შეესაბამება ირეალისის გამომხატველ კონსტრუქციას ქართულში და როგორ უნდა იქნას იგი აღქმული. იგი აძლევს სტუდენტებს წინადადებებს სათარგმნელად გერმანულიდან ქართულად და ქართულიდან გერმანულად.

დავალებად მიცემული სავარჯიშო თავდაპირველად სრულდება ინდივიდუალურად, შემდეგ პარტნიორულ დავალებად, ბოლოს კი მცირე ჯგუფებში ხდება დავალების პრეზენტაცია TPS (Think-Pair-Share) პრინციპით:

Aufgabe:

- Wenn die Haifische Menschen wären, wären sie dann netter zu den kleinen Fischen?
- Man würde den Fischlein beibringen, dass ihre Zukunft nur gesichert sei, wenn sie Gehorsam lernten.
- Wenn die Haifische Menschen wären, würden sie natürlich auch untereinander Kriege führen, um fremde Fischkästen und fremde Fischlein zu erobern.
- Es gäbe schöne Bilder, auf denen die Zähne der Haifische in prächtigen Farben, ihre Rachen als reine Lustgärten, in denen es sich prächtig tummeln lässt, dargestellt wären.
- Auch eine Religion gäbe es ja, wenn die Haifische Menschen wären.
- Dies wäre für die Haifische nur angenehm, da sie dann selber öfter größere Brocken zu fressen bekämen.
- Kurz, es gäbe erst eine Kultur im Meer, wenn die Haifische Menschen wären.

ენის შემსწავლელნი ერთმანეთს უდარებენ შესრულებულ სამუშაოს, გამოთქვამენ მოსაზრებებს ქართული წინადადებების გერმანული ირეალისის ფორმის შესაბამისობასთან დაკავშირებით, ადარებენ ერთმანეთის თარგმანებს და აზუსტებენ შესაძლო ვარიანტებს. სალექციო ჯგუფში მიმდინარეობს დისკუსია და დაზუსტება იმ ფორმებისა, რომლებიც შესაბამის სიტუაციაში უფრო ადეკვატურია.

გრამატიკული სტრუქტურების კიდევ ერთხელ გაცნობისა და გამოყენების შემდეგ მასალის განსამტკიცებლად მასწავლებელი იყენებს თამაშის სტრატეგიას. თითოეული

სტუდენტი წერს ფურცელზე სამ კითხვას (რას იზამდით, თუ ...? Was würden Sie machen, wenn.....?). შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ყუთიდან კითხვების ამოღების შემდეგ მონაწილეები სამუშაო ჯგუფებში/პარტნიორულ ჯგუფებში პასუხობენ კითხვებს. თამაში განწყობისა და მოტივაციის ამაღლებას ემსახურება:

Aufgabe: Antworten Sie im Konjunktiv II: *Wie würden Sie reagieren, wenn...?*

1. Sie hören nachts merkwürdige Schritt- und Klopfgeräusche. 2. Sie haben einen Albtraum. 3. Jemand will Ihnen aus der Hand lesen. 4. Sie hören, dass Ihr Kind einer Clique angehört, die schlechten Einfluß auf ihn ausübt. 5. Jemand behauptet, die Sterbeerlebnisse von klinisch toten Unfallopfern seien nur Halluzinationen oder Wunschphantasien. 6. Ein Bekannter empfiehlt Ihnen einen homöopathischen Arzt. 7. Eine schwarze Katze überquert Ihren Weg. 8. Ihre Mutter nimmt regelmäßig Schlaftabletten. 9. Ihr Sohn ist in einen Hundehaufen getreten. 10. Sie sind in den falschen Zug gestiegen.

დავალების შესასრულებლად პედაგოგი აწვდის სტუდენტებს მზა ფრაზებს, რომლებიც ირეალისტან გამოიყენება:

An Ihrer/Deiner Stelle würde ich...

Wenn ich Sie/Du wäre...

Sie sollten/Du solltest...

Sie könnten/Du könntest...

Vielleicht sollten Sie/solltest Du...

Sie müssten mal...

Ich würde.../ ich hätte...

ეს დავალება სამუშაო ჯგუფებში (პარტნიორულ ან ჯგუფური მუშაობისას) სრულდება და თავისუფალ აზროვნებას და თავისუფალ მეტყველებას მოითხოვს. მსგავსი სახის დავალებების შესრულებისას სტუდენტების ფანტაზია და კრეატიულობა მნიშვნელოვანია. სოციალურ ჯგუფებში სწავლის ატმოსფერო საკმაოდ თავისუფალია და სტუდენტები მოტივირებულნი არიან. ასეთი სახის დავალებების შესრულებისას ხშირად იკვეთება ასევე სოციო-კულტურული თავისებურებები, რომლებზეც უცხო ენის პედაგოგმა უნდა გაამახვილოს ყურადღება და რომელთა განხილვა-გაანალიზებაში მან ენის შემსწავლელებიც უნდა ჩართოს. ენის შემსწავლელნი ცდილობენ სიტუაციის

შესაბამისად რეაგირებას და ადეკვატური ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებას. სტუდენტების ენობრივი აქტივობა, თავისუფალი გარემო ენობრივი პროდუქტიულობის ამღლებას ემსახურება. ასეთი ტიპის ინდივიდუალური დავალებების შესრულებისას შემსწავლელი ცდილობს გამოავლინოს აქტივობა და დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს ადეკვატური ფრაზები და წინადადებები.

შემდეგ - ინტეგრაციის - ფაზაში ხდება შესწავლილი სტრუქტურების გამოყენება გარკვეულ სიტუაციებში. მასწავლებელი ურიგებს სტუდენტებს ტექსტებს, რომლებშიც გარკვეული სიტუაცია აღწერილი, და შესაბამის ვერბალურ რეაგირებას მოითხოვს მათგან:

Aufgabe:

1. Situation: Sie haben eine schwierige Mathematikaufgabe, die Sie nicht verstehen. Sie bitten einen Freund um Hilfe.
2. Situation: Ihr Freund hat Sie zu einer Operaufführung eingeladen. Sie mögen aber keine Oper. Lehen Sie höflich ab.
3. Situation: Ihr Nachbar bittet Sie, auf seinen Hund aufzupassen, während er im Urlaub ist. Willigen Sie ein.

ამგვარი დავალებები ააქტიურებს სტუდენტის ჩართულობას სასწავლო პროცესში და შემოქმედებითი აზროვნების ინტერესს უღვიძებს მას. ის, ამასთანავე, ცდილობს ადეკვატურად გამოიყენოს კონიუნქტივ II-ის ფორმები ირეალური სიტუაციის გადმოსაცემად.

საშინაო დავალებად მასწავლებელი სტუდენტებს აძლევს ირეალისის გამომხატველ ფორმებს სავარჯიშოდ (განსამტკიცებლად) და თავისუფალ თემას საწერად: "Was würden Sie tun, wenn Sie Staatspräsident/-präsidentin wären?"

როგორც აღვნიშნეთ, ინტერკულტურულად ორიენტირებულ უცხო ენის გაკვეთილზე განსაკუთრებულ როლს პედაგოგი ასრულებს. უცხო ენის საფუძვლიან ცოდნასთან ერთად მას ინტერკულტურული კომპეტენცია და ინტერკულტურული დიალოგის წარმართვის უნარიც იმავე ზომით მოეთხოვება. პედაგოგმა უნდა შექმნას გაკვეთილზე ის გარემო, რომელშიც სტუდენტები ინტერკულტურული კომპეტენციის შეძენას შეძლებენ.

ინტერკულტურული გაკვეთილის მომზადებისას გავითვალისწინეთ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული რეკომენდაციები: კონიუნქტივ II-ის ფორმების სწორად გამოყენებისთვის სასარგებლო სავარჯიშოების მომზადება, სტუდენტთა აქტივობის გაზრდა და მათი მოთხოვნების გათვალისწინება სწავლების პროცესში, ინტერაქციული სასწავლო გარემოს შექმნა, ირეალისის გამომხატველი წინადადებების გერმანულ-ქართული თარგმანების შესრულება, როლური თამაშები, პედაგოგის მიერ უცხო ენის სოციო-კულტურული თავისებურებების ახსნა და მათი გაანალიზება.

გაკვეთილის ბოლოს დასკვნის სახით გამოვყოფთ შემდეგს:

- ინტერკულტურულ უცხო ენის გაკვეთილზე სტუდენტები გაეცნენ გერმანულენოვან ავტორს - ბერტოლტ ბრეხტს, მის ბიოგრაფიას და ერთ ნაწარმოებს, მიიღეს ისტორიულ-ქვეყანათმცოდნეობითი ინფორმაცია ადამიანების ყოფა-ცხოვრების შესახებ მესამე რაიხში;

- გერმანულ ორიგინალურ ტექსტზე დაყრდნობით მოხდა გრამატიკული მასალის შესწავლა და მისი გამოყენება;

- გათვალისწინებული იქნა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;

- დადგინდა ირეალისის სტრუქტურების ქართულ-გერმანული შესაბამისობები და განისაზღვრა ეკვივალენტები, რაც მყარ საფუძველს იძლევა გრამატიკული ცოდნის ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნისთვის;

- გაკვეთილი წარიმართა განსხვავებული სოციალური ფორმის გამოყენებით, სტუდენტთა ჩართულობითა და აქტიურობით. ენის შემსწავლელთა განწყობა მოტივირებული და სწავლაზე ორიენტირებული იყო;

- უცხო ენის გაკვეთილისთვის სპეციალურად იქნა შემუშავებული სავარჯიშოები ინტერკულტურული კომპეტენციის გასააქტიურებლად;

- გერმანული და ქართული სოციო-კულტურული თავისებურებების განხილვა მოხდა ტექსტთან და სხვადასხვა სიტუაციასთან კავშირში.

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს, რომ საგაკვეთილო მოდელი შედეგზე იყო ორიენტირებული და გაკვეთილის მიზანიც მიღწეულ იქნა.

4.5. ინტერვიუ ექსპერტებთან - ფოკუსჯგუფის კვლევა

გაკვეთილის ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელის განხილვა მოხდა ფოკუსჯგუფში. *ფოკუსჯგუფი* ანუ *ფოკუსირებული ინტერვიუ* ჯგუფური ინტერვიუს სახეობაა, რომელსაც ასევე *ჯგუფურ სიღრმისეულ ინტერვიუსაც* უწოდებენ. ფოკუსირებული ინტერვიუს მოდელი პირველად 1941 წელს გამოიყენა ამერიკელმა სოციოლოგმა რობერტ მერტონმა (Robert K. Merton) ერთ-ერთი რადიოგადაცემის მსმენელთა რეაქციების გამოკვლევის მიზნით (Stewart/Shamdasani 1990). მეორე მსოფლიო ომის დროს ამ მეთოდის მეშვეობით რობერტ მერტონი და პატრიცია კენდალი იკვლევდნენ პროპაგანდის გავლენას ამერიკელ ჯარისკაცებზე. მოგვიანებით ფოკუსჯგუფი ბაზრის კვლევის პოპულარულ მეთოდად იქცა. გასული საუკუნის 80-იან წლებში ფოკუსჯგუფის მეთოდი დაინერგა სოციალურ მეცნიერებებში.

ჩვენი ფოკუსჯგუფის წევრებად შევარჩიეთ გერმანული ენის პედაგოგები მინიმუმ 5-წლიანი სამუშაო გამოცდილებით, რომელიც გულისხმობს გერმანული ენის სწავლებას სხვადასხვა საფეხურზე (A1-B2) როგორც სპეციალისტების, ასევე არასპეციალისტებისთვის (ისინი წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი კვლევაში მონაწილეობის შესახებ და მათი კონფიდენციალობა დაცულია).

2 საათის ხანგრძლივობის ფოკუსჯგუფი შედგებოდა 5 წევრისგან (4 ქალი და 1 მამაკაცი), რომლებიც საქართველოს შემდეგ დაწესებულებებს წარმოადგენდნენ:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

საქართველოს უნივერსიტეტი;

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;

თბილისის გოეთეს ინსტიტუტი.

ფოკუსჯგუფის მონაწილეებს მოკლედ გავაცანით საკვლევი თემა და ჩვენ მიერ შექმნილი გაკვეთილის მოდელი (ირეალისის სწავლებისას პედაგოგების უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს შემსწავლელების მიერ ირეალისის გამოყენების სირთულეზე; ენის შემსწავლელი კარგად ითვისებს გრამატიკულ მასალას, მაგრამ მისი სწორად

გამოყენება უჭირს; ენის შემსწავლელი თეორიული ცოდნის ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნაში ხედავს სირთულეს; სწორედ იმ მიზნით, რომ ქართულენოვანმა შემსწავლელმა სწორად აღიქვას და გამოიყენოს გერმანული ირეალისი, ინტერკულტურულ მეთოდზე დაყრდნობით შეიქმნა ორი სანიმუშო მოდელი გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლების B1 და B2 საფეხურებისთვის).

ჩვენ მიერ შექმნილი გაკვეთილის მოდელების გაცნობის შემდეგ ფოკუსჯგუფის წევრებს დაურიგდათ კითხვარი, რომლის გულდასმით გაცნობის შემდეგ მათ გამოხატეს თავიანთი მოსაზრებები.

I-მა კითხვამ - „სწორად მიგაჩნიათ თუ არა გერმანულის, როგორც უცხო ენის, გაკვეთილზე ირეალისის სწავლება ინტერკულტურული მეთოდით? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს ინტერკულტურული მეთოდით სწავლებას?“ - ფართო დისკუსია გამოიწვია უცხო ენის პედაგოგებში. უმრავლესობა მიესალმება და მხარს უჭერს თანამედროვე ინტერკულტურული მეთოდით გრამატიკული თემატიკის სწავლებას:

„დიდაქტიკაში კომუნიკაციური პარადიგმის დამკვიდრებამ განაპირობა სწავლების პროცესში ინტერკულტურული ასპექტების წინა პლანზე წამოწევა. ინტერკულტურულ მიდგომაზე დაფუძნებული გაკვეთილის წარმოდგენილი მოდელები, რომლებიც გერმანული ირეალისის შესწავლას ემსახურება, უახლესი, თანამედროვე ტიპის ნიმუშებია და ითვალისწინებს უცხოური ენების სწავლების დიდაქტიკის თანამედროვე მოთხოვნებს. ინტერკულტურული მეთოდით სწავლების უპირატესობა მდგომარეობს არა მხოლოდ კომუნიკაციური კომპეტენციის გამომუშავებაში, არამედ უცხოური კულტურის გააზრებასა და რელევანტურად აღქმაში.“

„ინტერკულტურული მეთოდი, რომელიც სწავლების პროცესში მრავალ ასპექტს განიხილავს, უდავოდ საინტერესო და დადებითი შედეგის მომტანი შეიძლება იყოს გერმანულის, როგორც უცხო ენის, გაკვეთილზე ირეალისის სწავლებისას. წარმოდგენილი გაკვეთილის მოდელები ირეალისის სწავლების საინტერესო მიდგომას ასახავს. მიმაჩნია, რომ ინტერკულტურული მეთოდით სწავლებისას მასწავლებელს

დიდი როლი ენიჭება. წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კომპეტენტურად და შედეგიანად წარმართავს იგი გაკვეთილს.“

II კითხვაზე - „რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ირეალისის სწავლების შემოთავაზებულ მოდელებს?“ - გაცემული პასუხებიდან ირკვევა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა დადებითად აფასებს წარმოდგენილ მოდელებს:

„ირეალისის სწავლების შემოთავაზებული მოდელი ჰარმონიულ თანხვედრაშია თანამედროვე დიდაქტიკის უახლეს გამოწვევებთან. ინტერკულტურული ასპექტის ჩართვა ენის სწავლების პროცესში ენის შემსწავლელს უადვილებს გერმანული და ქართული ენებისა და კულტურის თავისებურებების აღქმას, იმ სიძნელებისა თუ ენობრივი ბარიერის დაძლევისა თუ გადალახვას, რომლებსაც ხვდებიან ქართველები გერმანული ენის შესწავლის პროცესში.“

„მიმაჩნია, რომ უცხოური ენის გაკვეთილის წარმოდგენილ მოდელებში გათვალისწინებულია ენობრივი სისტემის ძირითადი პრინციპები და ლექსიკურ-სტილისტური ნიუანსები, რომლებიც სრულიად მიესადაგება საერთო ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტებს.“

ერთი რესპოდენტი ლიტერატურული ტექსტის შეცვლას გვთავაზობს და აღნიშნავს:

„გაკვეთილის ორივე მოდელი შინაარსობრივადაც და თემატურადაც შერწყმულია სწავლების მიზანთან. მიმაჩნია, რომ გაკვეთილი უფრო საინტერესო იქნებოდა, თუ შემოქმედებითი მხარე წინა პლანზე წამოიწევდა, თუ „მშრალი“ ტექსტის ნაცვლად გაკვეთილზე განხილული იქნებოდა ლექსი კონიუნქტივ II-ის ფორმებით - მაგალითად, ძველი ხალხური სიმღერა (Voklslied) „Wenn ich ein Vöglein wär“, Erich Kästner-ის „Trostlied im Konjunktiv“, Christine Nöstlinger-ის „Armer Kurt“ - და მასზე ავაგებდი სასწავლო მასალას. ენის შესწავლის მაღალ საფეხურზე შესაძლებელია შემსწავლელმა გააანალიზოს კიდევ ლიტერატურული ნაწარმოები, ისევე როგორც შემოქმედებითადაც მიუდგეს გრამატიკული ფენომენის აღქმას და მის გამოყენებას.“

III კითხვას - „თქვენი აზრით, რომელი შედეგების მიღწევას შესაძლებელი ამ მოდელებით სწავლებისას?“ პედაგოგები შემდეგნაირად პასუხობენ:

„დასახული მიზნის მიღწევა თავისუფლად არის შესაძლებელი შემოთავაზებული მოდელის ფორმატში. წარმოდგენილი თემის განხილვის შემდეგ ენის შემსწავლელი შეძლებს ირეალისის კორექტულ გამოყენებას, მოცემული საკომუნიკაციო დისკურსის ფარგლებში არგუმენტირებულად დაასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას და გამოხატავს ინტენციებს, ამავდროულად რელევანტურად იმსჯელებს გერმანიასა და საქართველოში არსებულ სამუშაო და თავისუფალ დროზე იმ ოპტიმალური ენობრივი ვარიანტებით, რომლებსაც კონკრეტულ სიტუაციაში თვით გერმანელი გამოიყენებდა.“

„გაკვეთილის წარმოდგენილი მოდელები უახლესი ტიპის ნიმუშებია და სრულიად ითვალისწინებს უცხოური ენების თანამედროვე და ინტერკულტურული მეთოდით სწავლების უპირატესობას. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს როგორც საკომუნიკაციო უნარების გამომუშავებასა და დახვეწას, აგრეთვე უცხოური კულტურის თავისებურებათა უკეთ აღქმასა და გააზრებას.“

„გაკვეთილის ორივე მოდელი სრულიად შეესაბამება სწავლების მიზანს. მიმაჩნია, რომ ამგვარად შესაძლებელია მოცემული თემატიკის და გრამატიკული მასალის - ირეალისის - ინტერკულტურული სწავლება. მასწავლებლის შემოქმედებით უნარსა და სამიზნე ჯგუფზეა დამოკიდებული გაკვეთილის თითოეული ფაზის გათვლა, გაანალიზება და ხანგრძლივობა. მიმაჩნია, რომ გაკვეთილის ეს მოდელები ინტერკულტურული კომპეტენციის გარდა, ირეალისის გაიოლებულ ათვისებას და გამოყენებას შეუწყობს ხელს.“

უცხო ენის პედაგოგები ძირითადად ხაზს უსვამენ ინტერკულტურული ცოდნის შეძენას და შედარების გზით ირეალისის იოლად ათვისებას.

IV კითხვაზე - „რა შესწორებებს შეიტანდით ამ მოდელებში ამა თუ იმ კონკრეტული შედეგის მისაღწევად?“ - პედაგოგები ასეთ პასუხებს იძლევიან:

„ვგვიქრობ, უცხოური ენის გაკვეთილის მოდელი დიდაქტიკურად მაღალ აკადემიურ დონეზეა წარმოდგენილი, გათვალისწინებულია გრამატიკულ-ლექსიკურ-სტილისტურ-კულტურული ნიუანსები, ენის ხმარების კანონზომიერებათა პრაგმატული სპექტრი, ენობრივი სისტემის იერარქიის პრინციპები, რომლებიც ჰარმონიულ

შესაბამისობაშია საერთო-ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან, დონეებთან და აღწერილობებთან. შესაბამისად, განვრცობასა და რეკომენდაციებს არ საჭიროებს.“

„უცხოური ენის გაკვეთილის მოდელების ფორმირებისას გათვალისწინებულია დიდაქტიკის თანამედროვე პრინციპები. წარმოდგენილი თემის განხილვის შემდგომ ენის შემსწავლელი თავისუფლად შეძლებს საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად დასაბუთებასა და გადმოცემას მისთვის ხელსაყრელი ენობრივი ვარიანტების გამოყენებით.“

„შესაძლებელია, რომელიმე ფაზა შემემოკლებინა ან შემეცვალა სავარჯიშოები. მთლიანობაში მიმაჩნია, რომ გაკვეთილის მოდელის მიხედვით სწავლების მიზანი შედეგზე ორიენტირებულია. სამიზნე ჯგუფის მიხედვით შესაძლებელია გაკვეთილის მოდელის სხვაგვარად ფორმატირება.“

V კითხვა თემატურად ებმის წინა კითხვებს: „რას შეცვლიდით შემოთავაზებულ მოდელებში იმისათვის, რომ უკეთესად მიგელწიათ შედეგისთვის?“ პედაგოგების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ინტერკულტურული გაკვეთილისთვის მასალის მომზადება ძალზე ინდივიდუალურია და მთავარია, რომ იგი შედეგზე იყოს ორიენტირებული.

„შემოთავაზებულ გაკვეთილის მოდელებში ბევრს არაფერს შევცვლიდი, შესაძლოა დამემატებინა და მრავალფეროვანი გამეხადა გრამატიკული ან ლექსიკური სავარჯიშოები, ან სხვა სახელმძღვანელოდან მომეძიებინა დამატებითი მასალა. გაკვეთილის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია სამიზნე ჯგუფი, მათი ინტერესები, ასაკი და სწავლების მიზანი. აქედან გამომდინარე, შესაძლოა მომეხდინა ამ მოდელების მოდიფიკაცია, მაგრამ სწავლების ძირითად მიზანს, ინტერკულტურული მეთოდით სწავლებას, რომელიც ითვალისწინებს შედარებითობას, ახალი პერსპექტივის და მიდგომის ჩამოყალიბებას, აუცილებლად შევინარჩუნებდი.“

„დიდაქტიკის თანამედროვე კონცეფციების გათვალისწინებით, სწავლების შემოთავაზებულ მოდელში მკაფიოდაა წარმოჩენილი ინტერკულტურული ასპექტის

მნიშვნელობა, რაც კიდევ უფრო უადვილებს შემსწავლელს გერმანული და ქართული ენების სპეციფიკის აღქმას და იმ სიმნელების გადალახვას, რომლებსაც ქართველები გერმანული ენის შესწავლისას ხშირად აწყდებიან.“

„მიმაჩნია, რომ ინტერკულტურული სწავლების შედეგზე გასვლა შესაძლებელია მოცემული მოდელების მეშვეობით. აუცილებელია, რომ გაკვეთილი წარმართოს ინტერკულტურული კომპეტენციის მქონე მასწავლებელმა, რომ მიღწეული იქნას სწავლების შედეგი. ინტერკულტურული მეთოდით სწავლება, მგონია, უფრო საინტერესო და მოტივაციის მომცემი შეიძლება იყოს ენის შემსწავლელისთვის.“

ფოკუსჯგუფში ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ინტერკულტურული მეთოდის მიხედვით შექმნილი სწავლების მოდელები, რომლებიც გერმანულის, როგორც უცხო ენის - კერძოდ კი, გერმანული ირეალისის - სწავლებას განსხვავებული მიდგომით გვთავაზობს, დადებითად შეფასდა.

თეორიულმა კვლევებმა, გამოცდილებამ და პედაგოგთა გამოკითხვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა კვლევის აქტუალობა და მართებულობა - ინტერკულტურული მეთოდით ახსნილი და მიწოდებული ირეალისი გერმანული ენის შემსწავლელისთვის უფრო ადვილად გასაგები ხდება. მიგვაჩნია, რომ ამ გზით ირეალისის ათვისებით თეორიული ცოდნა ფუნქციურ ცოდნად გარდაიქმნება.

ფოკუსჯგუფის გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ინტერკულტურული მეთოდით შექმნილი სწავლების მოდელები დიდაქტიკურად სწორად, მაღალ აკადემიურ დონეზეა წარმოდგენილი, გათვალისწინებულია ენის სისტემის და სასწავლო თემატიკის სოციო-კულტურული ნიუანსები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საერთო-ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ამ მოდელებით შესაძლებელია სასურველი შედეგის მიღწევა, კერძოდ, გერმანული ირეალისის სწორად და ძალდაუტანებლად ათვისება.

კვლევის შედეგები და დასკვნები

ნაშრომში ქართული და გერმანული ენების შეპირისპირების შედეგად გამოვლინდა ირეალისის მორფო-სინტაქსური საფუძველი ამ ენებში და ინტერკულტურული

მეთოდის გათვალისწინებით განისაზღვრა ირეალისის სწავლების პრაქტიკულ-დიდაქტიკური მიდგომები გერმანული ენის სწავლება-ათვისების ეფექტურად წარმართვისათვის.

თეორიულმა და პრაქტიკულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ზრდასრულთათვის უცხო ენის შესწავლა სერიოზული გამოწვევაა და მიზანმიმართული კოგნიტური პროცესია. ამ პროცესის ხელშეწყობა და სწორად დაგეგმვა პედაგოგისგან სათანადო კომპეტენციასა და შემოქმედებითობას მოითხოვს. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს სამიზნე ჯგუფის თავისებურებანი და თანამედროვე გამოწვევები. უცხო ენის სწავლების ნებისმიერი მეთოდის დანერგვა და პრაქტიკულად განხორციელება მაშინაა ეფექტური, როდესაც იგი თანამედროვეობისა და სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს უპასუხებს. ინტერკულტურული მეთოდით ირეალისის სწავლება უმაღლეს სკოლაში საინტერესო გამოწვევაა უცხო ენის პედაგოგისათვის. ზემოთ მოცემული სწავლების მოდელები და ფოკუსჯგუფის გამოკითხვა გვამღებს საფუძველს დავასკვნათ, რომ ინტერკულტურული მოდელით ირეალისის სწავლება დადებით შედეგს იძლევა, რაც გვაფიქრებინებს, რომ გამოკვლევის მიზანი მიღწეულია. ბუნებრივია, ყველა ფაქტორის გათვალისწინება ვერ მოხდება ერთ კვლევაში. აქედან გამომდინარე, ჩვენ აუცილებლად გავაგრძელებთ მომავალში ამ მიმართულებით მუშაობას.

ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ინტერკულტურული მეთოდით უცხო ენის სწავლება პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. ენის შემსწავლელი უცხო ენასთან ერთად იძენს ინტერკულტურულ კომპეტენციას, რომელიც აუცილებელია გლობალიზებულ სამყაროში კომუნიკაციისა და თანაცხოვრებისათვის. ენა, როგორც ერის კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი, მიზანშეწონილია შესწავლილი იქნას ინტერკულტურული მეთოდით, რომლის საშუალებითაც ენის შემსწავლელი უცხო ენასთან ერთად ინტერკულტურულ კომპეტენციას, ახალ ხედვას, მიდგომას იძენს და თვალსაწიერს იფართოებს. ასეთი გახსნილი მიდგომა უცხო სადმი იწვევს პოზიტიურ შემხვედრ რეაქციას, რაც კომუნიკაციის ხელშეწყობი წინაპირობაა. კვლევამ გვიჩვენა, რომ ინტერკულტურული მეთოდით უცხო ენის სწავლება უკეთეს შედეგს იძლევა: ენის შემსწავლელი უცხო ენასთან ერთად იძენს თანამედროვე ცხოვრებისთვის აუცილებელ

ინტერკულტურულ კომპეტენციას, რომელიც წარმატებული საზოგადოებრივი ცხოვრების წინაპირობას წარმოადგენს.

საგულისხმოა სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ამოსავალია თანამედროვე სწავლების ინტერკულტურული მეთოდისთვის. გამოკითხვამ დაგვარწმუნა ჩვენი ჰიპოთეზის მართებულობაში, კერძოდ, გერმანული ირეალისის სწავლება ინტერკულტურული მეთოდით ქართულენოვანი შემსწავლელისთვის აიოლებს მის აღქმასა და ათვისებას. ინტერკულტურულ უცხო ენის გაკვეთილზე გერმანული ორიგინალური ტექსტების საფუძველზე გრამატიკული მასალის მიწოდება უფრო საინტერესოს და ადვილად აღსაქმელს ხდის უცხო მასალას და იძლევა საკუთარისა და უცხოს შედარების საშუალებას.

მნიშვნელოვან გარემოებად მიგვაჩნია, რომ ემპირიული კვლევის შედეგები ახლოს დგას თეორიული კვლევის დასკვნებთან. ამრიგად, ირეალისის სწავლებისას ინტერკულტურულად ორიენტირებულ უცხო ენის სწავლების მაგალითზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

წარმოდგენილი სწავლების მოდელები იძლევა ინტერკულტურული მეთოდით ირეალისის შესწავლის შესაძლებლობას. ამას ადასტურებს ექსპერტთა დასკვნები და შეფასებები. განსხვავებული მიდგომა და პერსპექტივა, უცხოსა და საკუთარის შეპირისპირება და ანალიზი, ენის შემსწავლელის დაინტერესება სასწავლო თემატიკით და მისი აქტიური მონაწილეობა სწავლების პროცესში, გამოცდილებისა და წინარე ცოდნის აქტივაცია, მიზანმიმართულად იძლევა წარმატებულ შედეგს.

პოზიტიურ შედეგს იძლევა სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება სწავლების პროცესში, ხდება ენის ცოდნის (Sprachwissen/Sprachkönnen) ენობრივ ქმედებად (Sprachhandeln) გარდაქმნა; სწორედ ამ პრობლემის - თეორიული ცოდნის ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნა - განხილვა ხდებოდა მთელი კვლევის განმავლობაში. ირეალისის სწავლების წარმოდგენილი მოდელი, პედაგოგთა და ფოკუსჯგუფის გამოკითხვები, გვაძლევს საფუძველს იმისა, რომ დავასკვნათ: მიზანმიმართული, შედეგზე

ორიენტირებული, სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისი და კომპეტენტური პედაგოგის მიერ შემუშავებულ სწავლების პროცესს ნამდვილად შეუძლია მიიყვანოს ენის შემსწავლელი სასურველ შედეგამდე, დააძლევინოს ლექსიკური და გრამატიკული ბარიერები და შეძლოს სიტუაციის ადეკვატური ენობრივი ქმედების განხორციელება;

ირეალისი, როგორც ერთ-ერთი ხშირად, მაგრამ არასწორად გამოყენებადი ფორმა, ინტერკულტურული სწავლების საშუალებით ადვილად გასაგები, აღქმადი და განსაზღვრულ სიტუაციაში ადეკვატურად გამოყენებადი ხდება. სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა, მისი ენობრივი აქტივობა იძლევა შესაბამისი გრამატიკული ფენომენის (ამ შემთხვევაში ირეალისის) პროდუქტიულად ათვისების შესაძლებლობას;

ინტერკულტურული სწავლებისას ირეალისის გრამატიკული კატეგორია ენის შემსწავლელს მიეწოდება ახალი ტექსტის კონტექსტში, ახალი სოციო-კულტურული სამყაროსა და მისი თავისებურებების გათვალისწინებით. ასეთი მიდგომით გრამატიკული მასალის ათვისება მარტივდება, რადგან იგი ადვილად აღსაქმელი ხდება. არაა აუცილებელი ცალკე წესების დაზეპირება და „მშრალი“ გრამატიკული სავარჯიშოების შესრულება, რადგან საკმაოდ აქტიურ ინტერაქციაში - თამაშის, დიალოგის, ისევე როგორც ლიტერატურული ტექსტების, ფილმებისა თუ ყოველდღიური განცხადებების რეცეფციის მეშვეობით - ხდება ახალი მასალის ათვისება და განმტკიცება;

კვლევის პროცესში ყურადღება მიექცა **პედაგოგის როლს** ინტერკულტურულ უცხო ენის გაკვეთილზე. უცხო ენისა და კულტურის საკუთართან შედარება, მსგავსება-განსხვავების ახსნა და ქვეყანათმცოდნეობითი ცოდნის მიწოდება, სტერეოტიპების განხილვა და მათზე მსჯელობა ძირითადად მასწავლებლის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს, რაც დიდი გამოწვევაა პედაგოგისთვის, რადგან მას მაღალი ინტერკულტურული კომპეტენციის ფლობა მოეთხოვება. ამის გამო აუცილებელია საკვალიფიკაციო სემინარების რეგულარულად შეთავაზება პედაგოგებისთვის.

ინტერკულტურული მეთოდი ასეთივე წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ყველა სხვა გრამატიკული თუ ლექსიკური თემატიკის ასათვისებლად. ინტერკულტურული მიდგომა საზოგადოდ აიოლებს უცხო ენის შესწავლას.

თეორიული მასალის მიმოხილვისას აღნიშნულია, რომ პოზიტიურ და ნეგატიურ განწყობას უცხო ენისა და კულტურის მიმართ გავლენის მოხდენა შეუძლია მეორე ენის ათვისებაზე. სწორედ ამიტომ სასურველი და მიზანშეწონილია (განსაკუთრებით ზრდასრულთათვის) უცხო ენის სწავლება ინტერკულტურული მეთოდით, რომელიც წინარე ცოდნის გააქტიურების, არსებულისა და ახალი ცოდნის შედარების, უცხოს უკეთ გაგებისა და სწავლის მოტივაციის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა.

უცხო ენის შესწავლა და ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარი, უპირველესად, გულისხმობს უარყოფითი კლიშეებისა და სტერეოტიპების აღმოფხვრას საკუთარ თავში, უცხოს აღქმისა და შეცნობის უნარის გამომუშავებას, საკუთარსა და უცხოს შორის რაციონალური პარალელების გავლენას. ინტერკულტურული მეთოდით სწავლებისას ხდება არა მხოლოდ უცხო კულტურის შესახებ ცოდნის უბრალოდ მიწოდება, არამედ მისი მსოფლმხედველობრივ-კონცეპტუალური ახსნა და გადაცემა. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილი ენის შემსწავლელს ენობრივ კომპეტენციასთან ერთად უყალიბებს ინტერკულტურულ უნარებს. ინტერკულტურული სწავლება აქტიურ ქცევაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესია, რომელიც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ინტერაქციასთან ერთად იმას გულისხმობს, რომ შეძენილი ცოდნის პრაქტიკული რეალიზება გაკვეთილზევე ხდება.

ინტერკულტურული სწავლება ორიენტირებულია ინდივიდის პიროვნულ განვითარებაზე - მისი შეხედულებების, ცოდნის, ფასეულობების, უნარების განვითარებაზე. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილზე შედარებისა და კონტრასტული სწავლების გზით ხდება არა მარტო უცხო ენის, როგორც სისტემის შესწავლა, არამედ უცხო კულტურის, აზროვნების, მენტალიტეტის გაცნობა. ინტერკულტურული უცხო ენის სწავლების მეთოდი შედარებით ახალი მიდგომაა, რომელიც სხვადასხვა მეთოდის შემოწმების, ცოდნის დაგროვებისა და გაზიარების გზით შემუშავდა.

სწავლების ინტერკულტურული მეთოდი მნიშვნელოვან წანამდგრებს ეფუძნება და პერსპექტიულია. უცხო ენის შესწავლა არ შეიძლება მოხდეს ამ ენის მატარებელი ხალხის

კულტურისგან იზოლირებულად. ინდივიდს თავს ვერ მოახვევ ვერც უცხო ენასა და ვერც კულტურას, თუ არ აღძარი მასში სათანადო მოტივაცია. ინტერკულტურული სწავლების მთელი უპირატესობა სწორედ ის არის, რომ აუდიტორიაშივე ხდება უცხო სადაში ინტერესის გაღვიძება და აქვე იწყება მისი შეცნობა, რასაც ასაზრდოებს კონტრასტულ-შედარებითი მიდგომა საკუთარი და უცხო კულტურებისადმი, საკუთარი და უცხო ენისადმი. ინტერესის გაღვიძება კი სწორედ ის საწყისი საფეხურია, რომელსაც სწავლა-სწავლების შემოქმედებით პროცესად გადაქცევა უნდა მოჰყვეს. ინტერკულტურული დიდაქტიკა ამჟამად ძიების, განვითარებისა და დახვეწის გზაზე არა მარტო გერმანიაში, არამედ მრავალ სხვა ქვეყანაშიც. უდავოა, რომ ძიების ეს პროცესი ახლო მომავალში ახალ რეალურ კონტურებს შეიძენს საქართველოშიც.

რეკომენდაციები

სასურველია შეიქმნას გერმანულის, როგორც უცხო ენის, ინტერკულტურული სახელმძღვანელო ქართველი შემსწავლელებისთვის და მომზადდეს შესაბამისი კურიკულუმი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საქართველოსა და გერმანიის სოციო-კულტურული თავისებურებები.

გერმანულის, როგორც უცხო ენის, **სასწავლო გეგმაში** მიზანშეწონილია ქვეყანათმცოდნეობითი თემების შეტანა, რომლებიც ხელს შეუწყობს ინტერკულტურული კომპეტენციის ამაღლებას. მსგავსი მიდგომით უცხო ენის შემსწავლელი უცხო ენასთან ერთად ეუფლება ამ ენის გავრცელების ბუნებრივი არეალის სოციო-კულტურულ თავისებურებებს. გეოგრაფიულად შორს მყოფ ქვეყანაშიცაა შესაძლებელი უცხო ენის რეალობის წარმოჩენა და აღქმა, ახალი ცოდნისა და პერსპექტივის შექმნა.

თეორიული ცოდნის გაღრმავების პარალელურად, უცხო ენის პედაგოგთათვის აუცილებელია მოგზაურობა (გაცვლით პროექტებში მონაწილეობა) გერმანულენოვან ქვეყნებში, კოლეგებთან ურთიერთობა, გამოცდილების გაზიარება, გაკვეთილებზე დასწრება. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო ენობრივი ცოდნის გაღრმავებას, არამედ

გერმანულენოვანი ქვეყნების სოციო-კულტურული გარემოს, ყოველდღიურობის, წეს-ჩვეულებებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმების უკეთ გაცნობას. ამ გზით მარტივად და მიზანმიმართულად მოხდება ინტერკულტურული კომპეტენციის შექმნა. მიღებულ კომპეტენციას კი უცხო ენის პედაგოგები თავიანთი სტუდენტების სწავლების პროცესში გამოიყენებენ, რაც შედეგზე ორიენტირებულ სწავლებას შეუწყობს ხელს.

საქართველოში, სადაც მრავალენოვნება და მრავალკულტურულობა ტრადიციული მოვლენაა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერების მშვიდობიან თანაარსებობას. ამ მიზანს ემსახურება მრავალი საგანმანათლებლო ღონისძიება და მომავალშიც გასათვალისწინებელია ახალი იდეების განხორციელება. სასურველია დაიგეგმოს შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებები, პროექტები, რომლებიც ქართულ-გერმანული ურთიერთობების აქამდე უცნობ ისტორიებს გააცნობს საზოგადოებას და განსხვავებული პერსპექტივიდან წარმოაჩენს მათ. ასეთი აქტივობები ხელს შეუწყობს სტუდენტთა ჩართულობას სწავლისა და კვლევის პროცესში, მათი მოტივაციის ამაღლებას, რათა გაიგონ და შეიმეცნონ სიახლეები.

ენების ერთიანი ვეროპული ჩარჩო, რომლის მიხედვითაც ხდება უცხო ენის სწავლების თანამედროვე პრინციპების ჩამოყალიბება, ითვალისწინებს ტოლერანტობის გამომუშავებას უცხო ენის, რასის, რელიგიის, კულტურისა და მენტალობისადმი. ინტერკულტურული კომპეტენციის გადაცემა უნდა გახდეს უცხო ენის პედაგოგების მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. აუცილებელია სასწავლო გეგმებში გათვალისწინებულ იქნას სწავლების ინტერკულტურული კომპონენტი.

ლიტერატურა:

1. ანდრაზაშვილი, მ. (2008). გერმანული ენის გრამატიკა (Grammatik der deutschen Sprache in vier Bänden). წიგნი I-მორფოლოგია I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ბარათაშვილი, ზ. (2011). ირეალისი შუმერულ ენაში. ენათმეცნიერების საკითხები 2011. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 71-78.
3. ბარამიძე, ც. (2015). რეალისი და ირეალისი თაბასარანულ ენაში. ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

4. გვენცაძე, მ. (2004). გერმანული ენის სასწავლო გრამატიკა. თბილისი: გამომცემლობა „პეტიტი“.
5. თავაძე, ვ. (1939). კავშირებითი დროების ადგილის შესახებ თანამედროვე ქართულში. თბილისი: „კომუნისტური აღზრდისათვის“.
6. კოტინოვი, ნ. (1959). კილოს კატეგორია ქართულში. დისერტაცია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი.
7. კოტინოვი, ნ. (1986). კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
8. ლომიძე, თ. (2012). „საყოველთაო გრამატიკის“ შექმნა დასავლეთ ევროპაში და ანტონ კათალიკოსის გრამატიკა. გვ. 100-111. წიგნში: XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა. აღმოსავლური და დასავლური კულტურულ-ლიტერატურული პროცესების გზაგასაყარზე. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
9. მელიქიშვილი, დ. (1980). მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთობის საკითხისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული. თბილისი: „მეცნიერება“.
10. მელიქიშვილი, დ. (2001). ქართული ზმნის უღლების სისტემა. თბილისი: „ლოგოს პრესი“.
11. მელიქიშვილი, დ. (2014). ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი. თბილისი: „ლოგოსი“.
12. ნინუა, გ. (1967). კავშირებითისა და ბრძანებითის ფორმათა შესახებ. მაცნე-საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო. გვ. 228-233. თბილისი: „მეცნიერება“.
13. ოქროპირიძე, ნ. (1974). კავშირებითი კილოს მოდალური ფუნქციები ქართულ ენაში. საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II. თბილისი.
14. პაპიძე, ა. (1981). კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
15. შავერდაშვილი, ე., ფიცხელაური, ნ., რამიშვილი, ფ., გვასალია, მ. (2014). უცხოური ენების სწავლების საფუძვლები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
16. შავერდაშვილი, ე., ფიცხელაური, ნ., რამიშვილი, ფ., გვასალია, მ. (2014). უცხოური ენების სწავლების საფუძვლები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
17. შანიძე, ა. (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I მორფოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
18. შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. III ტომი. თხზულებანი თორმეტ ტომად. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
19. ჩიქოვავა, ა. (1952). ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

20. Aachen, R. B. (1979). Sprache und Unterricht. In: Baum, R. u.a. (Hrsg.): Sprache in Unterricht und Forschung: Schwerpunkt Romanistik. Tübingen: Narr.
21. ABCD-Thesen zur Rolle der Landeskunde im Deutschunterricht (1990). In: Fremdsprache Deutsch, 3. 1990. München: Klett.
22. Althaus, H.-J. (2010). Fremdbilder und Fremdwahrnehmung. In: Krumm, H.-J., Fandrych, Ch., Riemer, C. (Hrsg.). Deutsch als Fremd- und Zweitsprache. Ein internationales Handbuch. Bd. 2. Berlin, New York: De Gruyter Mouton. 1423-1431.
23. Altmayer, C., Forster, R., Grub, T., (Hrsg.) (2004). Deutsch als Fremdsprache in Wissenschaft und Unterricht: Arbeitsfelder und Perspektiven. Festschrift fuer Lutz Götze zum 60. Geburtstag. Frankfurt am Main: Peter Lang.
24. Altmayer, C. (2006). Kulturelle Deutungsmuster als Lerngegenstand. Zur kulturwissenschaftlichen Transformation der Landeskunde. In: Fremdsprachen Lehren und Lernen, 35, 44-59.
25. Altmayer, C. (2007). Von der Landeskunde zur Kulturwissenschaft – Innovation oder Modetrend? In: Germanische Mitteilungen. Zeitschrift für Deutsche Sprache, Literatur und Kultur 65, 7-21.
26. Altmayer, C. (2010). Geschichte und Konzepte einer Kulturwissenschaft im Fach Deutsch als Fremdsprache & Konzepte von Kultur im Kontext von Detsch als Fremd- und Zweitsprache. In: Krumm, H.-J., Fandrych, Ch., Riemer, C. (Hrsg.). Deutsch als Fremd- und Zweitsprache. Ein internationales Handbuch. Bd. 2. Berlin,New York: De Gruyter Mouton. 1378-1391, 1402-1413.
27. Altmayer, C., Mehlhorn, G., Neveling, Ch., Schlüter, N., Schramm, K. (Hrsg.) (2010). Grenzen überschreiten:sprachlich-fachlich-kulturell. Beiträge zur Fremdsprachenforschung Band 11. Erlangen: Schneider Verlag.
28. Arendt-Herlin, M. (2001). „Interkulturelle Kompetenz und TZI“. Themenzentrierte Interaktion 15/1. 42-51.
29. Auernheimer, G. (2012). Einführung in die interkulturelle Erziehung. Darmstadt. Primus Verlag.
30. Austin, J. L. (1969). „Das Wesen der Wirklichkeit“. In: Savigny, E. von (Hrsg.) (1969): Philosophie und normale Sprache. Texte der Ordinary-Language-Philosophie. München: Verlag Karl Alber Freiburg. 38-50.
31. Ballweg, S., Drumm, S., Hufeisen, B., Klippel, J., Pilypaitytė, L. (2013). Wie lernt man die Fremdsprache Deutsch? München: Klett-Langenscheidt.
32. Barkowski, H., Wolff, A. (2006). Umbrüche. Materialien Deutsch als Fremdsprache. Regensburg: Fachverband Deutsch als Fremdsprache.
33. Barkowski, H., Krumm, H.-J. (Hrsg.) (2010). Fachlexikon Deutsch als Fremd- und Zweitsprache. Tübingen, Basel: A. Francke Verlag.

34. Barkowski, H., Demmig, S., Funk, H., Würz, U. (Hrsg.) (2011). Deutsch bewegt. Entwicklungen in der Auslandsgermanistik und Deutsch als Fremd- und Zweitsprache. Baltmannsweiler: Schneider Verlag.
35. Barlog, C. (2011). Stereotype im interkulturellen Training. In: Badstübner-Kazik, C. (Hrsg.) (2011). Linguistik anwenden. Frankfurt am Main: Lang.
36. Bauch, M. (2010). Interkulturelle Trainingsmethoden und deren Einsatz im Fremdsprachenunterricht. In: Dorfmueller, U., Möller, M. (Hrsg.) (2010). Interkulturelle Kommunikation in Texten und Diskursen. Frankfurt am Main: Peter Lang Verlag.
37. Bauer, R. (1990). Superlearning und Suggestopädie. Berlin u.a.: Langenscheidt.
38. Baumann, B. (2002). Interkulturelles Lernen im Fremdsprachenunterricht. Univer. Ausgabe. Università degli Studi di Bologna.
39. Baumgärtel, S. (2009). Interkulturelles Lernen und lehrbuchgestützte, individualisierende Unterrichtsformen im schulischen DaF-Unterricht. Pandämonium germanicum. 345-363.
40. Bausch, K.-H. (1979). Modalität und Konjunktivgebrauch in der gesprochenen deutschen Standardsprache: Sprachsystem, Sprachwandel und Sprachvariation im heutigen Deutsch. Teil I: Forschungslage, theoretische und empirische Grundlagen, morphologische Analyse. München: Hueber Verlag.
41. Bausch, K.-R., Christ, H., Krumm, H.-J. (Hrsg.) (1994). Interkulturelles Lernen im Fremdsprachenunterricht. Tübingen: Narr.
42. Bausch, K.-R., Christ, H., Krumm, H.-J. (2003). Handbuch Fremdsprachenunterricht. Tübingen, Basel: A. Francke Verlag.
43. Bausch, K.-R., Christ, H., Krumm, H.-J. (Hrsg.) (2007). Handbuch Fremdsprachenunterricht. 5. Aufl. Tübingen, Basel: A. Francke Verlag.
44. Bausch, K.-R., Burwitz-Melzer, E., Königs, F. G., Krumm, H.-J. (Hrsg.) (2009). Fremdsprachenunterricht im Spannungsfeld von Inhaltsorientierung und Kompetenzbestimmung. Arbeitspapiere der 29. Frühjahrskonferenz zur Erforschung des Fremdsprachenunterrichts. Tübingen: Narr.
45. Bausch, K.-R., Burwitz-Melzer, E., Königs, F. G., Krumm, H.-J. (Hrsg.) (2011). Fremdsprachen lehren und lernen: Rück- und Ausblick. Arbeitspapiere der 30. Frühjahrskonferenz zur Erforschung des Fremdsprachenunterrichts. Tübingen: Narr.
46. Berger, R. (2008). Warum der Mensch spricht. Eine Naturgeschichte der Sprache. Frankfurt am Main: Eichborn.
47. Bischof, M., Kessling, V., Krechel R. (1999). Landeskunde und Literaturdidaktik. Fernstudienreihe 3. Berlin, München, Wien, Zürich, New York: Langenscheidt.

48. Bleyhl, W. (1994). Das Lernen von Fremdsprachen ist interkulturelles Lernen. In: Bausch, K. R., Christ, H., Krumm, H. J. (1994). Interkulturelles Lernen im Fremdsprachenunterricht. Arbeitspapiere der 14. Frühjahrskonferenz zur Erforschung des Fremdsprachenunterrichts. Tübingen: Narr Verlag. 9-20.
49. Bloomfield, L. (2001). Die Sprache. Deutsche Erstausgabe. Wien: Edition Praesens. In: Boettcher, W. (2009). Grammatik verstehen. Bd. 1 Tübingen: Niemeyer Verlag.
50. Boesche, A. W. (1942). As to terminology and treatment of the German Subjunctiv. In: Monatsheft 34.
51. Boteram, N. (Hrsg.) (1993). Interkulturelles Verstehen und Handeln. Beiträge aus Erziehungs-, Sozial- und Sprachwissenschaften. Pfaffenweiler: Centaurus-Verlagsgesellschaft.
52. Bredel, U., Günther, H., Klotz, P., Ossner, J., Siebert-Ott, G. (Hrsg.) (2006). Didaktik der deutschen Sprache. 2. Aufl. Paderborn, München, Wien, Zürich: Schöningh.
53. Bredel, U. (2007). Sprachbetrachtung und Grammatikunterricht. Paderborn, München, Wien, Zürich: Schöningh.
54. Bredella, L. (1980). Zielsetzungen der Landeskunde im Fremdsprachenunterricht. In: Anglistik & Englischunterricht 10, Trier, 1980, 9-34.
55. Bredella, L. (1995). Verstehen und Verständigung als Grundbegriffe und Zielvorstellungen des Fremdsprachenlehrens- und lernens. In: Bredella, L. (Hrsg.). Verstehen und Verständigung durch Sprachenlernen?. Bochum: Brockmeyer. 1-34.
56. Bredella, L., Christ, H. (Hrsg.) (1995). Didaktik des Fremdverstehens. Tübingen: Gunter Narr Verlag.
57. Bredella, L., Christ, H., Legutke, M. K. (Hrsg.)(1997). Thema Fremdverstehen. Tübingen. Gunter Narr Verlag.
58. Bredella, L., Delanoy, W. (Hrsg.) (1999). Interkultureller Fremdsprachenunterricht. Tübingen. Narr Verlag.
59. Bredella, L., Meissner, F.-J., Nünnig, A., Rösler, D. (Hrsg.). (2000). Wie ist Fremdverstehen lehr- und lernbar? Vorträge aus dem Graduiertenkolleg ‚Didaktik des Fremdverstehens‘.Tübingen: Narr.
60. Bredella, L. (2002). Literarisches und interkulturelles Verstehen. Tübingen: Narr.
61. Bredella, L. (2012). Narratives und interkulturelles Verstehen. Zur Entwicklung von Empathie-, Urteils- und Kooperationsfähigkeit. Tübingen: Narr.
62. Brinkmann, H. (1971). Die Deutsche Sprache. Gestalt und Leistung. 2. Aufl. Düsseldorf: Pädagogischer Verlag Schwann.
63. Brudner, L., White, D. (1979). Language attitudes: Behavior and intervening variables. In: Donald M., Ornstein J. (Eds.) (1979). Sociolinguistic studies in Language contact: Methods and cases. The Hague: Mouton. 51-98.

64. Bublitz, W. (1978). *Ausdrucksweisen der Sprechereinstellung im Deutschen und Englischen*. Tübingen: Max Niemeyer Verlag.
65. Bugenhagen, R. D. (1993). The semantics of irrealis in Austronesian languages of Papua New Guinea: A cross-linguistic study. In: Reesink, G. P. (ed.) *Topices in Descriptive Austronesian Linguistics* (Semaian, 11). Leiden: Rijksuniversiteit te Leiden. 1-39.
66. Burt, M., Dulay, H. (eds.) (1975). *New directions. In: second language learning, teaching and bilingual education*. Washington D. C.: TESOL.
67. Burt, M., Dulay, H. (1980). On acquisition orders. In: Felix, S., rd. 1980, 265-328.
68. Busch, A., Stenschke, O. (2008). *Germanistische Linguistik*. 2. Aufl. Tübingen: Gunter Narr.
69. Buscha, J., Freudeberg-Findeisen, R., Forstreuter, E., Koch, H., Kuntzsch, L. (1998). *Grammatik in Feldern. Ein Lehr- und Übungsbuch für Fortgeschrittene*. Ismaning: Verlag für Deutsch.
70. Buscha, J., Zoch, I. (1999). *Der Konjunktiv. Zur Theorie und Praxis des Deutschunterrichts für Asländer*. Leipzig: Langenscheidt.
71. Bußmann, H. (Hrsg.) (2002). *Lexikon der Sprachwissenschaft*. 3. Aufl. Stuttgart: Alfred Kröner Verlag.
72. Buttjes, D. (1995). Landeskunde-Didaktik und landeskundliches Curriculum. In: Bausch, K.-R. u. a. (Hrsg.) *Handbuch Fremdsprachenunterricht*. 3. Aufl. Tübingen: Francke. 142-149.
73. Butzkamm, W. (1978). *Aufgeklärte Einsprachigkeit. Zur Entdogmatisierung der methode im Fremdsprachenunterricht*. Heidelberg: Quelle & Meyer.
74. Butzkamm, W. (2002). *Psycholinguistik des Fremdsprachenunterrichts*. 3. Aufl. Tübingen: Francke.
75. Bybee, J. L., Fleischman, S. (eds.) (1995). *Modality in Grammar and Discourse*. Amsterdam: Benjamins.
76. Bybee, J. L. (1998). „Irrealis” as a grammatical category. *Anthropological Linguistics* 40(2), 257-271.
77. Caprez-Krompak, E. (2010). *Entwicklung der Erst- und Zweitsprache im interkulturellen Kontext*. Münster: Waxmann Verlag.
78. Chafe, W. (1995). The real-irrealis distinction in Caddo, the Northern Iroquoian languages, and English. In: Bybee, J., Fleischman, S. (eds.). *Modality in Grammar and Discourse*. Amsterdam: Benjamins. 349-366.
79. Chomsky, N. (1988). *Language and Problems of Knowledge: The Managua Lectures*. Cambridge, MA: The MIT Press.
80. Christ, H., Krumm, H.-J. (1999). *Handbuch Fremdsprachenunterricht*. Tübingen: Narr.

81. Christ, H. (2007). Fremdverstehen in der Praxis interkulturellen Lernens im Fremdsprachenunterricht. In: Bredella, L./Christ, H. (Hrsg.): Fremdverstehen und interkulturelle Kompetenz. Tübingen. 51-77.
82. Church, J. (1971). Sprache und die Entdeckung der Wirklichkeit. Über den Spracherwerb des Kleinkindes. Frankfurt am Main: Fischer Verlag.
83. Clahsen, H. (1982). Spracherwerb in der Kindheit: eine Untersuchung zur Entwicklung der Syntax bei Kleinkindern. Tübingen: Narr.
84. Clahsen, H., Meisel, J. M., Pienemann, M. (1983). Deutsch als Zweitsprache. Tübingen: Narr.
85. Clahsen, H. (1986). Die Profilanalyse: ein linguistisches Verfahren für die Sprachdiagnose im Vorschulalter. Berlin: Carl-Marhold.
86. Clahsen, H. (1988). Normale und gestörte Kindersprache: linguistische Untersuchungen zum Erwerb von Syntax und Morphologie. Amsterdam, Philadelphia: J. Benjamins Publishing Company.
87. Clark, E. (1971): On the acquisition of the meaning of before and after. *Journal of verbal behavior*, 70. 266-275.
88. Clark, R (1977). What 's the use of imitation? In: *Journal of Child Language* 4, 341-358.
89. Colliander, P. (2001). Kontrastive Linguistik aus didaktischer Sicht. I: Germanistentreffen Deutschland - Dänemark - Finnland - Island - Norwegen - Schweden. (Greifswald 2000) udg. af DAAD. 271-284.
90. Curran, C.A. (1972). *Counseling Learning: A Whole-Person Model for Education*. New York: Grune & Stratton.
91. Dalhaus, B. (1995). Fertigkeit Hören - Fernstudieneinheit 5. Berlin: Langenscheidt.
92. Darski, J. P. (2010). *Deutsche Grammatik. Ein völlig neuer Ansatz*. Frankfurt am Main: Peter Lang.
93. De Florio-Hansen, I. (1994). "Wider die >interkulturelle< Euphorie". *Praxis des Neusprachlichen Unterrichts*, 41. 303-307.
94. *Deutsches Universalwörterbuch*. (2015). (. Aufg.). Berlin: Dudenverlag.
95. Dietrich, I. (1989). Alternative Methoden. In: Bausch, K.-R. et al. (Hgg.) *Handbuch Fremdsprachenunterricht*. Tübingen: Francke, 159-165.
96. Dietrich, I. (1995). Alternative Methoden. In: Bausch, K.-R., Christ, H., Krumm, H.-J.(Hrsg.) (1995): *Handbuch Fremdsprachenunterricht*. 3., überarbeitete und erweiterte Auflage, Tübingen und Basel: Francke Verlag. 194–200.
97. Dittmar, N., Rost-Roth, M. (Hrsg.) (1997). *Deutsch als Zweit- und Fremdsprache. Methoden und Perspektiven einer akademischen Disziplin*. Frankfurt am Main, Berlin, Bern, New York, Paris, Wien: Peter Lang.

98. Doyé, P. (1991): „Erziehung zu internationaler Verständigung als Aufgabe des Fremdsprachenunterrichts. Ein Beitrag zur politischen Bildung“. In: ders. (Hrsg.): Großbritannien. Seine Darstellung in deutschen Schulbüchern für den Englischunterricht. Frankfurt: Diesterweg, 11-20.
99. Doyé, P. (1994). Interkulturelles Lernen im Fremdsprachenunterricht. In: Bausch, K. R., Christ, H., Krumm, H. J (1994). Interkulturelles Lernen im Fremdsprachenunterricht. Arbeitspapiere der 14. Frühjahrskonferenz zur Erforschung des Fremdsprachenunterrichts. Tübingen. Narr Verlag. 43-48.
100. Dressler, G., Reuter, B., Reuter, E. (1980). Welche Landeskunde braucht der FU? Grundsätzliche Überlegungen zur Vermittlung von Sprache und Kultur im FU. - In: Linguistik und Didaktik 11(1980) 43/44. - München: Wilhelm Fink Verlag. 233 - 251.
101. Duden (1998). Grammatik der deutschen Gegenwartssprache. Bd. 4. (Bearb. Von Eisenberg, P., Henne, H. u.a.). 6. Auflg. Mannheim, Leipzig, Wien, Zürich: Dudenverlag.
102. Duden (2009). Die Grammatik. Bd. 4 (Bearb. von Kunkel-Razum, K. und Münzberg, F.). Mannheim, Leipzig, Wien, Zürich: Dudenverlag.
103. Edmondson, W., House, J. (1993). Einführung in die Sprachlehrforschung. Tübingen, Basel: A. Francke Verlag.
104. Ehlich, K. (2010). Braucht die Sprachvermittlung eigentlich die Linguistik und, wenn ja, welche? In: Jahrbuch Deutsch als Fremdsprache, Bd. 36, 2010. München: Judicium Verlag. 13-30.
105. Eichler, W., Bunting, K.-D. (1989). Deutsche Grammatik. Form, Leistung und Gebrauch der Gegenwartssprache. Frankfurt am Main: Athenäum Verlag.
106. Eisenberg, P. (1994). Grundriss der deutschen Grammatik. 3. Auflg.. Stuttgart, Weimar: Metzler.
107. Eisenberg, P. (2013). Das Wort. Grundriss der deutschen Grammatik. 4. Auflg. Stuttgart, Weimar: Metzler.
108. Elliott, J. R. (2000). Realis and irrealis: Forms and concepts of the grammaticalization of reality. In: Linguistic Typology 4(1), 55-90.
109. Engel, U. (1996). Deutsche Grammatik. 3. Auflg. Heidelberg: Groos Verlag.
110. Eppert, F. (1993). Grammatik lernen und verstehen. München: Klett Verlag.
111. Eppert, H. (Hrsg.) (2008). Grammatik – ABC für Deutsch als Fremdsprache auf Zertifikatsniveau und Niveaustufen A1. A2. B1, B2. Ein kleines Handbuch für Lernende und Lehrende. Frankfurt am Main: Fischer Verlag.
112. Erdmenger, M. (1996). Landeskunde im Fremdsprachenunterricht. Forum Sprache. 1. Aufl. Ismaning: Hueber.
113. Erhardt, C., Neuland, E. (Hrsg.) (2009). Sprachliche Höflichkeit in interkultureller Kommunikation und im DaF-Unterricht. Frankfurt am Main. Peter Lang.

114. Eroms, H.-W., Stickel, G., Zifonun, G. (Hrsg.) (1997). Grammatik der deutschen Sprache. Schriften des Instituts für deutsche Sprache. Berlin, New York: Walter de Gruyter.
115. Fabricius-Hansen, C. (1996). Nachdenken über Deutschgrammatiken für Ausländer. In: Hermes, Journal of Linguistics, No. 17 (1996). 123-137.
116. Fabricius-Hansen, C. (2000). Die Geheimnisse der würde-Konstruktion. In: Thieroff, R., Tamrat, M., u.a. (Hrsg.) (2000). Deutsche Grammatik in Theorie und Praxis. Tübingen. Max Niemeyer Verlag. 83-97.
117. Fähnrich, H. (1986). Kurze Grammatik der georgischen Sprache. Leipzig: Enzyklopädie Verlag.
118. Fanselow, G., Felix, S. W. (1987). Sprachtheorie 2: Die Rektions- und Bindungstheorie. Tübingen, Basel: Francke.
119. Fanselow, G., Felix, S. W. (Hrsg.) (1991). Strukturen und Merkmale syntaktischer Kategorien. Tübingen: Narr.
120. Fathman, A. (1975). The relationship between age and second language productive ability. Language Learning 25, 245-253.
121. Felix, S. W. (1976). Die ersten Phasen des deutschen Zweitspracherwerbs. In: Drachmann, G. (1976), (ed.): Akten des Salzburger Kolloquiums über Kindersprache. Tübingen, 61-72.
122. Felix, S. W. (1977). Zweitspracherwerb als kreativer Prozess. In: Drachmann, G. (1977) (Hrsg.): Salzburger Beiträge zur Linguistik 4: 159-175. Salzburg: Neugebauer.
123. Felix, S. W. (1979). Linguistik und Fremdsprachendidaktik: Versuch einer Standortbestimmung. Vortrag anlässlich der 1. Jahrestagung der Deutschen Gesellschaft für Sprachwissenschaft, Tübingen, 28.-30. März, 1979.
124. Felix, S. W., Simmet, A. (1981). Der Erwerb der Personalpronomina im Fremdsprachenunterricht. Neusprachliche Mitteilungen aus Wissenschaft und Praxis: 132-143.
125. Felix, S. W. (1982). Psycholinguistische Aspekte des Zweitspracherwerbs. Tübingen: Narr.
